გაზეთი გამოდის 1999 წლიდან
ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ილორი



E-mail: r.jalagania@mail.ru
E-mail: roland.jalagania@mail.ru

№367 (426) 14-21 ივნისი 2016 წელი სახალხო მოძრაობა "სამეგრელო" ორგანო ფასი 50 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე



## ალექსანდრე ჭაჭია: უახლოეს მომავალში საქართველოში ეროვნული ძალები ხელისუფლებაში ვერ მოვლენ!

გვ. 2

## როლანდ ჯალაღანია: არცერთი ქირი მარგებელი არ არის!

რაც შეეხება 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს, რომელში გამარჯვების საკუთარ დამსახურებაზე ბევრს ყბედობდნენ რესპუბლიკელები, ამ ლამის ნულოვანი რეიტინგის მქონე პოლიტიკურ ძალას უნდა შევახსენოთ, რომ ქართველმა ხალხმა ხმა მისცა არა მათ, არამედ ბიძინა ივანიშვილს, რომელშიც ხალხმა დაინახა სააკაშვილისა და დაშნაკ ნაციონალთა მესაფლავე, რესპუბლიკელები კი გამოყენებულ იქნა როგორც ავგიას თავლად ქცეული სახელმწიფო ნაგებობიდან ნაციონალური ნაგვის გატანის ინსტრუმენტი. საქართველოში ამგვარ ინსტრუმენტს "ნეხვის ლაფატკას" ეძახიან,

გვ.10

## მამანტი ძაძამია: რას წარმოადგენს თანამედროვე ენა სინამდვილეში, და რა იწვევს შეცდომებს სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენისას

გვ.3



## ნუგზარ კვაშილავა: უცხო სიტყვათა კოლხური წარმომავლობა

გვ.4

## იზა თამაზაშვილი: საქართველო — ამერიკის დამანგრეველი იდეოლოგიის სამიზნე პოსტსაბჭოთა სივრცეში

გვ.9

## როგორ ემზადებიან "რამკიანი" ქურდები საქართველოს პარლამენტში შესასვლელად!

გვ.5

## ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი — მითები და რეალობა

გვ.9




## თემურ ქორიძე: "კაცი არ ყველა სწორია"

გვ.7



## МУЖ И ЖЕНА — ОДНА САТАНА

გვ.8



# უახლოეს მომავალში საქართველოში ეროვნული ძალები ხელისუფლებაში ვერ მოვლენ!



*ცნობილი პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია დიდი ხნის დუმილს არღვევს და იმ გამოწვევის შესახებ საუბრობს, რომელიც ჩვენს ქვეყანას გადაჯიშებით, გადაგვარებით, ან სულაც გადაშენებით ემუქრება! ვფიქრობთ, მკითხველი განსაკუთრებული მონდომებით გაეცნობა ვიწრო ქართული და გლობალური პოლიტიკური პროცესების იმ უაღრესად კომპეტენტურ და მაღალმეცნიერულ ანალიზს, რომლითაც ქართული პრესა განებივრებული ნამდვილად არ გახლავთ!*

**— ბატონო, ალექსანდრე, საქართველო საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება, რას ელით ამ არჩევნებისგან?**

— საქართველოში არჩევნები კარგა ხანია, აღარ არის ქართველი ხალხის პოლიტიკური ნების გამოხატულების აქტი. საქართველოში ჩამოყალიბებული პოლიტიკური კლასისგან ქვეყნის უცხოელი კურატორების მიერ იქმნება ხელისუფლების ის კონფიგურაცია, რომელსაც ისინი მოცემულ ეტაპზე თვლიან საჭიროდ. ასე მაგალითად, როდესაც ისინი დარწმუნდნენ, რომ სააკაშვილისა და მისი ჯგუფის ხელისუფლებაში დატოვებამ შესაძლებელია, ქვეყნის მართვის სადავეების დაკარგვა და სოციალური აფეთქებაც კი გამოიწვიოს, ფსონი ივანიშვილზე დადეს. მას შეუკოწიწეს პოლიტიკური ძალა მათ მიერვე ჩამოყალიბებული პოლიტიკური კლასის იმ ნაწილისგან, რომელსაც მანამდე ოპოზიციაში ამყოფებდნენ. იცოდნენ, რომ ახალი ხელისუფლება ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწევდა (ეს არც იყო მისი ამოცანა), ამერიკელებმა წინდაწინ დაიწყეს მისთვის ოპოზიციის შექმნა — კოალიციისგან ნაწილების მოწყვეტითა და პარალელურად ახალი სტრუქტურების შექმნით. არ ვიცი, ხელისუფლების როგორი კონფიგურაციის შექმნას ჩათვლიან ისინი საჭიროდ უახლოესი 4 წლისათვის, მაგრამ ახალი ხელისუფლებაც იქნება იმ პოლიტიკური კლასის ნაწილი, რომელიც ამერიკელებმა ჩამოაყალიბეს რეგიონში თავიანთი ინტერესების სარეალიზაციოდ. **შეხედეთ რესპუბლიკურ პარტიას, რეიტინგი — ნულოვანი, მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ეს პარტია სძულს, მაგრამ ისინი არც კი ცდილობენ მოსახლეობის სიმპათიის მოპოვებას, მათ არ აღელვებთ ხალხის აზრი და ნება, ვინაიდან იციან, რომ ამერიკელების მჭიდში სხედან და პატრონები უსაქმურად არ დატოვებენ!**

პარლამენტში, რა თქმა უნდა, შეიძლება მოხვდეს ეროვნულ-პატრიოტული ორიენტაციის 5-7 პიროვნება, მაგრამ გადაწყვეტილებების მიღებაზე მათ, ბუნებრივია, არანაირი გავლენა არ ექნებათ.

**— არის იმის ალბათობა, რომ საქართველოს ხელისუფლებაში პატრიოტული ძალები მოვიდნენ?**

— არა, უახლოეს მომავალში საქართველოში ხელისუფლებაში ეროვნული ძალები ვერ მოვლენ! **პირველ რიგში, საქართველოში არ არსებობს ეროვნულ ფასეულობებსა და პატრიოტულ მიზნებზე ორიენტირებული სერიოზული პოლიტიკური პარტია, რომელსაც ქვეყნის ალტერნატიული განვითარების კონცეფცია გააჩნია. თითქმის ყველა პარტია და პოლიტიკური ლიდერი შევარდნაძის მიერ შექმნილი "მოქალაქეთა კავშირის" პროდუქტია. ისინი პერიოდულად, საჭიროების მიხედვით — ამერიკული სქემის შესაბამისად — გამოეყოფოდნენ ხოლმე "დედა პარტიას", გადადიოდნენ ოპოზიციაში, შემდეგ სარგებლობდნენ რა რეჟიმისადმი საყოველთაო სიძულვილით, მოდიოდნენ ხელისუფლებაში.** ჩვენთან ხომ ყოველი ახალი ხელისუფლება წინა ხელისუფლებისადმი სიძულვილის ტალღაზე მოდის. სააკაშვილი იმიტომ აირჩიეს, რომ სძულდათ შევარდნაძე, ივანიშვილი — იმიტომ, რომ სძულდათ სააკაშვილი. გონიერი ადამიანები ხვდებოდნენ, რომ ივანიშვილის ყველა დაპირება — აფხაზეთის დაბრუნება, საქართველოს გადაქცევა დუბაიდ, ასობით ფაბრიკა-ქარხნის აგება, სამართლიანობის აღდგენა — ფუჭია. მაგრამ რადგან ნათელი იყო, რომ მან სააკაშვილის გადაყენების ნებართვა მიიღო, აქტიურად დაუჭირეს მხარი ივანიშვილის კოალიციას, რომლის ძირითადი ფიგურები **"მოქალაქეთა კავშირის"** წიაღში იშვნენ. მათი მსოფლმხედველობა კი არაფრით განსხვავდება სააკაშვილისა და მისი კომპანიის მსოფლმხედველობისგან. და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ყველა ამ დაჯგუფების კადრების სამჭედლოს წარმოადგენს **აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამართველოს ეგიდით შექმნილი სოროსული არასამთავრობო ორგანიზაციები.** როდესაც შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ამ ე.წ. არასამთავრობო სექტორის ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო, ჩვენი საზოგადოებრიობა გაოცებას ვერ მალავდა — **სად პოულობენ ამ ფიზიკურად და ზნეობრივად მახინჯებს და რისთვის სჭირდებათ ისინი ამერიკელებს?** იმხანად გაზეთ **"ასავალ-დასავალში"** ვწერდი, ეს მახინჯები ხვალ საქართველოს ხელისუფლებაში მოვლენ-მეთქი! ჩვენი ინტელიგენციის ზოგიერთმა წარმომადგენელმა სასაცილოდ აიგდო ჩემი სიტყვები... წერდნენ, რომ ჩემი ფანტაზიებით ხალხს ვაშინებდი. მაგრამ, როგორც ვხედავთ, სწორედ ეს მახინჯები შეადგენენ ქართულ პოლიტიკურ კლასს, მათგან ყალიბდება პარლამენტი და მთავრობა, სწორედ ისინი მართავენ ქვეყანას ბოლო 20 წლის განმავლობაში. სხვათა შორის, ამ მხრივ, საქართველო გამონაკლისი არ არის. **ანალოგიური ვითარებაა ამერიკელების მიერ კონტროლირებად ყველა ქვეყანაში. უფრო მეტიც, გაიხსენეთ, როგორი ნაძირალები მართავდნენ რუსეთს ელცინის პერიოდში, როდესაც იქ ვითარებას ამერიკელები აკონტროლებდნენ.**

ან შეხედეთ ევროპელ პოლიტიკოსებს, მათი უმეტესობა ხომ დეგენერატია — პედერასტი, ლესბოსელი, ხეპრე, რომლებსაც წარმოდგენა არა აქვთ თავიანთი ხალხების ეროვნულ ინტერესებზე. ყველა გაჰყვირის ადამიანის უფლებებზე, თუმცა მათ სულ არ აინტერესებთ ადამიანის ბუნებრივი, ფუნდამენტური უფლებები — სიცოცხლის უფლება, შრომის, ჯანდაცვის და განათლების უფლება, არც ხალხების უფლება — იცხოვრონ თავიანთი ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, აღმსარებლობის შესაბამისად. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მხოლოდ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 30 ქვეყნის მშვიდობიანი მოსახლეობა დაბომბა, დაამხო, ან შეეცადა დაემხო კანონიერი ხელისუფლება 50 ქვეყანაში, დახოცა მილიონობით ადამიანი. ადამიანის რომელ უფლებებზე ლაპარაკობენ ისინი? სიცოცხლის უფლებას, ფაქტობრივად, უგულვებელყოფენ და თავს გვახვევენ ადამიანის უფლებების გაგებას, როგორც ცხოველური ინსტინქტების, ყველაზე ქვენა გრძნობების რეალიზაციას, რასაც მსოფლიოს ყველა რელიგია მომაკვდინებელ ცოდვად მიიჩნევს, ვინაიდან ცდილობს, იხსნას ადამიანების საზოგადოება გაპირუტყვებისაგან. **"ევროპული ფასეულობების"** ნიღბით ამ პირუტყვული ინსტინქტების ხალხებისათვის თავსმოხვევით ძალები, რომლებიც აკონტროლებენ დასავლურ სამყაროს, ზრდიან დეგენერატების თაობას, ქმნიან დეგენერატულ პოლიტიკურ კლასს რომლისგანაც აყალიბებენ პარტიებს, მთავრობებს, პარალელურად კი ხელში იგდებენ დაქვემდებარებული ქვეყნების რესურსებს.

**— თვითონ ქართულ საზოგადოებას არ შეუძლია პატრიოტული პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბება, რომელიც შეძლებს ხელისუფლებაში მოსვლას?**

— არა, არ შეუძლია! ჯერ ერთი, ჩვენი საზოგადოება, რომელიც ბევრჯერ მოატყუეს, მნიშვნელოვანწილად დემორალიზებულია. მეორე — ინტელექტუალურად, პროფესიულად და მორალურად გამოსადეგი ადამიანების უმრავლესობამ ზურგი აქცია პოლიტიკას.

**მე არ ვიცი ქართული საზოგადოების არცერთი ავტორიტეტული წარმომადგენელი, რომელსაც სურვილი ექნებოდა დამჯდარიყო ამჟამინდელ ან მის წინამორბედ პარლამენტში, ჩართულიყო დისკუსიაში უვიც, დეფექტიან ნაციონალებთან, რესპუბლიკელებთან ან უნებიყოფო, უნიათო "მეოცნებეებთან".**

ჭკვიან ადამიანებს ესმით, რომ კოლონიურად დამოკიდებული ქვეყანა დამოუკიდებელ პოლიტიკას ვერ აწარმოებს. მახსოვს, როდესაც ფრაქცია "ქართული ოცნების" ხელმძღვანელს დაუსვეს შეკითხვა რუსეთის საწინააღმდეგო სანქციების დაწესების შესახებ, მან განაცხადა: ვიდრე პასუხს გაგცემთ, ამ საკითხზე ამერიკელი მეგობრების აზრი უნდა გავიგოო, ანუ, გარდა იმისა, რომ საპარლამენტო უმრავლესობის ხელმძღვანელს საკუთარი თვალსაზრისი არა აქვს, აპირებს რჩევის მისაღებად მიმართოს არა პარტიის ან ფრაქციის წევრებს, არამედ ამერიკელებს! **ასეთი მონური დამოკიდებულების პირობებში რომელ ეროვნულ პოლიტიკაზე შეიძლება ლაპარაკი? ანდა ღირსების მქონე რომელი ადამიანი დათანხმდება, ამერიკელთა დირექტივების გამხმოვანებელ თუთიყუშად იქცეს?** თუკი ქართველი საზოგადოების პატრიოტული ძალები ეროვნული განვითარების პროგრამის ბაზაზე მაინც შეძლებენ კონსოლიდირებას, მოიძიებენ სახსრებს, საორგანიზაციო და საინფორმაციო-პროპაგანდისტული სამუშაოებისთვის და მიიღებენ ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობის მხარდაჭერას (**საჭიროა ისეთი მხარდაჭერა, რომ 20-პროცენტიანი გაყალბების შემთხვევაშიც კი ლიდერად დარჩე**), მაშინ აშშ, ეუთო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ასეთი არჩევნების შედეგებს არ აღიარებენ. არჩევნების შედეგების დასაცავად საჭირო იქნება საერთო-სახალხო მხარდაჭერა, პირდაპირი კონფრონტაცია ქვეყნის მეპატრონეებთან. მზად არის კი ქართველი ხალხი ასეთი კონფრონტაციისათვის? ვფიქრობ, არა...

**იცით, რამდენიმე დღის წინათ რა მოხდა ავსტრიაში? იქ საპრეზიდენტო არჩევნებში იმარჯვებდა ეროვნული ორიენტაციის პოლიტიკოსი, რომელიც ავსტრიის, როგორც ეროვნული სახელმწიფოს შენარჩუნების მოწოდებით გამოდის. ავსტრიაში ხომ კატასტროფული მდგომარეობაა. რად ღირს მხოლოდ ის ფაქტი, რომ ავსტრიელი მოსწავლეების 50 პროცენტისათვის გერმანული მშობლიური ენა არ არის — ისინი ემიგრანტები არიან... მაგრამ ბოლო მომენტში მის მოწინააღმდეგეს — ლიბერალს მწვანეთა პარტიიდან — 50,1 პროცენტი დაუწერეს და გამარჯვებულად გამოაცხადეს.**

**— ბატონო ალექსანდრე, წინა საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ივანიშვილი ხალხს რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას და აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემების მოგვარების საქმეში წინ წაწევას დაპირდა. არაფერი გაკეთებულა... პრინციპში, არსებობს კი პერსპექტივები ამ მიმართულებით?**

— რუსეთთან ურთიერთობა — ეს არის საგარეო პოლიტიკა. საქართველოს საგარეო პოლიტიკა კი საქართველოს ხელისუფლების პრეროგატივა არ არის. ეს ამერიკელი კურატორების პრეროგატივაა. **აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში სასაცილოდ არ ეყოფათ, თუკი შეიტყობენ საქართველოს დამოუკიდებელი საგარეო-პოლიტიკური ინიციატივის შესახებ. ამერიკელებმა საქართველოს ხელისუფლების სტრუქტურაც კი ისეთი შექმნეს, რომ საგარეო პოლიტიკური აქტიურობა სრულიად გამორიცხულია.** წარმოიდგინეთ, რომ რუსეთის პრეზიდენტმა გადაწყვიტა, საქართველოს ხელმძღვანელებს ორმხრივ პრობლემებზე დაელაპარაკოს. ვის უნდა შეხვდეს? საქართველოს პრეზიდენტს? განა ის რამეს წყვეტს?

**წარმოგიდგენიათ პუტინისა და მარგველაშვილის შეხვედრა? რაზე უნდა ილაპარაკონ. ან იქნებ პრემიერს შეხვდეს? მაგრამ პრემიერს შეუძლია დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება?**

იქნებ ივანიშვილს შეხვდეს? და ვინ არის ივანიშვილი, რომ რუსეთის პრეზიდენტი შეხვდეს და მასთან რაღაც საკითხებზე იმსჯელოს? ანუ საქართველოში არ არის თანამდებობის პირი, რომელთანაც მაღალ დონეზე შეიძლება შეხვედრა და საერთაშორისო ურთიერთობებზე მსჯელობა. ამიტომ, საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებს (ასეთი იშვიათად, მაგრამ მაინც წარმოიქმნება ხოლმე) რუსეთი ამერიკელებთან დიალოგში წყვეტს. სხვათაშორის, ასევე იქცევა თურქეთიც და ევროკავშირიც.

შესაბამისად, ლაპარაკი არც არის რაღაც პროგრესზე **აფხაზებსა და ოსებთან ურთიერთობაში.** ჩვენი ყველა ხელისუფლება, შევარდნაძის ხელისუფლებით დაწყებული, არანაირ რეალურ ძალისხმევას არ იჩენდა ტერიტორიული პრობლემის მოსაგვარებლად. მუშაობის ამ უბანზე ყოველთვის ინიშნებოდნენ უვარგისი, უფერული, კომიკური ფიგურები, რომლებსაც მოწინააღმდეგე მხარესთან დალაპარაკების შანსიც კი არ ჰქონდათ. და ეს გასაგებიცაა. ამერიკელები არ დაუშვებენ ჩვენს დაახლოებას გამოყოფილ ტერიტორიებთან და ხალხებთან იმიტომ, რომ ასეთი დაახლოება გამორიცხავს რიტორიკას **ნატო**-ში შესვლაზე, ამერიკის ბაზებზე, ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაზე და ა.შ. ეს ყველაფერი კატეგორიულად მიუღებელია აფხაზებისა და ოსებისათვის. სწორედ ამიტომ რჩება ტერიტორიული პრობლემა მოუგვარებელი და ამ საკითხში არანაირი წინსვლა არც ამჟამინდელი და არც მომავალი ხელისუფლების პირობებში მოსალოდნელი არ არის.

**იმ პოლიტიკურმა კლასმა, რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოში, უკვე დიდი ხანია უარი თქვა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე. თუმცა, მოსახლეობა მზად უნდა იყოს, რომ პოლიტიკოსები ამ თემით დაიწყებენ სპეკულირებას, როგორც სპეკულირებდნენ შევარდნაძეც, სააკაშვილიც და ივანიშვილიც, როდესაც ხალხს ამ პრობლემის "ორ წელიწადში" გადაწყვეტას ჰპირდებოდნენ.**

ესაუბრა **დიტო ჩუბინიძე**,
გაზეთი **"ასავალ-დასავალი"**,
*(გაგრძელება იქნება)*

# კარედი უღლისცალზე — და იყო სიტყვა!

**2016 წლის 21 ივნისს 75 წელი შესრულდება დიდი სამამულო ომის დაწყებიდან. ამ თარიღს ეძღვნება ჩვენი მეგობრისა და თანამებრძოლის, ცნობილი ქართველი პუბლიცისტისა და პოეტის ბატონ ალექსანდრე შენგელიას წერილი**

*ბატონი ალექსანდრე შენგელია ჩემი პედაგოგი და მეგობარია, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ჩემი ცხოვრების გზის არჩევანში. მიუხედავად შთამბეჭდავი ასაკისა (მან უკვე 80 წელს გადააბიჯა) კვლავაც ჭაბუკური შემართებით ებრძვის საქართველოს მტრებს, ყოველივე ნეგატიურს და ქართული სულისათვის მიუღებელს, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მავან უჯიშოთა დანაშაულებრივი ძალისხმევით დავიწყების საბურველი არ გადაეფაროს იმ მამულიშვილთა ხსოვნას, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს და მშობელი ხალხის კეთილდღეობას!*

*ეს წერილიც ჭარმაგი შემოქმედის ამოკვნესაა...*

როლანდ ჯალაღანია

## და იყო სიტყვა...



დიდი ქართველი მხატვრის, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, პროფესორ კორნელი სანაძის მიერ შესრულებული პორტრეტი, რომელიც ბეჭდვური მედიის საშუალებით დღეს პირველად ქვეყნდება, 51 წლის წინათ, სუსხიან იანვარში თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსულმა ჩემთვის უძვირფასესმა და უახლოესმა უფროსმა მეგობრებმა, ამ ნაწარმოების ავტორმა და მისმა მეუღლემ, ქალბატონმა თინა ვოლსკაია-სანაძემ სასიდედროს სამახსოვრო საჩუქრად გადასცეს: მართალია, შენი ქალიშვილი რძლად მიგვყავს, მაგრამ სამაგიეროდ ოჯახში მის პორტრეტს გიტოვებთო. ასე შეემატა ეს ერთადერთი იმედიანი პორტრეტი შინმოუსვლელის კედელს — უძვირფასესთა ხსოვნის საოჯახო პანთეონს.

პატარძლის, მაკა ლოსაბერიძის მამა — შალვა ომის დაწყებისთანავე ფრონტზე აღმოჩნდა და როგორც ხაზგაზმით არის აღნიშნული ლეგენდარული ქართული დივიზიის სარდლის, გენერალ გიორგი ყურაშვილის წიგნში „გმირთა სისხლით“, ისიც და მისი ორი ძმაც — ალექსანდრე და მელენტი ისევე სახელოვნად დაეცნენ ომის ველზე, როგორც პატარა საქართველოდან წასულთაგან ის 300 ათასი ვაჟკაცი, რომლებმაც მიხაკისფერი უბედურებისაგან მსოფლიოს გადარჩენას ემსხვერპლნენ.

ბედმა არც ეს 300 ათასი უბედურება აკმარა საქართველოს.

ამაოდ ელოდნენ საცოლეები ჩემი მეუღლის — მაკა ლოსაბერიძის უმცროს ბიძებს და უამრავ მათ თანატოლს, რომლებმაც ოჯახები ვეღარ შექმნეს და შვილები ვეღარ შემატეს სათაყვანებელ სამშობლოს..

სამწუხაროდ შინ დარჩენილთაგანაც უამრავმა გაიზიარა პატარძლის ორი უწლოვანი დის ბედი, რომლებიც ომის მრისხანე დღეების სიდუხჭირის გამო სრულწლოვანებას ვერ ეღირსნენ და დიდი ხანია იქ განისვენებენ, სადაც დედისა და შინმოუსვლელი მამის სიმბოლური საფლავების გვერდით მრავალი ათეული წლის შემდეგ მათი უმრწმესი დედმამიშვილი დაიკრძალა. ასე რომ 300 ათასი კი არა საქართველომ სამჯერ სამასი ათასზე მეტი შვილი დაკარგა მეორე მსოფლიო ომსა და მის მომდევნო წლებში.

სიცოცხლის ბოლო დღეებამდე მამისა და ბიძების კვალს დაეძებდა ჩემი მეუღლე. სად აღარ ჩავიდა, მათი თანამებრძოლებისათვის გაგზავნილი და პრესაში გამოქვეყნებული წერილებით ვის არ მიმართავდა, ვის არ ემუდარებოდა, თუ რამე იცით მამაჩემისა და მისი ძმების შესახებ, იქნება შემატყობინოთო, მაგრამ ვერავისგან რომ ვერ მიიღო სასურველი პასუხი და ვერაფერი იპოვა, დედის გვერდით მამას სიმბოლური საფლავი მოუწყო — რაც არ უნდა მოხდეს, როდისმე მის შიშველ ძვლებს მივაგნებ და სამუდამო განსასვენებელს მომზადებულს დავახვედრებო.

სიკვდილის წინ იპოვა, ღრმადა ვარ დარწმუნებული, ნამდვილად იპოვა და როგორც ცოცხალს, ისე გაესაუბრა მამას, რომელიც 75 წლის წინათ, 22 ივნისს საბოლოოდ დაემშვიდობა თვისა და ერთი კვირის ჩვილს.

დიახ! მე თვითონ მოვისმინე და ვნახე, როგორ დატოვა ამიერი ამ „შეხვედრისას“ ნათქვამი ბოლო სიტყვითა და მისეული იმ თავისებური ღიმილით, რომელიც ნახევარი საუკუნით ადრე მხატვარმა მის პორტრეტში ხაზგასმით გამოარჩია.

ალექსანდრე შენგელია

## ზედაშე

უკვე წასულო, მაგრამ გულში ამოუშლელო,
უშენობისგან ყრუ შენობას როგორ ვუშველო?
თანაც უშენომ?!
მარადისობა, ალბათ. შეგვყრის მალე მე და შენ;
ჰოდა, დღეს იმ დღეს ვადღეგრძელებ და ვსვამ ზედაშეს!

## ბალადა შინმოუსვლელ მამაზე

ისე წახველი, რომ ალერსი სვემ არ გაღირსა,
დედასთან ერთად ხელით მამისა!
ვერ გაარკვიე, სად გარიყა მისმა რწმენამა,
და სად არგუნა ბოლო ძილი ბედისმწერალმა?
მამაშვილური მოგიხმობდა მას შემდეგ გენი,
დიდხანს ეძიე, მაგრამ საფლავს ვერ მიაგენი!

შენი სიტყვები ჩემს წინ დღესაც ცრემლებად სცვივა:
„სად დაიღუპა, თავის ტყვია სად გააცივა?“
და რაკი სადღაც მამის ძვლები დარჩა შიშველი,
დედის საფლავთან დადგი ძეგლი შინმოუსვლელის.

ახლა, როდესაც შენც მათ გვერდით დაიბანაკე,
რომ არ ვიწამო, წარმიტანოს უმალ მიწამა,
რადგანაც დღემდე დამახსომა თავი იმ წამმა,
როდესაც ვნახე, საკვირველად, ჰო საკვირველად,
ჩვილობის შემდეგ მამას როგორ შეხვდი პირველად
და სიკვდილის წინ ცოცხალს როგორ ელაპარაკე!

## ფიქრები მეორედ მოსვლაზე

უკვე წარიხოცა,
რაც გემოსა ხორცად,
მაინც რჩები ლოცვად
აბორგებულ სულს,
ნერვები სულ მოცვდა,
ვეღარ ვიტან მოცდას,
არა, არ წამომცდა,
შენთან ყოფნა მსურს!
გზა-გზა კითხვა დამსდევს,
ვიდრე დავიბადეთ,
რაც ვიყავით მანამ,
ანდა უფრო ადრე,
ის ვიქნებით განა,
როცა მოვალთ კვლავ და
გამომიწვდი მკლავს?
შეწევნითა ღვთისა,
თუ დავბრუნდით ისევ,
რომ ვერ მიცნო მყისვე,
ამის ფიქრი მკლავს!

ალექსანდრე შენგელია

# რას წარმოადგენს თანამედროვე ენა სინამდვილეში, და რა იწვევს შეცდომებს სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენისას

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

ჩვენი გამოკვლევების მიხედვით. მეგრული ენისთვის (და არა მარტო) დამახასიათებელი თანხმოვანი ბგერები მიღებულია არა მხოლოდ რომელიღაც ერთეული საგნის მიერ გაღებული ბგერებიდან (მაგალითად, **ს** — სისინისგან, **ზ** — ზუზინისგან და ა. შ. ) არამედ, ყოველი მათგანი, ცალკე სახით (**ს**) თუ სხვა თანმხლებ თანხმოვან ბგერებთან ერთად (**სქ, სრ**...), მიღებულია ბუნებაში მოცემული ყველა იმ ბგერებიდან, რომლებშიც ამგვარი ბგერები გაისმის ხოლმე. მთლიანობაში, მეგრულის ლექსიკაში წარმოდგენილი თანხმოვანი ბგერები მიღებულია ბუნებაში მოცემული, ანუ ბუნების საგანთა მიერ გაღებული **1869** ხმიანობიდან (დაუნაწევრებელი, გაბმული ბგერებიდან), იმდენად რამდენადაც სწორედ ესენი წარმოადგენენ ძირისეულ ხმაბაძვით თანხმოვნურ ფორმებს, რაზედაც დამყარებულია მეგრულის ლექსიკის უშუალოდ **99,2** პროცენტი, და თვით მთელი ლექსიკაც, ვინაიდან არახმაბაძვით ფორმებში მოცემული (გამოყენებული) თანხმოვანი ბგერებიც სწორედაც ხმაბაძვითი წარმომავლობის ბგერებია, ოღონდ, ამგვარი ფორმების ხელოვნურად შესადგენად ისინი ადამიანის მიერ გამოყენებულია მისი ნებასურვილის მიხედვით და არა ბუნებრივ საფუძველზე, ამიტომაც არ წარმოადგენენ იდეამტარებლებს ე. წ. „წმინდა წყლის“ პირობითი ნიშნები და მათი ძირისეული თანხმოვნური ფორმები. ისინი სიტყვის ნივთიერ ნაწილს წარმოაჩენენ არა მათი მნიშვნელობის (რაც არ გააჩნიათ), არამედ ცნებითობის საფუძველზე, რაზეც ზემოთ ნათლად აღინიშნა.

საბოლოოდ, აი, რა უნდა ითქვას:

**იმ შემთხვევაში, თუ საკითხს ცალკეული მკვლევარების მიერ წარმოდგენილი ზემოთ აღნიშნული ლოგიკის („კვლევის მეთოდის“) მიხედვით მივუდგებით და მეგრული ენის ლექსიკის (რაც 1.410.145.286 სიტყვას და 72.000-მდე ტომს მოიცავს) ყოველი სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენას ამავე სიტყვაში შემავალი ბგერებით დაწყებული (ჩვენთვის სასურველი) სიტყვების (მათი ვარიანტებიც ხომ განუსაზღვრელი იქნება) „მოხმობა-შეერთებითა და „გრამატიკულად გამართვით“ მივმართავთ (თუმცა, ასეთის გააზრებაც კი უდიდესი მუცლითმეზღაპრეობა იქნებოდა), ამგვარი ეტიმოლოგიური ნაკვლევისგან შედგენილი ტომები დედამიწის ზურგზე კავკასიონის მთაგრეხილზე არანაკლებ არეალს მოითხოვდა.**

ჩვენ კი, ერთი შეხედვით, თითქოსდა ერთერთი ჩვეულებრივი, სინამდვილეში კი, სრულიად ახლებური, მაგრამ უთუოდ დიდმნიშვნელოვანი ჭეშმარიტი ენათმეცნიერული დასკვნის მიხედვით, რაც ასეა გამოხატული: **თანამედროვე ენა წარმოადგენს პირველყოფილი ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმებისა და მათთან იმთავიდანვე ბუნებრივად თანმხლები ემფატიკური (ემფაზიისმიერი ანუ სახმოსნო ორგანოების დაძაბვისმიერი) მარცვალწარმომქნელი და დეტერმინანტი ნახევრადხმოვანი ) ბგერის ფონეტიკური ვარიანტებისაგან შედგენილ პირობით ნიშანთა სისტემას**“, მეგრული ენის აღნიშნული კოლოსალური ლექსიკის სიტყვათწარმომავლობის დადგენა მოვახდინეთ ძალზე მარტივად, იოლად და იაფად.

**საამისოდ: 1. შევისწავლეთ მეგრული ენის ლექსიკის წარმომდგენი ზემოთ აღნიშნული 6.652 ძირისეული თანხმოვნური ფორმის (იგივე, ძირისეული ანუ ლექსიკური მორფემების) გენეტიკური წარმომავლობა ანუ ეტიმოლოგია** (დასადგენი დაგვრჩა მისი მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილის ეტიმოლოგია); **2. შევისწავლეთ საგრამატიკო საშუალებების, იგივე, გრამატიკული მორფემების: აფიქსების (სუფიქსების, პრეფიქსებისა და ინფიქსების), ზმნისწინების, ასევე მეტყველების ცალკეული ნაწილების (ნაცვალსახელების, ზმნიზედების, ნაწილაკების თანდებულების...),— როგორც პირველქმნილი ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმების იმთავიდანვე თანმხლები (და ცალკე სახითაც არსებული) ემფატიკური (ემფაზიისმიერი ანუ სახმოსნო ორგანოების დაძაბვისმიერი) ნახევრადხმოვანი ) ბგერის ფონეტიკური ვარიანტების — ეტიმოლოგია.**

მეგრული ენის კოლოსალური ლექსიკის წარმომდგენი ძირისეული თანხმოვნური ფორმების ეტიმოლოგიის შესწავლის შედეგები, სათანადო ცხრილების სახით, წარმოდგენილია ჩვენი შვიდტომეულის ბოლო მეშვიდე ტომის, ასევე ოცტომეულის ბოლო მეოცე ტომის ბოლოსწინა ნაწილებში, სადაც მათ **90-90** გვერდი უჭირავს. რაც შეეხება მეგრულის **525** საგრამატიკო საშუალების, იგივე, — გრამირიკული მორფემების ჩამონათვალს, მას ოცტომეულის მეოცე ტომში სულ რაღაც **10** გვერდი უჭირავს.

ასეთ პირობებში, ჩვენ, რასაკვირველია, სავსებით კეთილმოსურნეობის პოზიციებიდან, ვერ გავიზიარებთ ცალკეული მკვლევარების მიერ **„სიტყვის ეტიმოლოგიის მათმიერი „კვლევის მეთოდით“** წარმოდგენილ ზემოაღნიშნულ და ანალოგიურ მონაცემებსა და დასკვნებს. ამასთან, საჭიროდ და სასარგებლოდ მივიჩნევთ ჩვენს მიერ ზემოთ გამოხატულ იმ ცალკეულ მოკრძალებულ შენიშვნებსაც, რასაც სამართლიანად განმსჯელი მკითხველი უთუოდ გაგვიგებს.

დასასრულს, ჩვენის აზრით, უმთავრესი მიზეზები, რაც აპირობებენ ცალკეულ მომენტებს, მოკლედ შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

— ენის წარმოშობის ჭეშმარიტ საფუძვლებში ჯერ კიდევ მკვლევარების მიერ დაშვებულ შეცდომებს სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენისას, გაურკვევლობა;

— თანამედროვე ენის რაობის ჯერ კიდევ სათანადოდ შეუსწავლელობა;

— განუსჯელად გამოყენება ენათმეცნიერებაში ჯერაც არსებული ცალკეული სტერეოტიპებისა, მაგალითად,— მოსაზრებისა იმის შესახებ, რომ სიტყვის აფიქსები მიღებულია რომელიღაც სხვა სიტყვებისაგან, — წარმოადგენენ მათს ნაწილებს თუ ნაწილაკებს;

— განუსჯელად გამოყენება ხალხური ეტიმოლოგიისა, რაც მეტწილად უმართებულოა;

— ცალკეული მოყვარული მკვლევარების მიერ საკითხისადმი არაჯეროვანი მიდგომა (ორიგინალურობისა და პირველობისაკენ სწრაფვის გამოც, რაც სათანადო საფუძვლის პირობებში მისაღებია, მაგრამ ასეთის არარსებობისას უთუოდ უადგილოა).

არ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ გარკვეული შეცდომების მიზეზი იყოს თვით ჩვენს მიერ მეგრულის ზმნური ფონდის ლექსიკის, (რაც ამ ენის მთელი ლექსიკის 99,2 პროცენტს წარმოადგენს), შემდგომში კი თვით მთელი ლექსიკის — როგორც ხმაბაძვითი ასევე არახმაბაძვითი სიტყვების — დაყვანა ძირისეულ თანხმოვნურ ფორმებამდე და ამ სახით შედგენა, ჯერდათავად, **„მეგრულის ზმნური ფონდის მინიატურული ლექსიკონისა“**, შემდგომში კი, **„მეგრულის მთელი ლექსიკის მინიატურული ლექსიკონისა“**. ამას ჩვენ, თავის დროზე, მივმართეთ სავსებით შეგნებულად, შემდეგი გარემოებებისა და მიზნის გათვალისწინებით: ა) მეგრული ენის აღნიშნული ლექსიკების სიტყვათა სრული დაწერილობით წარმოდგენა მაშინ შეუძლებელი იყო (იგი ჯერაც არ არსებობს); ბ) ეს საჭირო იყო ძირისეულ ფორმათა ეტიმოლოგიის, კერძოდ, ხმაბაძვითობა-არახმაბაძვითობის დადგენისათვის.

აღნიშნულის შესახებ სათანადო განმარტება ჩვენ იქვე წარმოვადგინეთ და მისი გათვალისწინება სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენის მსურველებს, ცხადია, შეეძლოთ და აწიც შეუძლიათ. ამ სტატიის შესაბამისი ნაწილის მიზანიც ასეთია.

ამ საგაზეთო სტატიის მთავარი მიზანი, ცხადია, წარმოდგენილია მისი სათაურის პირველ ნაწილში: **„რას წარმოადგენს თანამედროვე ენა, სინამდვილეში“** (სათაურის მეორე ნაწილში წარმოდგენილი საკითხი, გასაგები მიზეზით, მას დავუკავშირეთ). ამიტომაც, უპრიანია, სტატიის დასასრულს წარმოვადგინოთ საბოლოო დასკვნა (იგივე, პასუხი დასმული კითხვისა). აი, ისიც:

**დ ა ს კ ვ ნ ა:**

**თანამედროვე ენა წარმოადგენს პირველყოფილი ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმებისა და მათთან იმთავიდანვე ბუნებრივად თანმხლები ემფატიკური (ემფაზიისმიერი (სახმოსნო ორგანოების დაძაბვისმიერი) მარცვალწარმომქნელი და დეტერმინანტი ნახევრადხმოვანი) ბგერის ფონეტიკური ვარიანტებისაგან შედგენილ პირობით ნიშანთა სისტემას.**

მამანტი ძაძამია,
პროფესორი, აკადემიკოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხო სიტყვათა კოლხური წარმომავლობა

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

ლათინური curo (ზრუნვადანაა) ნაწარმოები ინგლისური care (მზრუნველობა, ზრუნვა).

ჩვენი აზრით accuratus მომდინარეობს curatus-იდან, ხოლო ეს უკანასკნელი guratus-იდან. თავის მხრივ ეს სიტყვა **"გურით"** (გულით)-ის ლათინიზირებული ფორმაა. მართლაც, გულით გაკეთებული საქმე არის აკურატული და აკურატული არის ადამიანი, რომელიც გულ-დასმით, გულ-მოდგინედ, სა-გულ-და-გულოდ აკეთებს საქმეს. ასე, რომ ეს სიტყვა აშკარა კოლხიზმია ლათინურში.

იგივე ფუძე გააჩნიათ ასევე ცნობილ სიტყვებს: curatio (მზრუნველობა, მკურნალობა), curator (მეურვე, მზრუნველი).

**ბუსტროფედონი** (ბერძ. bustrophedon, bus – ხარი და strepho ვუხვევ) – წერის წესი, რომლის დროსაც პირველი სტრიქონი იწერება, მაგალითად, მარჯვნიდან მარცხნივ, მეორე სტრიქონი მარცხნიდან მარჯვნივ, მესამე ისევ მარჯვნიდან მარცხნივ და ა.შ. გვხდება კრეტულ, ხეთურ, ეტრუსკულ და ა.შ. დამწერლობით ძეგლებში.

ჩვენი აზრით ამ განმარტებაში ის აზრია გატარებული, რომ როდესაც მიმდინარეობს ხარის საშუალებით მიწის დამუშავება (ხვნა) (სხვათაშორის თვით სიტყვა **"ხარი"** მომდინარეობს კოლხური ხარ-უა-დან, რაც ნიშნავს **"გაკვალვას", "გაფატვრას"** მიწისას), ის ჯერ ერთი მიმართულებით ხნავს, შემდეგ კი მოუხვევს და საპირისპირო მიმართულებით და ა.შ. მაგრამ აქ მთავარი აქცენტი მოხვევაზე კი არ უნდა გაკეთდეს, არამედ მიმართულების ცვლაზე და სწორედ მეგრული **"თირაფა"** ნიშნავს ცვლას, შეცვლას, შენაცვლებას.

ასე, რომ ბერძნული strophe-ს, რუსული строфа-ს, ქართული სტროფის და ა.შ. ამოსავალია ბერძნული **"მოხვევა", "ბრუნი"**, რომელიც თავის მხრივ ემყარება კოლხურ **"სი-თირაფა" – "შენ-ცვლა"** (რისი ცვლა? რა თქმა უნდა მიმართულებისა), რადგან ადრე **"აქსონები და კვირბები რომ ბუსტროფედონით იყო ნაწერი, ამას ევფორიონი გვიცხადებს აპოლოდორესთან"** (ა.ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თხზულებაში, თბილისი, 1964, გვ. 369) და რაც უფრო ზუსტად შეესაბამება ამ სიტყვის განმარტებას, ვიდრე ეს ბერძნულითაა შესაძლებელი (აქედანვეა ნაწარმოები სიტყვა **"სტრიქონი"**, რუსული – **"строка"**).

რაც შეეხება ამ სიტყვის (ბუსტროფედონი) პირველ ნაწილს ბუს – ხარი. მეგრულში ხარისა და კამეჩის ცნობილი სახელია ბუსქა, ზოგ შემთხვევაში კი პირდაპირ ხარს ნიშნავს. ის, რომ ეს სახელი ხარის (**"ხოჯის"**) სინონიმია და ადგილობრივი წარმომავლობისაა, სჩანს ზმნიდან **"ბურსუა", "ბურსაფი"** – ბუცება, დაჯახება, ძგერება, ნავარდი; ბორგვა, შფოთვა; საქონლის კუნტრუში. ყველა ეს მოქმედებები სწორედ, რომ ხარის მანერებია.

ასე, რომ ჩვენი აზრით სიტყვა **"ბუსქა"** შევიდა ბერძნულში, როგორც ბუს (საიდანაც გავრცელდა ევროპულ ენებში: ინგლისური bull, ფრანგული boeuf და ა.შ.), ხოლო რუსეთში, როგორც вол. რაც შეეხება სიტყვას **"ხოჯი"**, ის უნდა მომდინარეობდეს სიტყვიდან **"ხოდი"** (coitus).

აქვე ვიტყვით, რომ სიტყვა **"ნიკორა"**, რომელიც იხმარება ხარის, კამეჩის საკუთარ სახელად (ასევე მიღებულია მის მნიშვნელობად თეთრი ნიშანი (შეადარე მეგრულად **"ჩელა", "ჩე"** – თეთრი) მსხვილფეხა საქონლის შუბლზე, თუმცა გვავიწყდება, რომ ასეთ საქონელს **"ნიშა"** ჰქვია, მაგალითად ნიშა ხარი, ნიშა კამეჩი და ა.შ.) უნდა მომდინარეობდეს სიტყვა **"ნკორუა"**, რაც **"ცოხნას"** ნიშნავს და რაც ჩვენი აზრით არის საქონლის ყველაზე დამახასიათებელი თვისება.

საბოლოოდ, როგორც გამოჩნდა ამ სიტყვის (ბუსტროფედონი) განმარტებამ მიგვიყვანა მისი შემადგენელი ორი დამოუკიდებელი სიტყვების (ბუს და სტრეპჰო) განმარტებამდე და ვფიქრობ, რომ ორივე მათგანი კოლხური წარმომავლობისაა.

**რომოს** – ბერძნულად განიმარტება, როგორც სარბენი ადგილი, სირბილი; ეს სიტყვა რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილია ისეთ სიტყვებში, როგორებიცაა: იპოდრომი, აეროდრომი, მოტოდრომი, ავტოდრომი და ა.შ.

მეგრულად *დურინი* ნიშნავს ფრენას ხმის გამოცემით; ბობოქრობას; ხტომას და ჩვენ ბერძნული დრომოს-თან შედარებით კოლხურ **"დურინს"** უპირატესობას იმიტომ ვანიჭებთ, რომ რა საოცარიც არ უნდა იყოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ნაგებობათა უმეტესობაში ადგილი აქვს სწორედ ფრენას ხმის გამოცემით, ან **"ბობოქრობას", "ხტომას"** გარდა ამისა, ესეც რომ არ იყოს, სიტყვა **"დურინი"** ერთ-ერთი ფორმაა დაახლოებით ამავე შინაარსის სიტყვებისა: ტურინი, ფურინი, ქურინი, ღურინი, რომელთა მნიშვნელობებია: ხტომა; გაფრენა; ფრენა ხმის გამოცემით; გაქცევა.

ასე, რომ კოლხური **"დურინი"** წარმოადგენს, თუ შეილება ასე ითქვას, პროტოტიპს ბერძნული dromos-ისას და ის უკეთ განმარტავს ზემოთ ჩამოთვლილ საყოველთაოდ ცნობილ სიტყვებს.

**ერები** – მეგრულად ნიშნავს დიდ ოჯახს ქონებით, საქონლით; ასევე მოკეთეს; აქედან უნდა იყოს ნაწარმოები ჩვენის აზრით ქართული **"ერი"** – ნაცია.

საინტერესოა ასევე მნიშვნელობა სიტყვისა ერებამი (ჰერებამი) – ბრწყინვალე, სასიამოვნო.

აქედან ხომ არაა მიღებული სომხეთის ძველი დედაქალაქი **"ერებუნის"** სახელწოდება, როგორც **"ბრწყინვალე"**, ან როგორც მოკეთე, მოგვარე დიდი ოჯახისა. ღვთაება ხალდის არგიშთი მენუას ძემ აუგო ეს დიდებული ციხე-სიმაგრე და დაუდგინა მას სახელად **"ერებუნი"**.

აქ ყურადღებას იქცევს სახელი არგიშთი, რომელიც შეიძლება ასე დავმარცვლოთ არგიშ-თი, არგის ოჯახი, არგის მოდგმა. ეს ის დროა როდესაც (მე-8 საუკუნის I-ნახევარი ჩვენს წელთაღრიცხვამდე) სომხები ისტორიულ ასპარეზზე საერთოდ არ ჩანდნენ, მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ. ცნობილია, რომ თვით ჰეროდოტეც (სამი საუკუნით გვიან) არ ახსენებს სომხებს. ასე რომ სავსებით დამაჯერებლად შეიძლება ითქვას, რომ ერებუნი არ იყო სომხეთის ძველი დედაქალაქი, ის ურარტუს დედაქალაქია და იმ დროისთვის მთელი კავკასია და მისი მიმდებარე ტერიტორიები ერთი მოდგმის კოლხურ ტომებს ეჭირათ, რისი დამადასტურებელიც ამ ქალაქის (ერებუნი) და მისი მეფის (არგიშთი) სახელების ეტიმოლოგიებია.

**ზრქელი** – ნიშნავს სქელს ძველ ქართულად. ზირქალი მეგრულად ნიშნავს სქელს, მსუქანს, ამ შემთხვევაში უპირატესობა უნდა მივანიჭოთ მეგრულს, რადგანაც მეგრულში არის ასეთი სიტყვა-ფრაზა, **"ოზირქინანს"** – მსუქნად (სქლად) გამოიყურება. კიდევ მეტი, მეგრულში არის ზმნა **"ზირუა"**, რაც შეგროვებას, დაგროვებას ნიშნავს, ხოლო დაგროვებით გადატანითი მნიშნელობით ხდება უსულო თუ სულიერ საგანთა **"გასქელება", "გასუქება"**. აი, ასეთნაირად არის შეფარული და შემდგომ მივიწყებული კოლხური ძირი სიტყვაში **"სქელი"**.

**კომბალი** – მრგვალთავიანი დიდი ჯოხი. ჩვენი აზრით ეს სიტყვა მომდინარებს მეგრული **გომბარილიდან,** რაც ქართულად გაბერილს ნიშნავს. მართლაც კომბლის ერთი მომრგვალებული თავი სავსებით შესაძლებელია წოდებულიყო გაბერილად, მითუმეტეს რომ ასეთი სახით (**"გომბარილი"**) ის განიმარტება თავისი ერთ-ერთი მახასიათებელი თვისებით. ხოლო რაც შეეხება თვითონ სიტყვა კომბალს, ეს სიტყვა ქართულად არაფერს გვეუბნება, გარდა იმისა, რომ მისი ხსენებისას ჩვენ წარმოვიდგენთ მას, როგორც მრგვალთავიან (გომბარილ) ჯოხს.

ასე წარმოგვიდგენია სიტყვა კომბალის და მასთან დაკავშირებული, ყველასათვის ცნობილი ზღაპრის მთავარი გმირის სახელის კომბლეს ეტიმოლოგია.

**ლაფსუსი** (ლათ. Lapsus დავარდნა) – უნებლიე შეცდომა ნაწერში, მეტყველებაში...

საყოველთაოდ ცნობილ ამ სიტყვის ფუძე ჩვენ მიგვაჩნია წარმომავლად მეგრული სიტყვიდან **"ლაფა" – "ვარდნა"**, რომელსაც ლათინურში ანალოგიური მნიშნელობა გააჩნია. სიტყვა **"ლაფა"**-ს მეგრულში პრეფიქსების დართვით მრავალი მნიშნელობა გააჩნია. მათ შორისაა გოლაფა (გავარდნა) და როგორც ადრე აღვნიშნავდით ეს სიტყვაა ამოსავალი სიტყვებისა, რომლებიც გამოხატავენ ცხენის სვლის ბოლო ალურს: რუსული Аллюр; ფრანგული galop, ინგლისური gallop და ა.შ. ასევე ჩვენი აზრით საყოველთაოდ ცნობილი თამაში გოლფიც (golf) უნდა გოლაფასთან იყოს დაკავშირებული, რადგან ისიც ამ შემთვევაში არა ცხენის, მაგრამ ბურთის გავარდნას (გოლაფა) კი აღნიშნავს.

ასე, რომ კოლხური ფუძეები ევროპულ ენებში უცხონი არ არიან, რისი ერთ-ერთი დამადასტურებელიც არის ეს სიტყვა **"ლაფსუსი"**.

იგივე ფუძისაა სიტყვა კოლაფსი (collapsus), რაც ნიშნავს გულის უეცარ დასუსტებას და სისხლძარღვთა ტონუსის ვარდნას.

**მარგიანა** (სპარსულ ლურსმნულ ტექსტებში – margu) – შუა აზიის იმ მხარის უძველესი სახელწოდებაა, რომელიც მდებარეობდა სოგდიანის, ბაქტრიასა და ჰირკანიას შორის. ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში ცნობილია როგორც კულტურული ოაზისი არამომთაბარე მოსახლეობით, რომლებიც ეწეოდნენ მიწათმოქმედებას, მეცხოველეობას და ხელოსნობას. მარგიანაზე გადიოდა ძველი სავაჭრო გზა დასავლეთიდან ცენტრალური აზიისაკენ.

როგორც ცნობილია, აღნიშნულ ტერიტორიაზე იმ პერიოდში მომთაბარე ტომები ბინადრობდნენ, ხოლო როგორც თვით ეს სიტყვა **"მარგიანა"** და მისი სპარსულ ლურსმნულ ტექსტებში ნახსენები სახელი **"მარგუ"** მიგვანიშნებენ, ისინი კოლხური წარმომავლობისანი (**"მარგალი"** – მეგრელი, **"მარგუალი"** – მრგველი) იყვნენ. როგორც ცნობილია ამ ქვეყნის დედაქალაქს ეწოდებოდა **"მარგანია"**, რომელიც ჩვენში გვარ მარღანიას ასოციაციას იწვევს.

სიტყვა მარგო ლათინურში აღნიშნავს მხარეს, საზღვარს. ასევე იმავე ლათინურშია სიტყვა მარგინალის (მარგინალიები) რაც ნიშნავს შენიშვნებს წიგნის ან ხელნაწრის არშიებზე.

ჩვენ აქ არაფერს არ ვამტკიცებთ, მხოლოდ გთავაზობთ ასეთნაირ ეტიმოლოგიას ვერსიის სახით.

**მოღება** – ძველი და კუთხური (გავცელებულია ხევსურეთსა და ფშავში). სახელი მოიღებს ზმნის მოქმედებისა – მოიტანს. გავრცელებულია ცნობილი ფრაზა მოწყალების მოღება – კეთილად მოკიდება რამისადმი – შეწყალება, კეთილის ნებება.

მოიღო (მოიტანა) მეგრულად გამოითქმის როგორც **"ქიმიღუ"**, რომელიც იშლება (ქო)მიღუ (კი-მოიტანა), ასე რომ მოიღო მომდინარეობს მეგრული მიღუ-დან.

**ნუგზარ კვაშილავა**

# ალიანსში საქართველოს მიღებაზე ნატო-ს უარის შემდეგ ევროკავშირმა ქართველებს ვიზალიბერალიზაციაზე უარი უთხრა



გავლენიანი ბრიტანული საინფორმაციო სააგენტო **„როიტერის"** მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში მოთხრობილია ოთხშაბათს, პირველ ივნისს გამართული ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლების თათბირის შესახებ, რომელზეც საქართველოსთვის (თურქეთთან, უკრაინასთან და კოსოვოსთან ერთად) უვიზო რეჟიმის მიცემის საკითხს იხილავდნენ (პროექტის ავტორი გახლავთ გაბრიელა ბაჩინსკაია).

ევროკავშირის ქვეყნების წარმომადგენლებმა ყურადღებით განიხილეს უვიზო რეჟიმის დაწესების საკითხი საქართველოს მიმართაც, მაგრამ რაიმე გადაწყვეტილება არ მიუღიათ: დიპლომატების თქმით, საკითხის დადებითად გადაწყვეტის წინააღმდეგ საფრანგეთი და გერმანია გამოდიან. **„ჩვენ პროცესის შეჩერება არ გვსურს. უბრალოდ, სიფრთხილეს ვიჩენთ"**, – აღნიშნა ერთ-ერთი იმ ქვეყნის დიპლომატმა, რომელიც უარს აცხადებს საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მიცემაზე.

**„საქართველოდან ევროპა ორგანიზებული დამნაშავეობის ჯგუფებით „მარაგდება". შესაბამისად, ბერლინი სიფრთხილეს იჩენს საქართველოს მიმართ და თვლის, რომ გერმანიაში მოქმედი კრიმინალური ბანდების უმეტესობა ქართული წარმოშობისაა"**, – წერია **„როიტერის"** პუბლიკაციაში.

დაახლოებით ორ მილიონ კოსოვოელს, ქართველს და უკრაინელს უკვე აქვთ შენგენის ზონაში მოგზაურობისათვის აუცილებელი ბიომეტრიული პასპორტები, თურქეთს ჯერ მსგავსი დოკუმენტებით საკუთარი მოქალაქეები უზრუნველყოფილი არ ჰყავს. ეს ნიშნავს, რომ უვიზო რეჟიმით საწყის ეტაპზე მხოლოდ მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა ისარგებლებს. **„მაგრამ ევროსკეპტიკოსები მიუთითებენ, რომ საბოლოო ჯამში სასურველი არ იქნება, ევროკავშირმა კარი გაუღოს ამ ოთხი ქვეყნის 130-მილიონიან მოსახლეობას – ევროპას ხომ მიგრანტების გამო ისედაც უამრავი პრობლემა აქვს უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში"**, – ნათქვამია, კერძოდ, აღნიშნულ სტატიაში.

**საქინფორმი**

# ოქიტაშვილი ბურჭულაძეს – დღეს შემოქმედი ადამიანები აღარ არიან დაყოფილი ჩარეცხილებად, მთავრობისთვის მისაღებ და მიუღებელ ხელოვანებად

კულტურის პალატის პრეზიდენტი დავით ოქიტაშვილი **"სახელმწიფო ხალხისთვის"** თავმჯდომარეს პაატა ბურჭულაძის მიმართავს.

ოქიტაშვილის თქმით, მთავარი დანაპირები, რაც **"ქართულმა ოცნებამ"** შეასრულა ის არის, რომ ქართველ ხალხს მოაშორა პოლიციური და სისხლიანი რეჟიმი, 26 მაისისა და 7 ნოემბრის შემქმნელები.

**"რაც მთავარია, ჩვენი ამაყი ახალგაზრდობა გადაგვარებას, წამებასა და გაუბედურებას გადაარჩინა. 4 წლის წინ, რადიკალურად სხვა გამოწვევის წინაშე იდგა ქვეყანა. 2012 წელს მთავარი ამოცანა იყო სწორედ ამ ძალადობრივი რეჟიმის დამარცხება და ეს უმთავრესი დანაპირები შესრულდა. შეცდომები, რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ ერთ-ერთი, რაც ამ წლების განმავლობაში არ ყოფილა – არ დევნიან თავისუფალ სიტყვას და არ ხდება ზეწოლა მედიაზე, სასამართლოზე, ხელოვანებზე, არ ემუქრებიან ძალადობრივი გზებით. ეს არც ისეთი ცოტაა ამ პერიოდისთვის. მოქმედი ხელისუფლების პირობებში შემოქმედებითი ადამიანები აღარ არიან დაყოფილები ლოიალურებად და მოწინააღმდეგეებად, ჩარეცხილებად, მთავრობისთვის მისაღებ და მიუღებელ ხელოვანებად. დღეს ხელოვანებს შორის არ არის გაყოფილი კედელი და შემოქმედს, თავის საქმის პროფესიონალს, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალება ეძლევა. ამგვარი სელექციის მავნე და შეურაცხმყოფელი პრაქტიკა დასრულებულია და ეს უნდა დავინახოთ",** – აცხადებს ოქიტაშვილი.

მისივე თქმით, თავისუფალი სიტყვის გამოხატვისთვის დღეს არავინ იდევნება და განსხვავებული აზრის დაფიქსირების გამო არავის იჭერენ.

**"დღეს არავის გვეშინია თავისუფალი სიტყვის, განსხვავებული აზრის დაფიქსირების, ამისთვის არ დევნიან და იჭერენ ადამიანებს. ეს არის ცივილური მიდგომა და ნორმალური პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ცხოვრება, ეს კულტურა დღეს საქართველოში დამყარდა"**, – განაცხადა ოქიტაშვილმა.

# თემურ შაშიაშვილი: ტარიელ ონიანის გუნდი ამ არჩევნებზე ძალიან სერიოზულად ემზადება პარლამენტში შესასვლელად!

პარტია **„თეთრების“** ლიდერი თემურ შაშიაშვილი აცხადებს, რომ მომავალი არჩევნებისთვის არა მხოლოდ პოლიტიკური შულერები ემზადებიან პარლამენტში შესასვლელად, არამედ ქურდების მიერ კურთხევამიღებული პოლიტიკური სუბიექტებიც. რას გულისხმობს და რასთან გვაქვს საქმე, ჟურნალისტს თავად თემურ შაშიაშვილი ესაუბრება:

**– ბატონო თემურ, მოდით ვისაუბროთ, კონკრეტული ფაქტებით და ეს თემა ცოტა უფრო გავშალოთ.**

– დავიწყოთ იქიდან, რომ დღეს პოლიტიკაში აღარ არის ელემენტარული წესიერება და მივიღეთ ზნეობის დეფიციტი. ამის გამო ძალიან ბევრი განათლებული და პატიოსანი ადამიანი დაჯდა სახლში, ან საერთოდ წავიდა საქართველოდან. ვინც ქვეყანას არ სჭირდება, მათ აქვთ ძალაუფლება, ვინც სჭირდება, ისინი ჩრდილში არიან. მე ვთვლი, ვინც დღეს ზის სხვის სკამზე, არის პოლიტიკური ქურდი, შენ მოიპარე სკამი, შენ მოიპარე საარჩევნო ხმები და ა.შ, ბოლო დროს დიდი ომი და თაღლითობა მიდის, ინტერნეტში ხუთი ექვსი პარტიაა, რომლების ვებგვერდებზეც საერთოდ არავინ შედის, მაგრამ ხალხს ქირაობენ და ქმნიან შთაბეჭდილებას, თითქოს მთელი საქართველო მათზე ლოცულობს. ჩემთანაც მოვიდნენ ვიღაცეები, და მითხრეს, გადაიხადე ფული, ჩვენ შენს ვებ.გვერდზე ვაჩვენებთ, რომ ყოველდღიურად 400-500 კაცი შემოვა. ეს რაში მჭირდება მეთქი? თუ საარჩევნოდ ფულის მოპოვება გინდათ, ვისთანაც საქმე გექნებათ, იმას აჩვენებთ, ნახე, ჩემს საიტზე რა ამბავია, ლამის ნახევარი საქართველო მხარს მე მიჭერსო უარი ვუთხარი, ეს არის ბლეფი. მაგალითად, **„ნაცმოძრაობა“** აჩვენებს, რომ მათ ვებგვერდზე დღეში შედის ათასი კაცი და ყვირიან – არიქა, ჩვენ გავიმარჯვებთ არჩევნებში! ყველაფერი ჩაწყობილია, ქვეყნის გადარჩენაზე გაქვს პრეტენზია, ხელისუფლებაში მოსვლაზე ფიქრობ და ყველაფერს ყიდულობ?!

ერთ ნაცნობს ვეკითხები: **რომელი პარტიაც მოვიდა ხელისუფლებაში ყველგან იყავი და დღესაც ხარ. არ დაიღალე მეთქი?** ეს ადამიანი მუდმივად საარჩევნო შტაბებშია და იცით, რა მიპასუხა? მე ერთ არჩევნებზე იმდენს ვშოულობ, წლიდან წლამდე მყოფნისო. ესე იგი, საქართველოში შეიქმნა გაპარლამენტარების ფაბრიკები და ასე შემდეგ... მეტსაც გეტყვით, ვინც ბიძინა ივანიშვილმა შეიყვანა პარლამენტში, ყველა სხვის სკამზე ზის. ეს პროცესი დაიწყო შევარდნაძემ, განავითარა სააკაშვილმა და ახლა უფრო გაძლიერდა. იცით, **„ქართულ ოცნებაში“** მაჟორიტარებად ვის ეძებენ? ვისაც დიდი ფული აქვს ნაშოვნი მოსახლეობის ხარჯზე. ალბათ ნორმალური ადამიანი იკითხავს, თუკი ადამიანს ბევრი ფული აქვს, დეპუტატობა რაღაში სჭირდება?! იმაში, რომ უკონტროლო გახდეს და საკუთარ ბიზნესს გაუწიოს ლობირება. მეტი არაფერში, შედეგად, ვიღებთ რას? მდიდარი კიდევ უფრო გამდიდრდა, ღარიბი უფრო გაღარიბდა. ხალხს ეგონა ბევრად უკეთესად იცხოვრებდა და რაც დრო გადის, უფრო უარესად ცხოვრობს, ეს რეალობაა. ახალს არაფერს ვიგონებ, რაც მეტი ფული დაიხარჯება არჩევნებში, მით მეტი კორუფცია იქნება ქვეყანაში. მე გაოცებული ვარ, გამოდის ჩვენი პრემიერ-მინისტრი და იძახის, საქართველოში კორუფცია არ არისო. კვირიკაშვილის მიმართ პატივისცემით ვარ განწყობილი მაგრამ უკვე ისეთ განცხადებებს აკეთებს, თითქოს აზრზე არ არის, რა ხდება ქვეყანაში. პრემიერს მივმართავ, ჯერ მარტო ჭიათურა-ზესტაფონის ბაზაზე შეიქმნა სააკაშვილის სისტემა, რომელითაც უსაზღვროდ გამდიდრდა მისი გარემოცვა. მოვიდა ახალი ხელისუფლება და ეს ბუდე ვერ მოშალა, პირიქით, შუალედური ფირმები შექმნა. ვინ არის ამ 3 ფირმის ხელმძღვანელი? პრემიერ-მინისტრი რომ იყო სააკაშვილის დროს, ცოტა ხნით, გეგა მგალობლიშვილი – მისი ძმა. აიწყვეს ცხოვრება, გაინაწილეს – ზესტაფონი მერაბ სამადაშვილის ხელშია, დაღუპა და დააქცია ეს რაიონი. სამი რაიონი დღეს მაფიის ხელშია. აბა ეს რა არის, თუ არა ქურდობა? ვისი იყო თავის დროზე ფეროშენადნობი ქარხანა? იყო **„მხედრიონის“**, იყო ტარიელ ონიანის, დღეს იქ არიან პოლიტიკური ქურდები. დარჩნენ **„მხედრიონელებიც“** და ონიანსაც აქვს ხელი ჩაყოფილი!

**– ტარიელ ონიანი ისევ ამ საქმეშია?**

– რა თქმა უნდა, ონიანი გინდა ციხეში ყოფილა, გინდა სხვაგან, რა მნიშვნელობა აქვს? სააკაშვილი მითებს გვიყვებოდა, ქურდების ეპოქა დავამთავრეო, რომელი ქურდების ეპოქა დაამთავრა? უბრალოდ, ყველას შეეკრა და ყველა გააძლიერა. მეტსაც გეტყვით, ამ არჩევნებზე ძალიან სერიოზული გუნდი ემზადება პარლამენტში შესასვლელად, რომელსაც ჰქვია ტარიელ ონიანის გუნდი. მეტს აღარ დავაკონკრეტებ.

**– რომელიმე კონკრეტული პარტიაა?**

– ეს ხალხი პარტიებშია გაბნეული. ონიანის დაბადების დღეებზე რომ თამადობდნენ, ასეთები დღეს პატრიოტობაზე ლაპარაკობენ.

**– ბატონო თემურ, ეს უკვე სასკანდალო თემაა და თანაც სერიოზული ბრალდება.**

– ეს რეალობაა და მე მგონი ბევრი ხვდება უკვე. თუ ბიძინა ივანიშვილმა არ იცის, აგერ ვეუბნები: მამალ ნაციონალებს, ე.წ. ბიზნესმენებს დასდევენ, მოდით კენჭი იყარეთ რაიონებში მაჟორიტარებადო. თუ ახლა კიდევ დაასახელებენ რეგიონებში ისეთ პიროვნებებს, რომლებმაც ფული იშოვეს პოლიტიკით ხალხის ხარჯზე, ქვეყანაც დაიქცევა, ბიზნესიც და მოსახლეობაც. კიდევ ვიმეორებ, ასეთებს ეძახიან, სთავაზობენ... რამდენიმემ პირადად მითხრა, ბატონი ბიძინა შემხვდა და მითხრა, კენჭი იყარეო, მისმა ძმამ მითხრაო, მისი გარემოცვიდან მითხრესო, არ მინდა რომ დავიჯერო... ბიზნეს-ინტერესების მქონე ადამიანი არ უნდა იყოს პარლამენტში. ეს არის ელემენტარული რამ. დეპუტატი უნდა გახდეს ისეთი ადამიანი, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას... ყველა პარტიის განცხადება წვეთი წყალივით ჰგავს ერთმანეთს, ყველა იწყებს ახალ ეპოქას, თურმე დამთავრებულა ვიღაცის დრო. ახლა მისი მოსვლით უნდა დაიწყოს ახალი წელთაღრიცხვა. გაიხედ-გამოიხედოს, თავის გარემოცვაში დააკვირდეს, და მიხვდება, რომ ის ახალ ეპოქას ვერ დაიწყებს. როცა მოვლენ, გპირდებიან მილიონ სამუშაო ადგილს, მილიონი ადამიანი კი მიდის საქართველოდან სამუშაოდ უცხოეთში, დაგვპირდებიან – ახლა სიღარიბიდან კეთილდღეობისკენ უნდა წავიდეთო, მივდივართ უარეს სიღარიბეში. ყველა პარტიას უნდა ჰქონდეს კონკრეტული გეგმა, ვინც გაიმარჯვებს, ორი წლის შემდეგ უნდა ჩავუტაროთ ნდობის რეფერენდუმი, თუ ვერ გაამართლა, გადავირჩევთ და მოვა სხვა. რა გამოდის, ერთხელ მომატყუე და მერე მთელი 4 წელიწადი უნდა გელოდო? თუ მაგრები არიან, ყველა პოლიტიკურმა ძალამ მიიღოს ეს წინადადება, შევთანხმდეთ, ვინც არ უნდა გაიმარჯვოს, ორი წლის შემდეგ ვიბარებთ ანგარიშს და ვატარებთ ნდობის რეფერენდუმს.

ესაუბრა **გელა ზედელაშვილი**

"ილორის" მთავარი რედაქტორის კომენტარი: *გავიდა საკმაოდ დიდი დრო მას შემდეგ, რაც ბატონი თემურის ეს წერილი გაზეთ "ალიაში" გამოქვეყნდა, მაგრამ მასზე რეაგირება არც სახელისუფლებო სტრუქტურებს მოუხდენიათ და არც იმ არასამთავრობოებს, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ ქვეყნის გულმხურვალე გულშემატკივრებად წარმოგვიდგინონ თავი. არადა, საქმე გვაქვს აშკარად სახელმწიფო დანაშაულთან, რამაც შეიძლება ძირი გამოუთხაროს სახელმწიფოებრიობის საფუძვლებს. ბატონ თემურისთან დიდი ხნის მეგობრული და საქმიანი ურთიერთობები მაკავშირებს და ღრმად ვარ დარწმუნებული როგორც მის კეთილსინდისიერებაში, ასევე გულწრფელობაში. იგი არასოდეს იკადრებდა ორღობის ჭორებზე ყურადღების გამახვილებას და უეჭველია, რომ მან თავის წერილში მრავალგზის გადამოწმებული უტყუარი ფაქტები გააჟღერა.*

*ამდენად, აუცილებელი იქნებოდა რომ ქვეყნის პრეზიდენტს ამ საკითხისადმი უშიშროების საბჭოს სხდომაც კი მიეძღვნა, მაგრამ ყვარყვარე-მარგველაშვილს ახლა ამისთვის არ სცხელა, რადგან დღემუდამ საკუთარი პიროვნების განდიდებითა და პრეზიდენტის სავარძლის შენარჩუნებითაა დაკავებული.*

*მცირე ხანს კიდევ დაველოდებით და თუ სახელმწიფომ ამ უაღრესად საჭირბოროტო საკითხს სათანადო ყურადღება არ მიაქცია, გამოვაქვეყნებთ სხვა მამხილებელ მასალებსაც.*

**როლანდ ჟალაღანია**

# დასრულდა ქვესადგურ „ხორგას“ მშენებლობა



**„ხორგა-ს“** მშენებლობა დასრულდა. განხორციელდა 220/110კვ ქვესადგურის მშენებლობა, რამაც ენერგეტიკის სამინისტროს ცნობით, გააძლიერა დასავლეთ რეგიონის მნიშვნელოვანი კვანძი – **„ვარდნილჰესი ზუგდიდი-მენჯი-ხორგა-ფოთი-ბათუმი“. "ხორგამ"** ხელი უნდა შეუწყოს ელექტროენერგიის გადაცემის სიმძლავრის გაზრდას, პერსპექტივაში ასაშენებელი ჰიდროელექტროსადგურებიდან ახალი სიმძლავრეების გატარებას, ფოთის ინდუსტრიული ზონისთვის დამატებითი სიმძლავრის უწყვეტ მიწოდებას, საექსპორტო ბაზრებთან დაკავშირებას, რაც საშუალებას მისცემს ქვეყანას, გაზარდოს ელექტროენერგიის ექსპორტი თურქეთში.

**„მსგავსი პროექტების განხორციელებით საქართველო თავის ბუნებრივ რეგიონული თუ საერთაშორისო მნიშვნელობის ფუნქციას და დანიშნულებას უბრუნდება. ჩვენ ვიყავით და კვლავაც ვხდებით სატრანზიტო ხიდი, დერეფანი ევროპასა და აზიას შორის, საქართველოზე გადის მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტების ინტერესები და ეს საწინდარია ქვეყნის სწრაფად ფეხზე დადგომის, ეს ერთ-ერთი უმთავრესი გარანტიაა ქვეყნის უსაფრთხოების",–** განაცხადა კახა კალაძემ, რომელიც ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში ქვესადგურის დასრულების საზეიმო ღონისძიებას დაესწრო.

სახელმწიფო ელექტროსისტემის რეაბილიტაციის მმართველის, სულხან ზუმბურიძის თქმით, **„ხორგას“** მშენებლობა განხორციელდა საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის განვითარების გრძელვადიანი გეგმის შესაბამისად. მანვე განმარტა, რომ ეს გეგმა მიზნად ისახავს სხვა მნიშვნელოვანი პროექტის რეალიზაციასაც. მათ შორის, მიმდინარე წელს დასრულდება ქვესადგურების: **„მარნეული 500-ის"** და **„ქსანი 500-ის"** აგრეთვე, **„ახალციხე-ბათუმის“** დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზის მნიშვნელოვანი ნაწილის, ხოლო 2017 წელს ჯვარი-ხორგას და ქსანი-სტეფანწმინდას დამაკავშირებელი ხაზების მშენებლობა.

**„ახალი ენერგოობიექტები ხელს შეუწყობს საიმედო, ევროპული ტიპის ელექტროგადამცემი ქსელის შექმნას, ჰიდროენერგეტიკულ სექტორში ინვესტიციების მოზიდვას, შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს და გაზრდის ეკონომიკას",–** განაცხადა მან და გუბერნატორ ლევან შონიას მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

**„ხორგას“** მშენებლობა **„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ „რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტის“** ფარგლებში, 2015 წლის ივლისში დაიწყო. პროექტი **„აზიის განვითარების ბანკის“** ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა და მისმა ღირებულებამ 11,9 მლნ ევრო შეადგინა. სამშენებლო სამუშაოებს ავსტრიული კომპანია **„Siemens-ი“** აწარმოებდა. სამუშაოებზე ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდა.

ქვესადგურის დასრულების საზეიმო ღონისძიებას ხობში ვიცე-პრემიერ და ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძესთან ერთად, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის რეაბილიტაციის მმართველი სულხან ზუმბურიძე, საქართველოში **„აზიის განვითარების ბანკის“** მუდმივი წარმომადგენლობის დირექტორი (ADB) იეშიმ ელჰან-კაიალარი და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე კახაბერ რუსია დაესწრნენ.

## პოეზიის კუთხე

მოგესალმებით ბატონო როლანდ,
უმორჩილესად გთხოვთ, თქვენს გაზეთში დაბეჭდოთ ნოდარ ჯალაღონიას ლექსი, რომელიც ოცდაოთხი წელია ჯიბით ვატარეთ.

ლევან ზაალიშვილი
სირია, დამასკო
2016 წლის 5 მაისი

ქართველ ინტელიგენციას კი არა,–
ზოგიერთ ქართველ "ინტელიგენტს".
/"მადლობა ინტელიგენციას, რომელმაც აიღო იარაღი."/

ე.შევარდნაძე
/ტელეეკრანიდან გაგონილი/

აბა, რა ვუთხრა უმწიფარ ბიჭებს,
მათ, ვინც ქუჩებში ნიღბებით დარბის,
მათ, ვინც ავტომატს ხელში ძლივს იჭერს,
უჭირს გარჩევა ცოდვის და მადლის,
ის ცოდვის ტვირთი უნდა ატაროთ,
უნდა ატაროთ რიგით და წესით,
თქვენ, ქალბატონო! და თქვენ ბატონო!
ვინც, მათი გული აავსეთ გესლით.
თქვენი ჩინ-ჯილდო არ ნიშნავს სულაც,
ხალხის სიყვარულს, ნებას და სურვილს,
ეს, თქვენ აქციეთ კაენის სულად
ჩვენი ბიჭების უმანკო სული.
თუ კი დღეს, ავობს სიკეთის ნიჭი
და ფუნჯის ნაცვლად, ავტომატს იღებს,
ეს, თქვენ ადებდით იმ ქართველ ბიჭებს,
ხელზე ბორკილებს, სახეზე – ნიღბებს.
თქვენ აჩეჩებდით ხელში იარაღს,
იმ რუსთაველზე კაენის სულმაც,
თქვენი სურვილით გადაიარა.
რასაც ნგრევა და სიკვდილი ჰქვია,
იქ, ლომის წილი სწორედ, თქვენ გიდევთ,
ეს, თქვენ მესროლეთ, მეც იმ დღეს ტყვია,
თქვენი ხელიდან მკვდარი ვარ კიდეც.
რას ეტყვით, ანდა რა პასუხს გასცემთ
ხალხს, თქვენი ლირწის მნახველს და მჭვრეტელს,
არ მოსცილდება არასდროს სისხლი,
თქვენს კალამს, თქვენს ფუნჯს და თქვენს საჭრეთელს.
რაც მოხდა, გულში რაც გვჭირს იარა,
არ უნდა დიდი ჭკუა და ცოდნა,
თქვენ გადევთ,
მარტო მკვდრების კი არა,–
ცოცხლად დარჩენილ ბიჭების ცოდვაც.

ნოდარ ჯალაღონია
12 მარტი 1992 წ.

### ოდაბადე

ოდაბადე, ოდაბადე,
სქანდა ბრელ მაფ ორაგადე,
სი მა მაჟრათ ქუდმაბადი
შხვა ნინაშა მორაგადე
ენომხანტუდ გურშა ირო
ომარგალეშ ბჟა დო თუთა,
მანცხვარიში ოზეშ ორო
ჩქიმ ზუგდიდი, ჯუმი, ურთა
მა ვორდიკო სოდგა-სოდგა
სქან ცოროფაშ ვამიღ კილი,
გონწყ კიდირი, ქომხუტოლე
რთხინქ ბირგულმოდირაკილო.
თოლეფ მუნაფილი გაფუ,
ნირსი ორე ჟი დო თუდო,
ქუმმაზადი, ჯვეშობურო
შონეშ გვალათ მალამრთუმდო
ოდაბადე, დორრაბადეს,
დორრაბადეს, ოდაბადე,
მარაბადალს დორაბადანქ
რაბადელი ოდაბადე
ჭყანიორ რექ ოდაბადე,
ბრელი ოკო ქუდაბადე,
მალიმარი გერ-ბოშეფი
დაიბადეს დო ქუდაბადენქ
ოდაბადე, უბადობა
კინოხ გინნაღელი გაფუ,
მუსხანი რე, ვაგოიძიცუ,
ვაიბირუ დო ვაილაცაფუ
ჟიშე ღორონთ ქუმოიჩინანს
ტერ-მოჯგირე მითი გაფუნ,
ველუქ თეში, ნინაშ სქანიშ
წიმოდგინა ქიდიჭყაფუ
ოდაბადე, ოდაბადე,
ქუგონებ და, ქენმაფალი,
ქუდამჯერი, სქუა გაფუქ
ლუბაშ მილახუნაფალი
შურ დო გურით განინალუქ
კილე კინოკართანელო,
თოლეფ სქან ხეთ ქიგემწკური
სქან გოლუა, სქან სანთელო
ოდაბადე, ასე ოკო
გავასურე ორაგადე,
თელო ქუგორლუაფუდა
სქან ნინაშა მორაგადე
მითაჟამიშ სქვამ ნინაშა
დუდიშულო მორაგადე

რამაზ კუპრავა,
1994 წანა, ზუგდიდი

# ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი — მითები და რეალობა

ამას წინათ ივანიშვილმა გამოაქვეყნა ღია წერილი, რომელშიც განვლილი 4 წელიწადი შეაჯამა. მმართველი გუნდის საქმიანობა, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და სამომავლო გეგმები, ქვეყნისა და მსოფლიოს წინაშე არსებული გამოწვევები, ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსი, მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობა და ერებს შორის ურთიერთობა — აი ძირითადი საკითხები, რომლებზეც ყურადღებაა გამახვილებული.

წერილმა საზოგადოების არაერთგვარი შეფასებები გამოიწვია — ურთიერთგამომრიცხავი. ერთნი მიიჩნევენ, რომ წერილში ტყუილებისა და ტრაბახის მორიგი კასკადია. მეორენი ივანიშვილს ხოტბას ასხამენ და ამბობენ, რომ ეს იყო ყველაზე სწორი შეფასება; მანანა კობახიძეს კი "ივანიშვილის წერილმა ილიას პუბლიცისტიკა გაახსენა".

ვრცელ წერილში ბევრი საკამათო პასაჟია, მაგრამ ყურადღებას მხოლოდ რამდენიმეზე გავამახვილებთ:

ბიძინა ივანიშვილი წერილის იმ ნაწილში ("სად ვიყავით"), რომელშიც მოჰყავს ნაწყვეტები 2011 წლის 7 ოქტომბერს გამოქვეყნებული მიმართვიდან, აღნიშნავს:

"საგადასახადოს, პროკურატურისა და სასამართლოს გამოყენებით ქართულ ბიზნესზე ისეთი გაუგონარი ძალადობა განხორციელდა, რომ საქართველოში, პრაქტიკულად, თავისუფალი ბიზნესი აღარ არსებობს... ერთ დიდ ციხედ გადაქცეული მთელი ქვეყანა, ასეულობით ათასი პატიმარი და პრობაციონერი იმას ნიშნავდა, რომ ლამის მთელი მოსახლეობა პატიმრების ჭირისუფლად იყო ქცეული და ციხის კარს შეჰყურებდა. ტოტალური მოსმენები, თვალთვალი, ფარული გადაცემები, დასმენა და შანტაჟი ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმებოდა.

ვისაც ხელისუფლების მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას შეატყობდნენ, სამსახურებიდან აგდებდნენ, ქონებას ართმევდნენ, ცემდნენ, აპატიმრებდნენ, ციხეში აწამებდნენ და, თუ საჭიროდ მიიჩნევდნენ, კლავდნენ კიდეც. ორმაგი სტანდარტით მართავდნენ ქვეყანას — სინამდვილეში სულს ხდიდნენ ადამიანებს, სხვების დასანახად კი დემოკრატიის შუქურად მოჰქონდათ თავი".

დიახ, მართლა ასე იყო სააკაშვილის მმართველობის პერიოდში და სწორედ ამ ჯალათი რეჟიმის თავიდან მოსაშორებლად და სამართლიანობის აღსადგენად დაუჭირა მხარი საქართველოს მოსახლეობამ "ქართულ ოცნებას", იმედით, რომ ადამიანებს წართმეულ ბიზნესს დაუბრუნებდით, მკვლელებსა და მწამებლებს კი სათანადოდ დასჯიდით, მაგრამ მოხდა ასე? მხოლოდ მერაბიშვილი და უგულავა არიან დამნაშავენი 2003-2012 წლებში ქართველი ხალხის თავზე დატრიალებულ უბედურებებში? განა დამნაშავე ნაციონალებთან კოაბიტაციის გამო დაუჭირა მხარი ამომრჩეველმა "ქართულ ოცნებას" და პირადად ბიძინა ივანიშვილს? ხომ ცხადია, რომ სწორედ ე.წ. კოაბიტაციის შედეგად აღზევდა "ნაცმოძრაობა" და ახლა ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციის "დაუსჯელობის სინდრომით" გათამამებული წევრები საქართველოს მოსახლეობას ხელისუფლების სათავეში დაბრუნებით ემუქრებიან. განა კორცხელში გამართულ არჩევნებში "ქართულმა ოცნებამ" "ნაცმოძრაობის" მოქმედი წევრი(!) არ დაასახელა თავის კანდიდატად? განა კორცხელშიც ისეთივე ცემა-ტყეპით, არ ჩატარდა არჩევნები, როგორ მეთოდებსაც თავის დროზე "ნაცმოძრაობა" იყენებდა?

"ოთხ წელიწადში ჩავატარეთ სამაგალითო — 2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნები და ბოლო მოვუღეთ მოქალაქეებისთვის ხმების მოპარვის დანაშაულებრივ პრაქტიკას".

ამ ფრაზის წერისას ბატონ ბიძინას, ალბათ, არ გაახსენდა 2015 წლის ოქტომბერში საგარეჯოში გამართული შუალედური არჩევნები, როდესაც თავდაცვის მინისტრმა ხიდაშელმა სამინისტროს რესურსი გამოიყენა და რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელს დეპუტატობა გაუკვარახჭინა.

სოციალურ ქსელებს თავი რომ დავანებოთ, მედიასაშუალებები გადაჭედილია საქართველოს პატრიარქისა და, საერთოდ, მართლმადიდებლობის ლანძღვა-გინებით ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთა მხრიდან, რომელთაც ფულს ყოველივე ქართულისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ობსკურანტიზმის გადმონაშთად წარმოჩენაში უხდიან.

"მე თანამოქალაქეებს დავპირდი, რომ, — წერს ივანიშვილი, — პერსპექტიულს გავხდიდით აფხაზეთისა დასამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე ქართული სახელმწიფოს იურისდიქციის აღდგენას. დავიწყებდით რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას, გავაღრმავებდით აშშ-სა და ევროკავშირთან მეგობრობასა და ინტეგრაციას".

ამ დაპირებებიდან, აშშ-სა და ევროკავშირთან მდგომარეობის "გაღრმავების" გარდა, რაც თბილისში ბიოლოგიური ლაბორატორიის, ე.წ. საწვრთნელი ცენტრის მოდერნიზაციასა და "ვიზალიბერალიზაციაში" გამოიხატა, არაფერი გაკეთებულა. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს კი (რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაზე ლაპარაკი აღარ არის) ამჟამინდელი ხელისუფლება საერთოდ აღარ ახსენებს.

"2013-2016 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 62%-ით მეტია, ვიდრე 2009-2012 წლებში... მსოფლიო ეკონომფორუმის კონკურენტუნარიანობის გლობალურ რეიტინგში 2006-2007 წლებში 87-ე ადგილზე ვიყავით, 2011-2012 წლებში 88-ზე აღმოვჩნდით, ხოლო 2015-2016 წლებში 66-ე ადგილზე გადავინაცვლეთ და ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანას გადავუსწარით...

სავალუტო ფონდის აპრილში გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, საქართველოში 2016 წელს ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი პირველად გადააჭარბებს 10.000 დოლარს, რაც 25%-ით აღემატება 2012 წლის დონეს. იმავე კვლევის მიხედვით, 2017-2021 წლებში საქართველოს ეკონომიკა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 46,4%-ით გაიზრდება".

ამ (და სხვა) მიღწევების წაკითხვის შემდეგ კაცი უნებლიეთ იფიქრებ, რომ ბატონი ბიძინა სხვა პლანეტაზე, სხვა ქვეყანაში ცხოვრობს ან კიდევ მითებს გვიყვება, რადგან რეალობა სხვაა — საქართველოში მაღალია უმუშევრობის დონე, ლარი გაუფასურებულია, პენსიები კი სასაცილო... ქვეყანაში, საიდანაც მილიონზე მეტი ადამიანი ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთშია გადახვეწილი და ბევრი, შიმშილით რომ არ მოკვდეს, ნაგავში იქექება, რომელ ეკონომიკურ წარმატებაზეა ლაპარაკი?!

ყველაფრის მიუხედავად, ივანიშვილის წერილში არის მონაკვეთი, რომლის არსიც მისაღებია. როგორც ჩანს, ივანიშვილის ზოგიერთი მრჩეველი კითხულობს და ჯეროვნად აანალიზებს გონივრულ წინადადებებს. ალბათ, ამით აიხსნება ივანიშვილის წერილში რიგი მონაკვეთების ასეთი მსგავსება იმასთან, რაზეც გაზეთი "საქართველო და მსოფლიო" წლების წინათ წერდა — ეს არის საქართველოს ადგილი რეგიონში და საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი.

აი, რას ამბობდა 2013 წლის ივნისში თავის ინტერვიუში **ცნობილი პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია:**

"მიმაჩნია, რომ საქართველო უნდა შეუდგეს რეგიონში იმ როლის შესრულებას, რომელიც ისტორიულად განპირობებულია მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით, ბუნებრივი პირობებით, მოსახლეობის ეროვნული და კონფესიური შემადგენლობით, ქართველი ხალხის, როგორც სახელმწიფოს წარმომქმნელი ერის მენტალიტეტით. საქართველო მდებარეობს დასავლეთისა და აღმოსავლეთის მიჯნაზე, ცივილიზაციების გზაჯვარედინზე, ქრისტიანობისა და ისლამის შეხების ადგილას, მეტიც, ქრისტიანობის ძირითადი განშტოებების — მართლმადიდებლობის, კათოლიკობის, გრიგორიანობისა და ასევე ისლამის ძირითადი განშტოებების — სუნიტებისა და შიიტების შეხების ადგილას. აქვე ისტორიულად არსებობს იუდაიზმი, ასევე ქურთების, იეზიდების, ასირიელებისა და მთელი რიგი ხალხების რელიგიები. და მიუხედავად ამისა, ისტორიას არ ახსოვს, რომ საქართველოში რელიგიური უთანხმოების ნიადაგზე მომხდარიყოს სერიოზული შეტაკება, მით უფრო რელიგიური ომები. ამიტომ საქართველო, ღვთისა და ისტორიის ნებით, წარმოადგენს ბუნებრივ მოედანს კონფესიათაშორისი, ეროვნებათაშორისი, ცივილიზაციათაშორისი ურთიერთობების შესწავლისთვის, ანუ, თანამედროვე მსოფლიოში ადამიანური თანაარსებობის ამ ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტების შესამეცნებლად. მართალია, შევარდნაძემ და სააკაშვილმა საკუთარ მოსახლეობასთან ეთნოკონფლიქტების გაჩაღებით სერიოზულად შელახეს საქართველოსა და ქართველების რეპუტაცია, მაგრამ, ვფიქრობ, საკითხის გონივრული დასმით ეს გამოცდილებაც შეიძლება ვაქციოთ კვლევის საგნად, როგორც, მაგალითად, ავანტიურისტი ხელისუფლების ვოლუნტარისტული ჩარევა ხალხების ბუნებრივად მიმდინარე თანაცხოვრებაში.

იდეალურ შემთხვევაში, საქართველო შეიძლება იქცეს დემილიტარიზირებულ ქვეყნად, თანამედროვე მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი პრობლემების შემსწავლელ ლაბორატორიად, რეგიონში წამოჭრილი სერიოზული საკითხების დასარეგულირებლად საერთაშორისო შეხვედრების ადგილად, სადაც მთელი რიგი მსხვილი საერთაშორისო ინსტიტუტებისა განთავსდება. სწორედ სხვადასხვა ხალხებთან და რელიგიებთან მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების გამოცდილების გამო საქართველოს შეუძლია დიალოგების არენად იქცეს ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, როგორიცაა თურქულ-ქურთული, სომხურ-აზერბაიჯანული, ირანულ-თურქული, ირანულ-აზერბაიჯანული, თურქულ-სომხური პრობლემები, რამეთუ საქართველოში თითოეული მხარე დაინახავს მონათესავე გარემოს უკონფლიქტო თანაცხოვრების ჩვენეული გამოცდილებით. მსგავსი საქმიანობისთვის უზარმაზარი პერსპექტივები არის ჩრდილოეთ კავკასიაშიც. რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებით ჩვენ შევძლებდით მათ არსებით დახმარებას პრობლემების დარეგულირებაში, რომლებიც მუდმივად წარმოიშობა ხოლმე საქართველოსთან ისტორიულად მრავალი ძაფით დაკავშირებულ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის. საქართველოს აქვს ყველა წინაპირობა, რომ მსოფლიო რელიგიურ კონფესიათა შორის დიალოგის ადგილი გახდეს. ასეთი როლი — ჟენევის როლი ჩვენს რეგიონში — უზრუნველყოფდა საქართველოს საჭიროებას ყველა მეზობელი სახელმწიფოსთვის, შესძენდა მას პატივისცემას და შეუქმნიდა ავტორიტეტს რეგიონის ხალხებში, რაც თავისთავად უზრუნველყოფდა ჩვენს უსაფრთხოებას. ასეთი ფუნქციის შეძენა გამოიწვევდა ქვეყანაში სოლიდური ფინანსური სახსრების მოზიდვას, მოახდენდა განათლებისა და მეცნიერების განვითარებას, კვლევითი მუშაობის სტიმულირებას ისტორიის, რელიგიის, ეკონომიკის, სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის, ფილოსოფიის, ხელოვნებათმცოდნეობისა და სხვა დარგებში... ამასთანავე, საქართველოს თავისუფლად შეუძლია, იქცეს საერთაშორისო მნიშვნელობის სამედიცინო-სარეაბილიტაციო ცენტრად მაღალი კლასის კლინიკებითა და სანატორიული ბაზით. გარდა ამისა, საქართველოს შეუძლია გახდეს მეზობელი ხალხებისთვის მათი კულტურული მიღწევების დემონსტრირების ადგილი: აქ შესაძლებელია საერთაშორისო თეატრალური და კინოფესტივალების, სამხატვრო გამოფენების, მუსიკალურ ღონისძიებათა ჩატარება; ჩვენ ხომ გვქონდა ამის გამოცდილება, უბრალოდ, საჭიროა, აღვადგინოთ და გავაღრმაოთ იგი.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა პერიოდში არსებობდა ქართული მათემატიკური სკოლა, ქართული ფსიქოლოგიური სკოლა. ბევრ ერს არ შეუძლია მოიწონოს თავი ეროვნული სამეცნიერო სკოლებით. გონივრული მიდგომით ყველაფერ ამის აღორძინება შეიძლება, ყველაფერი ეს მოთხოვნადია თანამედროვე მსოფლიოში, ყოველივე ეს საქართველოს მოუტანს პოზიტიური, ეფექტურად განვითარებადი ქვეყნის სახელს, ხოლო ქართველებს — თანამედროვე, ინტელექტუალური ერის რეპუტაციას, რომელიც ტრადიციულ ღირებულებებზე დაყრდნობით მეცნიერებასა და კულტურას ავითარებს.

მე ვოცნებობდი, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენ სწორედ ასეთ საქართველოს ავაშენებდით. სწორედ ასეთმოდელს ვთავაზობდი 90-იან წლებში და იმედი მქონდა, რომ შევარდნაძე, თავისი საერთაშორისო გამოცდილებიდან და მაშინდელი ავტორიტეტიდან გამომდინარე, ამ გზით წავიდოდა, მაგრამ მან საგარეო დიქტატისადმი მორჩილება, ქვეყნის დეინდუსტრალიზაცია, სამეგრელოს აოხრება და გაძარცვა, აფხაზეთში ძმათაკვლა ამჯობინა. სააკაშვილმა კი გააგრძელა თავისი სულიერი მამის მოღვაწეობა. საქართველო დაიქცა, მისი განვითარება შეჩერდა, დაიწყო დეგრადაცია. დღეს ჩვენ კრიტიკულ მდგომარეობაში ვართ, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ გვაქვს შანსი, ავაშენოთ ისეთი საქართველო, როგორზეც ვოცნებობდი. დარწმუნებული ვარ, სწორედ ასეთი უნდა იყოს "ქართული ოცნება".

ეს კი ამონარიდია ბიძინა ივანიშვილის 2016 წლის 30 მაისის წერილიდან, რომელიც, ფაქტობრივად, იმეორებს ალექსანდრე ჭაჭიას მოსაზრებას:

"ყველა ერს აქვს რაღაც განსაკუთრებული თვისება, გამორჩეული შესაძლებლობა, რომლის მეოხებითაც იგი წარმატებას აღწევს. ეს შეიძლება იყოს ხელსაყრელი ადგილმდებარეობა, ბუნებრივი წიაღისეული, ადამიანური რესურსი, შრომისმოყვარეობა, ტექნოლოგიური მიღწევები და ა.შ. საქართველოსთვის ასეთ საყრდენ ფენომენად მესახება მრავალსაუკუნოვანი უწყვეტი კულტურა და ევროპისა და აზიის გზაშესაყარზე დიდ იმპერიებს შორის ცხოვრების უნიკალური გამოცდილება, რომლის წყალობითაც თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და პროგრესისკენ სწრაფვის უნარ-ჩვევები ლამის გენეტიკურ კოდში გვაქვს ჩაწერილი...

ნამდვილად შეგვიძლია, რომ ევროპისა და აზიის გზაშესაყარზე მდებარე საქართველო ძალიან მალე გადავაქციოთ კულტურათა და ცივილიზაციათა თავშეყრისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ადგილად, რომლის მოდელიც არის ძველი თბილისი და რისი გამოცდილებაც ათეულობით საუკუნის განმავლობაში გამოვიმუშავეთ...

ჩვენი სტრატეგიული კაპიტალია გეოპოლიტიკური მდებარეობა და კულტურათა მშვიდობიანად შეხვედრისა და თანაარსებობის გამოცდილება. ავტორიტარიზმში დაბრუნება ჩვენთვის, მხოლოდ პოლიტიკური კი არა, კულტურული და მენტალური ტრაგედიაც იქნება, ვინაიდან ავტორიტარიზმი ძალადობაა, მისთვის მიუღებელია პოლიტიკური, რელიგიური და საზოგადოებრივი მრავალფეროვნება და ნულოვან ტოლერანტიზმს ამკვიდრებს.

ნულოვან ტოლერანტობასა და ავტორიტარიზმში დაბრუნება გამოიწვევს იმას, რომ ჩვენი ქვეყანა, კულტურათა მშვიდობიანი გზაშესაყარის ნაცვლად, ცივილიზაციათა გზაგასაყარად და ინტერესთა შეჯახების პოლიგონად გადაიქცევა, რაც დაგვანგრევს და განვითარების ყოველგვარ პერსპექტივას მოგვისპობს"...

შეძლებს თუ არა ამ დაპირების შესრულებას ბიძინა ივანიშვილი, მალე დავინახავთ, თუმცა ჯერ მისმა გუნდმა საპარლამენტო არჩევნებში უნდა გაიმარჯვოს, თანაც დიდი უპირატესობით და ხელისუფლების სათავეში მოიყვანოს ეროვნული ძალები და არაპროდასავლურ-ანტიქართული, როგორც ეს გააკეთა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც "ქართულ ოცნებას" "ნაცმოძრაობიდან" "გადაპორტირებული" პირები, რესპუბლიკელები და ალასანიას პარტიის წარმომადგენლები მიაბა.

საერთოდ, რჩება შთაბეჭდილება, რომ ივანიშვილი ამ წერილს წერდა არა როგორც საქართველოს მოქალაქე, რომელმაც უნდა, გაიაზროს საკუთარი, ტერიტორიებდაკარგული, კატასტროფის პირას მყოფი კავკასიური ქვეყნის, რეგიონის, უშუალო სამეზობლოს რეალობა, არამედ, როგორც, მაგალითად, რომელიმე ბალკანური სახელმწიფოს წარმომადგენელი.

თავის წერილში ივანიშვილს, ავიწყდება, რომ საქართველოს სულიერ-ზნეობრივი დეგრადაცია აქტიურ ფაზაშია შესული; რომ მიმდინარეობს დაუფარავი შეტევა მართლმადიდებლობაზე; რომ ხდება გარყვნილების დანერგვა-პროპაგანდა; ერის, როგორც სოციო-კულტურული ფენომენის გადაგვარება და კვლავ აქებს კოალიციას, რომელიც შექმნა... შეგახსენებთ, ეს ის კოალიციაა, რომელიც მეტწილად ზემოჩამოთვლილ უბედურებებში ხშირად "ნაციონალურ მოძრაობაზე" მეტად ჩართული რესპუბლიკელებისა და ალასანიას პარტიისგან თუ სააკაშვილის ბანდის სხვა ოდიოზური თანამზრახველებისგან შედგებოდა... ივანიშვილი მოგვიწოდებს, კვლავ დავუჭიროთ მხარი "ქართულ ოცნებას" — პრემიერ კვირიკაშვილის "გამოცდილ გუნდს"... ვის, ბატონო ბიძინა, რესპუბლიკურ პარტიას, "ოცნებაში" პორტირებულ სხვა ნაცებსა და მათ დესანტს თუ ბატონ კოღუაშვილს, რომელსაც, ლამისაა, ენა გაუცვდეს სააკაშვილის რეჟიმის ჯალათების ქება-დიდებაში? იქნებ მარგველაშვილს ან ენამჭევრ ზაქარეიშვილს, ან შეუდარებელ ხიდაშელს უნდა დავუჭიროთ მხარი? განა ასევე არ მოგვიწოდებდით, თან დაჟინებით და ჯიუტად, ამ რამდენიმე წლის წინათ, მხარი დაგვეჭირა რესპუბლიკელებისთვის, ალასანიასთვის, მარგველაშვილისთვის? სად არიან დღეს ისინი, ვის ინტერესებს იცავენ?

თქვენ თავს იწონებთ, რომ, ნაციონალების ბევრი მცდელობის მიუხედავად, ქვეყანა მათგან დაქცევას გადავარჩინეთო. ვინ, თუ არა თქვენ, აიძულეთ ქართველი ხალხი, შერიგებოდა თავსმოხვეულ კოაბიტაციას დამნაშავეებთან? ახლა შეიძლება ამის აღიარება გეუხერხულოთ, მაგრამ სწორედ თქვენ იყავით კოაბიტაციის ავანგარდში, როდესაც ადეიშვილის "კარგ მენეჯერობას" მისტიროდით, თინა ხიდაშელი კი იქამდე გაკადნიერდა, რომ განაცხადა, კოაბიტაცია ქართველმა ხალხმა დაგვავალაო.

საქართველოს მიმართ ამერიკელების სქემის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი ის არის, რომ ცდილობენ, წარმოაჩინონ, თითქოს ჩვენთან არსებობს ორი ალტერნატიული პოლიტიკური ძალა — "ოცნება" და "ნაციონალური მოძრაობა". არადა, სინამდვილეში, როგორც დრომ აჩვენა, ეს ერთი და იმავე მსოფლმხედველობის ძალებია. ქვეყანაში რეალურად არ არსებობს ალტერნატიული მსოფლმხედველობის გამტარებელი პოლიტიკური ძალა, რაც კიდევ ერთხელ აძლევს ივანიშვილსა და "ოცნებას" კრედიტს — ამომრჩევლის მხადრაჭერის თამასუქს.

არჩევანი მარტივია — ხმა უნდა მივცეთ ან "ოცნებას", ან ხელისუფლებაში მოვლენ "ნაცები". გარეწრები ხმას "ნაცმოძრაობას" მაინც მისცემენ, მაგრამ ეს იქნება ხმების არცთუ დიდი რაოდენობა. ივანიშვილიც და ამომრჩეველიც ხვდებიან, რომ ამ არჩევნებზე, "ოცნების" არჩევის გარდა, სხვა ალტერნატივა, თუ არა "ნაცბანდის" ხელისუფლებაში დაბრუნება, არ გვაქვს. ასე რომ, რა თქმა უნდა, ჩვენი ხმა — "ქართულ ოცნებას"!

იმედი ვიქონიოთ, რომ ივანიშვილი და "ოცნება" მომავალ ოთხ წელიწადს მაინც გამოიყენებენ გონივრულად და ბოლომდე უსარგებლოდ არ ამოწურავენ ამომრჩევლის ნდობის კრედიტს.

**გიორგი გაჩეჩილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თემურ ქორიძე: "კაცი არ ყველა სწორია"




გამომცემლობა „ინტელექტმა" გამოსცა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, ცნობილი ლიტერატორის თემურ ქორიძის ჩანაწერების წიგნი – **„კაცი არ ყველა სწორია".**

ავტორი საინტერესო ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებთან ერთად, ობიექტურად მოგვითხრობს საქართველოს უახლესი ისტორიის დრამატულ ეპიზოდებზე და მის ცალკეულ დეტალებზე.

დაინტერესებულ მკითხველ-საზოგადოებას წიგნის მოძიება სხვადასხვა გამომცემლობის მაღაზიათა ქსელში შეუძლიათ.

აქვე გთავაზობთ წიგნის რედაქტორის ბესიკ გვაზავას წინასიტყვაობას, რომელიც ავტორის სახასიათო შტრიხებსა და მისი ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდს ეხება.

* * *

ლიტერატურულ წრეებში მას იცნობენ, როგორც ნიჭიერ და განათლებულ ფილოლოგს, ჩინებული ესეების და ანალიტიკური ნარკვევების ავტორს. ბაჩანა ბრეგვაძის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, **"თემურ ქორიძე შესანიშნავი ლიტერატორი, ჭეშმარიტ სულიერ ფასეულობათა უტყუარი კრიტიკული ალღოთი ზუსტად განმცდელი და შემფასებელია".** ანალოგიური თვალსაზრისი გამოთქმული აქვს როსტომ ჩხეიძესაც: **"თემურ ქორიძის ღრმა განსწავლულობა და აზროვნების დახვეწილობა მარჯვედ მიგნებულ ფსიქოლოგიურ დაკვირვებებს ჩინებულ ლიტერატურულ ფორმას ანიჭებსო",** – შენიშნავს ცნობილი მწერალი და მეცნიერი.

უფროსი თაობის ადამიანთა მეხსიერებას დღემდე წარუშლელად მოჰყვება ბობოქარი ოთხმოციანი წლების დაუვიწყარი ქრონიკები. მათ წარმოსახვაში კი შეუძლებელია არ გაიელვოს სახემ იმ პიროვნებისა, ვინც მაშინ თავისი შთამბეჭდავი ორატორული ხელოვნებით ათასების მხურვალე სათქმელს გამოხატავდა და უანგარო მამულიშვილობის მაგალითს იძლეოდა. იმ პერიოდში თემურ ქორიძე სამჯერ სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს, მაგრამ ჭრილობებით თავი არასოდეს მოუწონებია, შერყეული ჯანმრთელობის გამო საყვედური არ დასცდენია. სამშობლოს სამსახურს ის მუდამ თავგანწირვისთვის მზადებას უკავშირებდა და ეს განცდა მასში იშვიათ თავმდაბლობასთან იყო შერწყმული.

დღეს, როდესაც სახელმწიფო სამსახურში და საერთოდ, პოლიტიკაში ყოფნა, ბევრისთვის არა საზოგადოებრივი, არამედ მარტოოდენ პირად კეთილდღეობაზე განუხრელი ზრუნვის ასპარეზადაა ქცეული, ვინმეს შეიძლება დაუჯერებლად მოეჩვენოს ის ფაქტი, რომ თავის დროზე მაღალი მდგომარეობის მქონე თემურ ქორიძემ ქალაქის ცენტრში მისთვის გამოყოფილი ფართო და ნათელი აპარტამენტები ყოველგვარი ხმაურის გარეშე საჩუქრად გადასცა ხელმოკლე ადამიანებს. თავად კი კვლავ ქალაქის გარეუბანში აგრძელებს მოკრძალებულ ცხოვრებას. ამის აღნიშვნა დღეს მართლაც საჭირო და აუცილებელია, რაღა თქმა უნდა, არა მხოლოდ თვით თემურ ქორიძის პიროვნული ღირსების წარმოჩენისა და აღიარებისათვის. არც იმის გახსენება იქნებოდა ურიგო, რომ შეთავაზების მიუხედავად თემურ ქორიძემ თავის დროზე კატეგორიული უარი განაცხადა უკანონო სახელმწიფო საბჭოში შესვლაზე. ის არასოდეს დახარბებია პატივს და პრივილეგიას, სამაგიეროდ, გამუდმებით იღვწის ახალგაზრდობის დასახმარებლად, მუდამ მათ გვერდით დგას და სრულიად უანგაროდ უზიარებს ცოდნას და გამოცდილებას. ამასთან ერთად, თემურ ქორიძე წინამორბედთა სანიმუშო დამფასებელიცაა. სამაგალითოა აკაკი გაწერელიას ხსოვნისადმი მისი გაუხუნარი მოკრძალება და პატივისცემა. ასე მხოლოდ კარგი შეგირდები მიუზღავენ სათაყვანებელ ოსტატებს...

წინამდებარე **"ჩანაწერების"** მკითხველი ნამდვილად მოიხიბლება კრებულის თემატური მრავალფეროვნებითა და თხრობის დახვეწილი მანერით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ჩანაწერის თარიღი წიგნში ზუსტადაა მითითებული. ამაში მკითხველი ადვილად დარწმუნდება, თუკი თვალს გადაავლებს იმ პერიოდულ გამოცემებს, სადაც თავის დროზე ეს მასალა გამოქვეყნდა (გაზ. **"შანსი", "აისი", "ახალი ეპოქა", "საქართველო", "საქართველო და მსოფლიო", "არჩევანი"** და სხვ.).

ჩვენ წინაშეა მომხიბლველი ესეისტური მიგნებები და მძაფრი პუბლიცისტური აქცენტები, რომლებიც უთუოდ აღგვავსებს გულწრფელი სულიერ-ინტელექტუალური თანაგანცდით. სწორედ ასეთი თანაგანცდის გამოძახილად უნდა მივიჩნიოთ ამ რამდენიმე ხნის წინათ ლიტერატურულ პრესაში გამოქვეყნებული მკვლევარის და ესეისტის – ნინო ჩხიკვიშვილის წერილი-მიმართვა, რომლის ადრესატიც თემურ ქორიძე გახლავთ: **"...ნუ მოანატრებთ თქვენს მკითხველს თავს! თქვენი კალამი დღეს განსაკუთრებით სჭირდებათ ქართველებს, იქნებ იმაზე უფრო მეტად, ვიდრე თავის დროზე. და თუ რატომ გახდა თქვენი დაბრუნება ასე აუცილებელი ქართულ ლიტერატურაში, ახლა ამაზე საუბარი რომ დავიწყო, მაშინ ეს წერილი ბარათს კი არა, გამოკვლევას უფრო დაემგვანება და ამიტომ მოკლედ მოვჭრი: თქვენ აუცილებლად უნდა დაუბრუნდეთ აქტიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას! ნუ გაიღიმებთ, ნურც პირფერობაში ჩამომართმევთ; ეს ნამდვილად ასეა!"**

დიახ, ეს ნამდვილად ასეა!

თუმცა, კაცმა რომ თქვას, თემურ ქორიძე ლიტერატურიდან არც არასოდეს წასულა. თავის მყუდრო სენაკში გამოკეტილი, ის გაუთავებლად კითხულობს და კითხულობს და... დროდადრო წერს კიდეც.

**ბესიკ გვაზავა,**
**დოქტორანტი**

## პოეტის ვედრება

ბოლო დროს ხშირად და დაჟინებით გაისმის აკაკი წერეთლის ერთადერთი სტრიქონი, რომელსაც ზოგიერთი რატომღაც ილია ჭავჭავაძის ქმნილებად აცხადებს, ზოგიც კი ილიას მკვლელობისადმი აკაკის მიერ გამოთქმულ მრისხანე პროტესტად მიიჩნევს.

**"ფურთხის ღირსი ხარ, შენ საქართველო!"** – აი, რა ახსოვთ ჩვენს პოლიტიკოსებს აკაკის ლექსიდან. მათ უმრავლესობას, ცხადია, თავიდან ბოლომდე ეს ლექსი ნამდვილად არ აქვს წაკითხული, არ იციან, რომ იგი 1864 წელს არის დაწერილი და ავტორის ცხოვრებისეული ფილოსოფიის ერთგვარი ინტერპრეტაციას წარმოადგენს.

ისიც უნდა ითქვას, რომ ქართული საზოგადოება მუდამ დარცხვენილი დუმილით უვლიდა ხოლმე გვერდს სათაყვანებელი მგოსნის ამ მკაცრ შეძახილს. ყველაზე ადრე მასზე კონსტანტინე გამსახურდიამ გაამახვილა ყურადღება, როდესაც 1921 წელს, თავადაც საკმაოდ ბასრ შეფასებას აძლევდა ქართველთა გულარხეინობას. **"გამონაკლისი ერთადერთი კაცი ქართველ პატრიოტთა შორის აკაკი წერეთელი იყო. ისიც ერთხელ იმეტებს ამ მწარე სიტყვას: ფ-ის ღირსი ხარ შენ საქართველოვო, რომ მიაძახა უცხო ერის ბატონობის ქვეშ გართხმულ ქართველ ერს"** – წერდა კ. გამსახურდია და როგორც ვხედავთ, სიტყვა **"ფურთხის"** ხსენებას ისიც გაურბის და მასზე მხოლოდ ქარაგმულად მიგვანიშნებს.

ჩვენებურ პოლიტიკურ **"მოღვაწეებს"** კი დღეს არაფრად უღირთ ეს სიტყვა შიგ სახეში მიახალონ ქართულ საზოგადოებას!

რატომ?

იმიტომ, რომ საზოგადოება, ანუ ჩვენი ახლანდელი **"საქართველო"** დღესაც ისევე მოკლებულია ღირსების გრძნობას, როგორც მაშინ, შორეულ 1864 წელს, როდესაც გულმოკლული პოეტის ეს დაუნდობელი სტრიქონი იწერებოდა.

მაგრამ ჩვენს ახლანდელ **"პირშიმთქმელ"** პოლიტიკოსებს ეს ლექსი მართლაც თავიდან ბოლომდე რომ ჰქონდეთ წაკითხული, უწინარეს ყოვლისა, ქართული საზოგადოების ფეხზე წამოსაყენებლად გააჩაღებდნენ შეუპოვარ ბრძოლას.

ვეჭვობ, მათ ისიც ახსოვდეთ, რომ ამ ლექსის სახელწოდებაა **"ვედრება"** და იგი მოყვასისადმი თანაგრძნობის აღმძვრელი უაღრესად ფაქიზი მიმართვით იწყება:

**"ძმაო, მკითხველო! ძმობას**
**გაფიცებ,**
**კაცი რომ ნახო შენ**
**დაცემული,**
**თუ რად დაეცა, მიზეზს**
**ნუ ეძებ!**
**შენი ვალია შეგტკივდეს**
**გული!.."**

აკაკი საუბრობს თვით **"დაცემის"** ორგვარ ბუნებაზე, **"დაცემულთა"** შორის არსებულ განსხვავებაზე და ყურადღებას ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე ამახვილებს:

**"ერთს ჰსურს აღდგომა,**
**უნდა თავის ხსნა,**
**და მეორე კი გდია, ვით**
**მკვდარი!..**
**ერთი მოელის კაცთაგან შველას,**
**ებრძვის თვის დამცემს,**
**რაც შეეძლება;**
**მეორე ვერ ჰგრძნობს**
**ამაებს ყველას**
**და მტერს პირუტყვებრ**
**ემორჩილება!"**

აქ ძნელი არ არის იმ წყალგამყოფის აღმოჩენა, რომელიც, ერთი მხრივ, მონურ მორჩილებას, კონფორმიზმს და მეორე მხრივ, – შეურიგებლობას, დაუმორჩილებლობასა და ბრძოლისუნარიანობას შორის არსებობს. აკაკი პირდაპირ და შეულამაზებლად წერს ორ ზნეობრივ პოზიციაზე, რომელიც კონკრეტულ ვითარებაში ჩვენს ქცევას უნდა განსაზღვრავდეს,

**"პირველს თუ შეხვდე,**
**შრომა უკურთხე,**
**ხელი მიეცი, წამოაყენე,**
**და მეორეს კი ზედ**
**დააფურთხე!..**
**იტირე, მაგრამ ზურგი**
**აჩვენე!.."**

პოეტის საბოლოო **"მკაცრი განაჩენი"** სწორედ ამ ლოგიკას ემყარება. პასიური, მონურად ქედმოხრილი **"საქართველო"** არავითარ პატივისცემას არ იმსახურებს, უფრო მეტიც: იგი არც თანადგომის ღირსია და არც თანაგრძნობისა.

**"უნდა ჩავყლაპო სიტყვები**
**ძალით,**
**გულს თუ დამადგა, ვერც**
**დავახველო...**
**ამას კი გეტყვით, გინდა**
**მომკალით:**
**ფურთხის ღირსი ხარ,**
**შენ, საქართველო!"**

აკაკი, ისევე როგორც სამოციანელთა მთელი თაობა, ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა დაუღალავი შრომითა და ღვაწლით **"ხელი მიეცა"** და შველა მოეტანა ქვეყნისთვის. მათ ეს ხანგრძლივი და მტანჯველი მისია პირნათლად აღასრულეს და თავს ეკლის გვირგვინიც დაიდგეს.

მაგრამ საკითხავია, შევძელით თუ არა და **"ცოტათი მაინც თუ წავედით წინ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში?"** – როგორც ამას თავის დროზე მიხაკო წერეთელი კითხულობდა. ან, ასევე **"ცოტათი მაინც თუ წავედით წინ"** მეოცე და ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე? თავის დროზე დიდი მამულიშვილი მომაკვდინებელ დასკვნამდე მივიდა: **"სულ ტყუილი ყოფილა ჩვენი ზნეობრივი პროგრესი, თურმე კიდევ უფრო დაცემულ ვართ!"**

**ჩვენ რაღა უნდა ვთქვათ?**

**რით ვინუგეშოთ თავი?**

**"ქართველი გაურბის თავის-თავს (ცუდს), რომ ნახოს თავის-თავი (უკეთესი). ამიტომ ისმება საკითხი: ან თავის-თავის მონახვა, ან სრული დაღუპვა. გზა ხსნილი არ არის სხვა"... ამ სიტყვებს 1920 წელს წერდა გრიგოლ რობაქიძე. ჩვენ კი დღეს, ოთხმოცდა თოთხმეტი წლის შემდეგ კვლავ სერიოზულად უნდა დავფიქრდეთ და გავარკვიოთ:**

**გავექეცით თუ არა "თავის-თავს (ცუდს)" და ვიპოვეთ თუ არა "თავის-თავი (უკეთესი)"?**

პირველ შემთხვევაში აღდგენას და კურთხევას უნდა მოველოდეთ, მეორეში კი – კვლავ დაცემას და შეჩვენებას.

ეს კი დღევანდელი საქართველოს წინაშე მდგარ უმთავრეს დილემას წარმოადგენს.

თემურ ქორიძე

## ჩვენი სამეგრელო

„ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავის ფერითაო", – ბრძანებდა რუსთველი. ამიტომ მეგრულ ენაზე ლექსების წერაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. სწორედ მრავალფეროვნებასა და პოლიფონიაშია ჩვენი არსებობის არსი და სილამაზე. ყოველი ენა, კილო და კილოკავი ძვირფასი განძია. მათში გარკვეული ცნობიერებაა დალექილი.

ქართულ რეგიონებზე ეჭვის მიტანა იმ თვალსაზრისით, რომ სადმე სეპარატიზმი შეიძლება არსებობდეს, – თვით ქართული ფენომენის შეურაცხყოფაა.

ამაღლებული და განუმეორებელი მარტვილი სამეგრელოსთვის იგივეა, რაც მცხეთა – ქართლისთვის. იქ საოცარი ძალით გვეუფლება წმინდა მიწის განცდა...

**თემურ ქორიძის**
ჩანაწერებიდან

ილორი

# შვილის უარმყოფელი ერს გადაარჩენს?



თბილისის პოლიციის სამმართველოს ყოფილი უფროსი, ჩემი უმცროსი მეგობარი და კოლეგა (სხვათა შორის, სოსო ალავიძე სპეციალობით ჟურნალისტი გახლავთ და რედაქციაში მუშაობისას იგი გამოირჩეოდა ღრმა შინაარსის მქონე პუბლიკაციებით) სოსო ალავიძე, რომელმაც საზოგადოებას თავი დაამახსოვრა თბილისის პოლიციის შეფობისას გამოჩენილ გმირობის ფაქტებით, დღეს, მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, "დამსახურებულ" (არ გაგეცინოთ!) დასვენებაზე იმყოფება. ბევრ ჩვენგანს ახსოვს თუ უიარაღოდ როგორც შევიდა გენერალი სოსო ალავიძე შეიარაღებულ ბანდიტებთან ერთ-ერთ კერძო ბინაში, სადაც მათ მძევლები ჰყავდათ აყვანილი, დაელაპარაკა მათ და კონფლიქტი უსისხლოდ გადაჭრა – ბანდიტებმა მძევლები გაანთავისუფლეს და მართლმსაჯულებას ჩაბარდნენ. სწორედ ამ ოპერაციის შემდეგ იქნა აღიარებული სოსო ალავიძე "უშიშრად, ვითარცა უხორცო", მაგრამ სოსოს ამ თავგანწირვას მოშურნეებიც უხვად გამოუჩნდნენ და მალე თბილისის პოლიციის წარმატებული შეფი იძულებული შეიქნა სამსახური დაეტოვებინა. მაგრამ, როგორც ჩანს, სოსო ალავიძის სიმართლე და წესიერება დღესაც ბევრს აქვს ყელში გაჩხერილი და ამიტომაც ვერ ახერხებენ მის გვერდით ღირსეული ადგილის დაკავებას. ერთი ასეთთაგანია ახლადგამომცხვარი "პოლიტიკოსი" პაატა ბურჭულაძე, რომელსაც, როგორც გაირკვა, საკუთარი შვილი უუარყვია და ძნელად სარწმუნოა რომ ამგვარმა ადამიანმა საზოგადოებას რაიმე სარგებელი მოუტანოს!

გთავაზობთ ორ ინფორმაციას, რომელიც "შესანიშნავად" ახასიათებს პაატა ბურჭულაძეს როგორც პოლიტიკოსსა და როგორც ადამიანს!

როლანდ ჯალაღანია,
გაზეთ "ილორის" მთავარი რედაქტორი

## შვილის უარმყოფელი ერს გადაარჩენს?

საქართველოს ახალი გადამრჩენელის, საოპერო მომღერალის პაატა (ალბათ პასპორტით – **პეტრე**) ბურჭულაძის საკუთრებაში არსებული 50-მდე საცხოვრებელი ფართის შემდგომ, ახალი სკადალი მწიფდება.

ჟურნალისტი **დარეჯან მეფარიშვილი** გაპოლიტიკოსებული ბანი-ბარიტონის შესახებ ერთ პაატარა საინტერესო ცხოვრებისეულ ისტორიას გთავაზობთ და რიტორიკულ კითხვას სვამს: შვილის უარმყოფელი ერს გადაარჩენს?

**– "ერთ ძალიან კარგ გოგოს, მუსიკის პედაგოგს (ფორტეპიანოს განხრით) ნ. შ-აშვილს, შეუყვარდა ცოლიანი კაცი.**

ეს კაცი პაატა ბურჭულაძე იყო, იმხანად ბურჭულაძე პირველ ქორწინებაში იმყოფებოდა, თუმცა, როგორც ამბობენ პარალელურ რეჟიმში...

ნუ, ეს არაა მთავარი, მთავარი სხვა რამ არის: ნ-ს გაუჩნდა მსოფლიო ბანისგან გოგონა, წყვილი სულ რაღაც სამი წელი ცხოვრობდა ერთად, არ მახსოვს ბავშვს მსოფლიო ბანმა გვარი მისცა თუ არა, მაგრამ ვიცი ერთი რამ: ეს გოგონა, მსოფლიო ბანის შვილი, არც მამას (შეიძლება ვთქვა ავტორს) და არც სხვებს (ვთქვათ მეგობრებს, ან მტრებს) არსად, არასდროს, უხსენებიათ.

**კითხვა: რატომ არ ახსენებს მამა შვილს არსად? იმიტომ ხომ არა რომ ქველმოქმედებით დაკავებულს, საკუთარი დაავიწყდა თუ უბრალოდ ხელი ჰკრა და მოიშორა?**

არადა, რა კარგი პედაგოგი იყო ნ.შ. ძალიან ლამაზი, ნიჭიერი, ნეტავ სად არის დღეს, კონსერვატორიაში მაინც თუ იციან მისი მისამართი, ნეტავ?

ან ბავშვი როგორ გაზარდა, ვინ დაეხმარა, ვინ არ დაეხმარა...

ვის ჰგავს, დედას თუ მამას? ისიც ისეთივე ნიჭიერია როგორც მამა ან დედა? საინტერესოა...

დასკვნა: შვილის უარმყოფელი ერს გადაარჩენს, კი?.." – წერს მეფარიშვილი.

p.s. ***ეჰ, რა გინდოდა წვენებში პაატა.... გემღერა, გამოგდიოდა მაინც!***

## დაუპატიჟებელი სტუმრის" პასუხი პაატა ბურჭულაძეს

თბილისის პოლიციის ყოფილი უფროსი სოსო ალავიძე არ გამორიცხავს, რომ პაატა ბურჭულაძემ **"ვიღაცის დაჟინებული თხოვნით"** უარყო ის ფაქტი, რომ მისი პარტიის ყრილობაზე ალავიძე ნამდვილად მიწვეული იყო.

ამის შესახებ თბილისის პოლიციის ყოფილმა უფროსმა **"პალიტრანიუსის"** გადაცემა **"360 გრადუსში"** განაცხადა და პირდაპირ ეთერში ბურჭულაძის პარტიისგან მიღებული მოსაწვევიც წარადგინა.

**"ეს უხერხული სიტუაცია თავისთავად უნდა განმუხტულიყო. ნამდვილად მიმიწვიეს ყრილობაზე. ჯერ ერთი რაიმე განსაკუთრებული ბარათიც რომ არ მიგვეღო, ალბათ იმ ყრილობაზე ყველა იყო ბატონი პაატას სტუმარი და უხერხულია, როცა სტუმარზე უარს ამბობ. მითუმეტეს, თუ ეს სტუმარი შენი მოწვეულია. მე ნამდვილად ვიყავი ბატონი პაატას მიწვეული, შეიძლება პერსონალურად ბატონ პაატას მოსაწვევი არ გადმოუცია, მაგრამ მიწვეული ვიყავი. მას წინა საღამოს შევხვდი. იმ დარბაზის გვერდით, სადაც ყრილობა უნდა გამართულიყო, მცირე დარბაზია. იქ ფეხბურთის მატჩი გვქონდა. გვიან დავამთავრეთ. იქ იყო ბატონი პაატა, მასთან ერთად იყვნენ ჩემი მეგობრებიც. როგორც ჩანს, ჩემი მიწვევა მანამდე იყო გადაწყვეტილი. ბატონმა პაატამ ჩემთან ერთად ჰკითხა ერთ ჩემს მეგობარს, რომ მიეცი თუ არა მოსაწვევიო. მოსაწვევი იქვე გადმომეცა. ამ მოსაწვევს ახლავე მოგართმევთ. კიდევ კარგი, ეს ისტორიული დოკუმენტი არ დამიკარგავს",** – ამბობს ალავიძე.

თბილისის პოლიციის ყოფილი უფროსის თქმით, პაატა ბურჭულაძეს როგორც პიროვნებას და ხელოვანს დიდი პატივს სცემს და ყრილობაზე მისვლის მიზეზი ის იყო, რომ მისი პოლიტიკური გეგმები გაეგო.

შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ პაატა ბურჭულაძის პარტიამ **"სახელმწიფო ხალხისათვის"** ყრილობა გამართა, რომელსაც სოსო ალავიძე ესწრებოდა. მოგვიანებით ბურჭულაძემ განაცხადა, რომ ალავიძე ყრილობაზე მიწვეული არ იყო.

***ახლა თავად განსაზღვრეთ, უტიფრობისა და სიცრუის რა დოზაზე გვაქვს საუბარი იმ "დიდ პოლიტიკოსთან" დაკავშირებით, რომელსაც პირადი საქმეები ვერ მოუგვარებია და საქართველოს აყვავებას გვპირდება!***

# ალექსანდრე ჯეჯელავა: *ყველაფერს გამოვიყენებთ, რაც აქამდე აშენდა და ზემოდან კიდევ ბევრ კარგ რამეს დავაშენებთ*

ყველაფერს გამოვიყენებთ, რაც აქამდე აშენდა და ზემოდან კიდევ ბევრ კარგ რამეს დავაშენებთ, – ამის შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ ჟურნალისტებს საერთაშორისო სემინარის დასრულების შემდეგ განუცხადა, რომელიც **„ქორთიარდ მარიოტში"** მიმდინარეობდა.

როგორც ჯეჯელავამ აღნიშნა, ის განათლების ყოფილ მინისტრთან ერთად აპირებს, რომ ჩაატაროს სანიმუშო გადაბარება.

როგორც მინისტრი აღნიშნავს, საზოგადოების თვალში მინისტრის ცვლილება ტრაგედიასთან არის დაკავშირებული და ის აპირებს, რომ ეს მითი დაამსხვრიოს.

**„ჩვენი საზოგადოების თვალში მინისტრის ცვლილება ყოველთვის კავშირშია რაღაც ლამის ანტაგონიზმთან. ჩვენმა წინამორბედებმა ადრე შექმნეს ასეთი მითი, რომ როცა მინისტრი იცვლება, ეს არის ტრაგედია და ხანდახან მედიაც ასე აშუქებს. ჩვენ ეს მითი უნდა დავამსხვრიოთ. ეს აბსოლუტურად ჰარმონიული პროცესია. გუშინ პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ჩვენ ვაგრძელებთ განვითარებას. ჩვენი ამოცანაა, ყველას დავანახოთ, რომ ეს გადაბარება იქნება ძალიან კონსტრუქციული. ყველაფერს გამოვიყენებთ, რაც აშენდა აქამდე და ზემოდან კიდევ ბევრ კარგ რამეს დავაშენებთ",** – განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

როგორც მინისტრი აღნიშნავს, ძირითადი აქცენტები იქნება სასკოლო განვითარების მიმართულება და ასევე უმაღლესი განათლება.

**„სასკოლო განათლების განვითარების მიმართულებით ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძალიან ბევრი შესაძლებლობაა, თუდაც იგივე მასწავლებელთა განვითარების, სწავლების პროცესში ტექნოლოგიების განვითარების კუთხით. რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, ვფიქრობ, გვექნება პრეტენზია, რომ გავხდეთ რეგიონში მოწინავე მომწოდებელი უმაღლესი განათლების",** – განაცხადა განათლების მინისტრმა და აქვე დასძინა, რომ უწყებაში საკადრო ცვლილებებს არც მოკლევადიან და არც გრძელვადიან პერიოდში არ გეგმავს.

# МУЖ И ЖЕНА — ОДНА САТАНА





ეს ხატოვანი რუსული თქმა გულისხმობს იმას, რომ დროთა განმავლობაში, თანაცხოვრების მანძილზე, ცოლი და ქმარი როგორც ხასიათით, ასევე ჰაბიტუსითაც კი ემსგავსებიან ხოლმე ერთმანეთს. მაგრამ არის იშვიათი გამონაკლისები, როცა ცოლი და ქმარი სატანებად იქცევიან ხოლმე და სწორედაც რომ სატანური მონდომებით უწამლავენ ყოფას მათ თანამედროვე საზოგადოებას. სწორედ ასეთი სატანები არიან ცოლ-ქმარი გიგა ბოკერია და თამარ ჩერგოლეიშვილი, რომელთა თაობაზე ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა ქართველი პროფესორის ზაზა სიამაშვილის მიმართვა მის ყოფილი კოლეგის, **"ნაციონალური მოძრაობის"** ერთ-ერთი ბელადის, სიბოროტითა და ბინძური პროვოკაციების მოწყობით გამორჩეული გიგა ბოკერიას დედის, ნანა ალექსანდრიასადმი.

ამჯერად კი გთავაზობთ გამოხმაურებას აღნიშნულ წერილზე, რომლის ავტორია ყოფილი პარლამენტარი, პროფესორი ხათუნა ხოფერია.

**„სრული სიმართლეა!"** – ასე ეხმაურება ქალბატონი ხათუნა ხოფერია ზაზა სიამაშვილის მიმართვას, რომლის ადრესატი გიგა ბოკერიას დედა, მოჭადრაკე ნანა ალექსანდრიაა.

**„ბოკერიას, როგორც კაცთმოძულეს ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშა დედის ფაქტორმა! დედის, რომელიც წლების განმავლობაში მარცხდებოდა პირველობისთვის ბრძოლაში! დედის, რომელიც ყოველი მარცხის შემდეგ ისტერიკაში და დეპრესიაში ვარდებოდა! რომელსაც სძულდა მისი მოწინააღმდეგე (საქართველოს, ერის სიამაყე) და ამ სიძულვილს შვილთან არ მალავდა! ბოკერიას ყოველი სიძულვილით გაჟღენთილი ნაბიჯი, ანგარიშსწორებაა დედის ნაცვლად!!! ანგარიშსწორება იმ ერის, იმ სამყაროს მიმართ, რომელმაც დედამისი მსოფლიო ჩემპიონად არ მიიღო!**

**გავუფრთხილდეთ შვილებს! ნუ მოვახვევთ თავს ჩვენ მარცხს და სიძულვილს, თორემ ისინი ბოკერიას მსგავსად დაუწყებენ ბრძოლას კაცობრიობას და მასსავით დამარცხდებიან!",** – წერს ხოფერია.

# გიორგი ჩიქოვანი გვარამიას: *თქვენი ყოველი სიტყვით აზიანებთ საქართველოს ინტერესებს საერთაშორისო ასპარეზზე*

**„ისტორიამ გვაჩვენა, რომ ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც შესაძლებელია მედროვენი ვუწოდოთ, მუდამ გამოირჩეოდნენ და გამოირჩევიან ორმაგი სტანდარტებით. მათთვის გუშინ მიუღებელი, დღეს შესაძლოა მისაღები გახდეს და პირიქით, ასეთ ადამიანთათვის უცხოა ისეთი ცნებები, როგორიც არის პრინციპები და ღირებულებები",** – ამის შესახებ **„ახალგაზრდული ცენტრის"** წარმომადგენელი გიორგი ჩიქოვანი აცხადებს, რომელიც **„რუსთავი 2"**-ის გენერალური დირექტორის განცხადებებს ეხმაურება.

ჩიქოვანი იმ განცხადებებს იხსენებს, რომელიც 2007 წელს გვარამიამ ტელეკომპანია **„იმედის"** დარბევასთან დაკავშირებით გააკეთა.

**„ვუსმენ „რუსთავი 2"-ის გენერალურ დირექტორს, ნიკა გვარამიას და მახსენდება მის მიერ 2007 წელს გაკეთებული განცხადებები ტელეკომპანია „იმედის" დარბევასთან და ქონების დაყადაღებასთნ დაკავშირებით. ის ამბობდა: „გამოძიება, ბუნებრივია, მუშაობს სხვადასხვა გარემოებებზე, რომლებიც ნათლად ადასტურებენ კიდევ სხვა გარემოებებსაც, რომ „იმედი"არ იყო დისტანცირებული, მიუკერძოებელი გამშუქებელი იმ მოვლენებისა, რომელიც ხორციელდებოდა ბოლო პერიოდში". აღნიშნულ პერიოდში გვარამია საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე იყო. გასაკვირია, რომ 2007 წელს მისი პოზიციით მედია არ საჭიროებდა თავისუფლებას, დღეს კი ეს აუცილებელი ყოფილა სახელწიფოსთვის. რეალობა კი ერთია, მედია თავისუფალი უნდა ყოფილიყო 2007 წელს და თავისუფალი უნდა იყოს 2016 წელსაც. დღეს კი, საბედნიეროდ, მედიის თავისუფლებას საფრთხე არ ემუქრება",** – განაცხადა ჩიქოვანმა.

მისი თქმით, **„რუსთავი 2"**-ს აქვს მცდელობა, კერძო დავა ორ სუბიექტს შორის გადატანილ იქნას პოლიტიკურ ჭრილში, რაც დაუშვებელია.

**„აღნიშნული ტელევიზია ნამდვილად არ გახლავთ სიტყვის თავისუფლების გამტარი და დამოუკიდებელი, სამწუხაროდ, ის არის პოლიტიკური პარტიის ერთ-ერთი ორგანო, რომლის საინფორმაციო პოლიტიკა არის მიკერძოებული და არაობიექტური.**

**მსურს, ბატონ გვარამიას ერთი რჩევა მივცე: შესაძლოა, თქვენ იყოთ რომელიმე პარტიის ინტერესების გამტარებელი, მაგრამ გახსოვდეთ, პირველ ყოვლისა უნდა იყოთ ქართველი! თქვენი ყოველი სიტყვით აზიანებთ საქართველოს ინტერესებს საერთაშორისო ასპარეზზე და ახდენთ სახელწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაციას. თქვენი განცხადებები პირდაპირი მოწოდებაა სამოქალაქო დაპირისპირებისკენ, სწორედ ამიტომ მოვუწოდებ სამართლდამცავ ორგანოებს, დაინტერესდნენ თქვენი განცხადებებით და მასზე შესაბამისი რეაგირება მოახდინონ",** – განაცხადა ჩიქოვანმა **„რეპორტიორთან"** საუბრისას.

ალა გრიგალაშვილი

# საქართველო – ამერიკის დამანგრეველი იდეოლოგიის სამიზნე პოსტსაბჭოთა სივრცეში

***სანამ ქართველი არ გააცნობიერებს, რას წარმოადგენს ნატო, ამერიკის პოლიტიკა საქართველოს მიმართ და ევროკავშირი, რომლის ქვეყნებში იძულებით რეგლამენტირებულია ნებისმიერი დარგობრივი პრიორიტეტები, ვერ შევძლებთ ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პოლიტიკის გატარებას.***

**80-იან წლებში მოსკოვიდან რუსი გენერალი დამემგზავრა. დღეს საოცარი ემოცია მიპყრობს, როცა მის ერთ შეკითხვას ვიხსენებ: რომელი სამშობლო უფრო გიყვარს: დიდი თუ პატარა? – რუსი გენერალი დიდ რუსეთსაც ქართველის სამშობლოდ მიიჩნევდა. იმ ცნობიერებით, როგორითაც გავიზარდეთ, რუსეთი ჩემი სამშობლო იყო, ხოლო საქართველო – დედა-სამშობლო, მაგონდება სკოლის პერიოდში როგორი ენთუზიაზმით გვარწმუნებდა ისტორიის მასწავლებელი: ჩვენ უძლიერეს ქვეყანაში ვცხოვრობთ და ამერიკული დამპალი კაპიტალიზმი ვერაფერს დაგვაკლებსო, – და მე ამით ამაყი ვიყავი.**

რუსეთისთვის, განსაკუთრებით პუტინის ხელისუფლების პერიოდში, რომელმაც შეძლო ქვეყნის გაძლიერება 90-იანი წლების პოლიტიკისგან განსხვავებით, ამ მიმართულებით არაფერი შეცვლილა, მაგრამ საქართველოსთვის, სამწუხაროდ, შეიცვალა და პოსტსაბჭოთა სივრცეში სწორედ იგი აღმოჩნდა ამერიკული დამანგრეველი იდეოლოგიის სამიზნე. ***წარსულის ნოსტალგია იმდენად ძლიერია, რომ სრულიად ვეთანხმები რუსეთის პრეზიდენტს: საბჭოთა კავშირის დაშლა იყო საუკუნის უდიდესი შეცდომა, იმავეს განიცდიან რუსი ეროვნების ადამიანებიც*** და ამის შედეგია სწორედ, რომ კომუნისტურმა პარტიამ რუსეთში არჩევნებით მეორე ადგილი მოიპოვა.

**ვლადიმერ პუტინმა ღიად გააკეთა განცხადება, რომ არასდროს სხვა ქვეყნის მითითებით და ინტერესების შესაბამისად არ იმოქმედებდა და კიდევაც ასრულებს ამას. მე, რიგითი ქართველი, ქედს ვიხრი ყველა იმ პოლიტიკოსის წინაშე, რომელთათვისაც პრიორიტეტულია თავისი ქვეყნის ინტერესების დაცვა უცხო ქვეყნის ინტერესების სანაცვლოდ.**

აკრძალვები, რომელთაც საბჭოთა კავშირი აწესებდა თავისი მოქალაქეების მიმართ, მიმართული იყო მათივე ცნობიერების, მორალისა და ზნეობის დასაცავად და დღეს ცხადად ჩანს ამ ღირებულებებიდან თავისუფალი ადამიანები როგორ ქვეყანას აშენებენ უზნეობის ჭაობში.

დღეს მსურს, მთელი მსოფლიოს გასაგონად მივმართო რუსეთის პრეზიდენტს: **"ვლადიმერ ვლადიმერის ძევ! საქართველოს მოაზროვნე საზოგადოების არჩევანი არ არის ნატო და ევროკავშირი. ჩვენს ქვეყნებს ურთიერთობის ღრმა ისტორიული ფესვები აქვთ და, თქვენივე განცხადებით, ქართველები ყველაზე ახლობელი ხალხია რუსეთისთვის. სწორედ თქვენი მმართველობის დროს უნდა მოხდეს ჩვენი ქვეყნების ინტერესთა თანხვედრა და ჩატეხილი ხიდის აღდგენა".**

სააკაშვილმა, არჩევნების მსგავსად, გააყალბა პლებისციტი 2008 წელს, ხოლო ეს ხელისუფლება, უზნეო კრიმინალი **"ნაცების"** ნაკვალევს მიუყვება გარეძალების დაკვეთით. წინა ხელისუფლებამ ცნობიერება გაუმრუდა ახალგაზრდობას და დღესაც მოძღვრავს მას: **"ნუ დაგავიწყდებათ, რომ რუსეთი ოკუპანტია!"**

2008 წლის აგვისტოს ომი ყოფილი ხელისუფლების დამანგრეველი, არადიპლომატიური პოლიტიკის შედეგია მხოლოდ და ეს უნდა გაითავისოს ქართველმა საზოგადოებამ. ***სანამ ქართველი არ გააცნობიერებს, რას წარმოადგენს ნატო, ამერიკის პოლიტიკა საქართველოს მიმართ და ევროკავშირი, რომლის ქვეყნებში იძულებით რეგლამენტირებულია ნებისმიერი დარგობრივი პრიორიტეტები, ვერ შევძლებთ ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პოლიტიკის გატარებას.*** განა ძნელია ჩვენი მეზობელი ქვეყნის ინტერესების გააზრება, რომელსაც არ სურს თავის საზღვართან ნატოს ჯარების განთავსება? წინა ხელისუფლების მიერ ნატოსთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს თუ 2008 წლის ომი მოჰყვა მთელი თავისი კატასტროფული შედეგებით და საჯიშე ბიჭები უჯიშო, ბინძური კრიმინალის ამბიციებს გადააყოლეს, ამ ხელისუფლების ანალოგიური განცხადებების შედეგად მავთულხლართები მივიღეთ. ჩვენს მოსახლეობას თანავუგრძნობ, მაგრამ რუსეთი მართალია – ის თავისი ქვეყნის ინტერესებს იცავს, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებისგან განსხვავებით.

**რა მოგვცა რუსეთმა ორსაუკუნოვანი ურთიერთობით? – ქართული გენის გადარჩენა, დემოგრაფიული ზრდა, რწმენის, ტრადიციებისა და ზნეობის შენარჩუნება, დარგობრივი რენესანსი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თვითრეალიზაციის საშუალება.**

რაც მივიღეთ ოცწლიანი რეფორმირებული პოლიტიკით, კარგად ვხედავთ: **დაინგრა მეცნიერება, განათლება, კულტურა და მწარმოებელი ქვეყნიდან მომხმარებელ ქვეყნად ვიქეცით. საქართველოს დამანგრეველ ძალებს ზოგს დიდი ჩერქეზეთის, დიდი არმენიის და დიდი ოსმალეთის შექმნა უნდათ ძირძველ ქართულ მიწაზე. საქართველო დღეს დიდი თურქობის დასაწყისის ფაქტის წინაშე დგას.** ღიად გაუხსნეს კარი ვაიქართველებმა უცხო ჯიშსა და ჯილაგს და ლამის საკუთარ მიწა-წყალზე სტუმრად ვიგრძნოთ თავი. თურქი ისე გათავხედდა, რომ შარვალჩახსნილი იაშვილის კლინიკაში სართულ-სართულ **"სიქიმ-სიქიმ"**-ის ძახილით დარბის. **დღეს ამერიკის ელჩი თავად გვიბიძგებს მიწების გაყიდვისკენ და თვით ტელეკომპანიების მუშაობაშიც კი ერევა.** სრულიად ვეთანხმები ბატონ ვლადიმერ ხომერიკს, რომელმაც აღნიშნა, რომ **ქართველები რუსეთს ვუწოდებთ ოკუპანტს, ხოლო ნამდვილი ოკუპანტი აქ, ამერიკის საელჩოში გვიზის და ყველა გადაწყვეტილებას მას უთანხმებთო.** ფაქტია, რომ ამერიკამ იდეოლოგიის, ქართული ცნობიერების ოკუპაცია მოახდინა **"ნაცების"** ხელით. ***საქართველოში დღეს პოლიტიკური და კაცური ღირსების დეფიციტია და არც არის გასაკვირი, რომ თავისუფალი საქართველო ოკეანისგაღმელ კაციჭამიების ხელში აღმოჩნდა ისევ ჩვენივე უნიათობით*** და 5-ათასწლოვანი დამწერლობის მქონე ქვეყანაში იმ ქვეყნის ძალები გვმოძღვრავენ, რომლის წლოვანების ჩვენს წინაპრებს ქლიავის ხე ედგათ მამულში.

**ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებისთვის ღირსების შემლახველია ამერიკის პარტნიორობით თავის მოწონება, რომლის პრეზიდენტი თავად ამერიკელების მიერ მსოფლიოში პირველ გეიპრეზიდენტად იქნა აღიარებული.**

თუ არა ამერიკისა და ევროპის ქართული მენტალიტეტისთვის მიუღებელი პოლიტიკა, დღეს ჩვენ არ ვიქნებოდით: პირველ ადგილზე სუიციდის მხრივ ევროპის ქვეყნებს შორის; არშემდგარ სახელმწიფოთა შორის – 55-ე ადგილზე; ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობით პირველ ადგილზე 162 ქვეყანას შორის; ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობით ერთ-ერთი პირველნი; მომაკვდავ ერთა ნუსხაში; სტრასბურგში შესულ საქმეთა მიხედვით პირველ ადგილზე ევროპაში.

**როცა ჩვენი პოლიტიკოსები ევროპულ ფასეულობებზე აპელირებენ და ვაზელინწასმულნი თავგამოდებით ილტვიან ამ მიმართულებით, ავიწყდებათ, რომ არ მოიპოვება მრავალსაუკუნოვან ქართველ ტრადიციებზე, იდეოლოგიასა და მართლმადიდებლურ ფასეულობებზე წინმსწრები ფასეულობები, ხოლო თუ პოლიტიკოსები, ევროპულ ფასეულობებში სამართლებრივ სახელმწიფოს გულისხმობენ, სწორედ მათი მითითებით დაირღვა ადამიანთა უფლებები საქართველოში, რადგან მონური ცნობიერების ხელისუფლებამ დანაშაულთა სერიალი, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილად იყო ქცეული დაუსჯელი დატოვა, ხალხისთვის წართმეული ქონება კი – დაუბრუნებელი.**

***ევრო-ამერიკის წარმომადგენლობა როცა მხარს უჭერს ძალადობას და დიქტატურას ჩვენს ქვეყანაში, სრული პოლიტიკური სიბეცეა ამ ქვეყნების მიმართულებით სიარული და დემოკრატიაზე დემაგოგიის მოსმენა.***

ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებისთვის ღირსების შემლახველია ამერიკის პარტნიორობით თავის მოწონება, რომლის პრეზიდენტი თავად ამერიკელების მიერ მსოფლიოში პირველ გეიპრეზიდენტად იქნა აღიარებული.

***პარტნიორ ქვეყანასთან უნდა გვაერთიანებდეს საერთო ინტერესები, ღირებულებები, იდეოლოგია, მრწამსი და, ამ ცნობიერებიდან გამომდინარე, ამერიკა ვერასოდეს იქნება ჩვენი რეალური პარტნიორი ქვეყანა. იმავეს ვიტყოდი ევროპაზეც.*** ჯერ კიდევ დიდმა კონსტანტინემ უწოდა მათ ცივილიზებული კანიბალები თავის ნაშრომში **"ევროპული რეაქცია და ამერიკული კანიბალიზმი".**

ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, არ აირჩია გზა ისლამური სახელმწიფოებისკენ ჩვენმა ეროვნულმა მეფემ, თუმცა, ისლამი ზნეობის თვალსაზრისით (გარდა ჯიჰადისა), უფრო ახლოა მართლმადიდებლობასთან, ვიდრე კათოლიკური სარწმუნოება.

**ამერიკელებს ვერ გავაკვირვებთ წამების ამსახველი კადრებით, რადგან თავად არიან მსგავსი ქმედებების ეტალონები იმ ქვეყნებში, რომლებშიც ადამიანთა უფლებები ირღვევა, ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთ ქვეყანათა რიცხვში აღმოვჩნდით და რიჩარდ ლუგარის სახელობის 22 სამხედრო ლაბორატორიაც გაგვიხსნეს თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში, სადაც ამერიკელი ჟურნალისტისა და მკვლევარის – ჯეფრი სილვერმანის ინფორმაციით, აშშ და ბრიტანეთი საქართველოსა და მის მოსახლეობას ბიოლოგიური კვლევებისთვის იყენებს, რაც მოწმობს, რომ ჩვენივე ხელისუფლების ნებით ხორციელდება ქართველებზე ცდების ჩატარება.**

სამოქალაქო საზოგადოება ამაზე დუმს და ვერ აცნობიერებს, რომ ამერიკა, რომელიც თავის მოსახლეობას იყენებდა ცდის პირად, 60 წლის მანძილზე, დასხივების ეფექტის შესასწავლად და მისი ექსპერიმენტის მსხვერპლი იყო ნებისმიერი სოციალური ფენის წარმომადგენელი სუბიექტი ბავშვების ჩათვლით, ქართველებზე ჩატარებული ექსპერიმენტი არ შეაწუხებს.

არ გამოვრიცხავ, რომ წამების კადრებით თავად ამერიკელებსაც ატკბობდნენ და თავსაც იწონებდნენ უმაღლესი ეშელონის წარმომადგენლები, რომლებმაც თავგამოდებით განახორციელეს ამერიკაში 1971 წელს ჩატარებული ზიმბარდოს ექსპერიმენტი და წამების სხვა არაერთი მეთოდი პატიმრებზე დაშარდვის ჩათვლით.

**თუ ქართველებს ისტორიული მეხსიერება გაგვაჩნია, მესამე წრეზე მივდივართ დასავლეთის მიმართულებით. სულხან-საბა კათოლიკედ მოინათლა რომის პაპის დახმარების მოლოდინში. მე-20 საუკუნის 20-იან წლებშიც დასავლეთის იმედად იყვნენ ქართველები და ახლაც არ აკლიათ მხარდაჭერა მისი მხრიდან შეშფოთება-აღშფოთების გამოხატვით.**

***დღეს "ნაცები" და კოალიციის წევრები ერთხორც და ერთსისხლ არიან. სისხლიმეთქი ვამბობ, მაგრამ ევროპა-ამერიკის შიგთავსიდან ამოფრქვეული სიმყრალე უდუღთ ძარღვებში. ეს ის შემთხვევაა, როცა ქვეყნის წინაშე მოვალეობა, სინდისი, მორალი და ზნეობა ფულმა ჩაანაცვლა.***

**სააკაშვილის აზრით, რუსეთი "ხრწნიდა და ამუხრუჭებდა" ქვეყნის განვითარებას, მაგრამ სწორედ მისი მმართველობის დროს სულიერებისა და მსოფლმხედველობის გაუკუღმართებას მოჰყვა ლგბტ საზოგადოების მოძალებაც. "ნაცებმა" ისე "განავითარეს" ქვეყანა, რომ, თუ ციხის კადრებით ვიმსჯელებთ, სადაც ტრენინგგავლილი და კონკურსში გამარჯვებული მამაკაცის გამაუპატიურებლის საშტატო ერთეულიც კი შემოიღეს, ნათლად დავინახავთ, როგორ აქცია ლიბერასტულმა უმრავლესობამ ადამიანი ცხოველად.**

წამყვანი ქვეყნების მმართველი ძალებისგან განსხვავებით, რომელნიც ფასეულობების იგნორირებით მოსახლეობის დეგენერაციისკენ არიან მიმართულნი, რუსეთის პრეზიდენტმა ნორმად არ მიიღო მამაკაცის ღირსების დაკნინება და ***2013 წლის 11 ივნისს რუსეთის დუმის მიერ დამტკიცდა კანონი მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის შესახებ, რომლის მიხედვით სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ლგბტ წევრებს. ასევე, აკრძალა ბავშვთა გაშვილება იმ ქვეყნებში, რომლებშიც ერთსქესიანი ქორწინება დაკანონდა, რათა ისინი ჰომოსექსუალებად არ ჩამოყალიბდნენ.*** ეუთოს საპარლამენტო სესიაზე რუსეთის სახელმწიფოს სათათბიროს სპიკერმა – სერგეი ნარიშკინმაც აღნიშნა, რომ უმცირესობის უფლებების დაცვა უმრავლესობის უფლებებს არ უნდა ლახავდეს. აი, კაცური ღირსების მქონე მამაკაცების პოზიცია.

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოსახლეობა ევრაზიული კავშირისკენ ილტვიან, სადაც დაცული იქნება მათი უსაფრთხოება, მორალი, ზნეობა. **ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს ისიც კარგად მოეხსენებათ, რომ ნატო პოლიტიკური და ეკონომიკური კურსის შეცვლაზეა ორიენტირებული, ხოლო ევროკავშირი – ქვეყნის ყველა დარგის რეგლამენტირებულ განვითარებაზე, რასაც თვით ევროკავშირის წევრი ქვეყნებიც აპროტესტებენ.**

რუსეთის ხელისუფლება თვით ევროპა-ამერიკის ქვეყნების მოსახლეობისთვისაც გახდა სანიმუშო და სოციალურ ქსელებში გამოხატავენ მის მიმართ პატივისცემას. აღნიშნავენ, რომ რუსეთს ძლიერი, ვაჟკაცური, ეროვნული ინტერესების გამტარებელი ხელისუფლება მართავს და თავიანთი ქვეყნის ხელისუფლებას მოუწოდებენ, მიბაძონ მას, რამეთუ უარყოფითად აფასებენ მათი მმართველობის სისტემას.

**ჩვენ მეზობლად გვყავს უძლიერესი ბირთვული სახელმწიფო ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებული, რაც ჩვენი ქვეყნის გამთლიანებისა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნების საფუძველს ქმნის. ვფიქრობ, მომავალში შეიცვლება ქვეყნის საგარეო პოლიტიკა და, თუ ამერიკას დიდი თანხები აქვს გაღებული, რომელიც ქვეყნის კეთილდღეობას არ მოხმარებია, მის რჩეულ კრიმინალ სააკაშვილსა და ნაცბანდას მოჰკითხოს, რაც 20 ტრილიონი ვალის მქონე ქვეყანაზე დადებითად აისახება.**

დღეს ქართველი საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილი უფრო სახელმწიფოებრივად აზროვნებს, ვიდრე პოლიტიკოსთა უმრავლესობა, ამიტომ საქართველო ისტორიულ რეალობას ვერ გაექცევა და

**„დღეს იქნება თუ ხვალ იქნება**
**ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფობა"...**

**იზა თამაზაშვილი,**
*ფილოლოგი-აღმოსავლეთმცოდნე*
*ტელ. 593 90 55 07*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არცერთი ჭირი მარგებელი არ არის!

*(კიდევ ერთხელ გავიაროთ პოლიტიკურ პარტიათა თავებზე)*

ჯერ იყო პარტია და იყო იგი რესპუბლიკური პარტია, რომელიც მეოცე საუკუნის მიჯნაზე შეიქმნა, შემდეგ დაიხურა და მეოცე საუკუნის მიწურულს კვლავ აღორძინდა. მისი არსებობა თითქოს არავითარ ხიფათს არ უქადდა ქართულ თვითმყოფადობას, ვიდრე პარტიის თვალსაწიერზე თინა ხიდაშელი და ძმები ბერძენიშვილები არ აღმოჩნდნენ, რომლებიც სოროსის სოროში იშვნენ, იქვე დაფრთიანდნენ და ყორნისებური ყარყაშით მოედვნენ მეტასტაზებად ჯერ რესპუბლიკურ პარტიას, შემდეგ კი სრულიად საქართველოს.

სწორედ აქედან დაიწყო რესპუბლიკური პარტიის მორალური, ზნეობრივი და პოლიტიკური ხრწნის პროცესი. ჯერ იყო და ლევან ბერძენიშვილმა, პირში რომ ვერ იტევს ძროხის ენას,ააქოთა პოლიტიკური ჰაერი, როცა საჯაროდ განაცხადა, რომ ილია ჭავჭავაძე დიდს არაფერს წარმოადგენდა ქართულ სინამდვილეშიო. და როცა ამ მკრეხელობისათვის მას პასუხი არავინ მოსთხოვა, ამჟამად თავდაცვის სამარცხვინო მინისტრმა, მაშინ კი ქუთაისის ჭაობში განთავსებული პარლამენტის **"ჭაობის კუკლამ"** თინა ხიდაშელმა ასევე საჯაროდ განაცხადა, რომ აფხაზეთს ჩვენ არ განვიხილავთ როგორც საქართველოს ნაწილსო. მაშინ ასე გვეგონა, რომ საქმე გვქონდა ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსის უმეცრებასა და პოლიტიკურ გაუთვითცნობიერებლობასთან, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ თურმე ჩვენი პოლიტიკოსები ამგვარი განცხადებების გაკეთების სანაცვლოდ საკმაოდ დიდ ფულად ჯილდოებსა და საგრანტო თანხებს იღებდნენ იმ **"რეპტილიური ფონდიდან"**, რომლებიც საქართველოში გახსნეს ავადსახსენებელმა ჯორჯ სოროსმა და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის მოშლის სხვა ორგანიზატორებმა. ეს მოგვიანებით გახდა ცნობილი და ამიტომაც არ გაგვკვირვებია ნაციონალური **"კრენის"** მქონე სკანდალური და ზნეობადაცლილი მსახიობის თინა მახარაძის განცხადება: **"მე თანამედროვე ბოზი ვარ და სცენაზე ტიტველმა, ქვედა საცვლის გარეშე უნდა ვიტანტალოო"**. არ ვიცი, რამდენი ათასი დოლარი აიღო ამ მორალურ თვითგვემაში უსახურმა და უსირცხვილო კახპა თინა მახარაძემ, მაგრამ მას რომ წესიერი ქართველი ახალგაზრდების ამორალურობისაკენ წაქეზებისათვის უჰონორაროდ არავინ დასტოვებდა, ეს უტყუარი ფაქტია...

ეჰ, რითი დავიწყე და საით გადამახვევინა თემის სვლამ – ძმებ ბერძერნიშვილებზე იმაზე მეტს ვერაფერს ვიტყვი, რასაც მათზე ერთ-ერთი საიმედო წყარო ამბობს: კომუნისტური მმართველობის ჟამს საბჭოთა კავშირის ორ უდიდეს და უძლიერეს სტრუქტურას – უშიშროების სახელმწიფო კომიტეტსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საკუთარი აგენტურული ქსელები გააჩნდათ და ისინი უკიდურესი საჭიროების ჟამსაც კი არ ერეოდნენ ერთმანეთის საქმეში და არ ცდილობდნენ აგენტების გადმობირებას. ერთადერთი გამონაკლისები თურმე ძმები ბერძენიშვილები იყვნენ, რომლებიც საკუთარი ნებით **"ერთგულად"** უწევდნენ აგენტურულ მომსახურეობას როგორც უშიშროების სახელმწიფო კომიტეტს, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროსაც. ამის შემდეგ, რაღა გასაკვირი იქნება, რომ ძმებ ბერძენიშვილებს არ უყვარდეთ ის ილია ჭავჭავაძე, რომელიც ზიზღითა და ამრეზით უყურებდა ყოველი ჯურის მსტოვარსა და საქართველოს მომტერო ელემენტს! საქართველოს ხელისუფლების სათავეში ამერიკელთა ბოროტი ნებით გათრეული ნულოვანი პოლიტიკური რეიტინგის მქონე რესპუბლიკელი რუპორები, სოროსის ძუძუნაწოვი – ბერძენიშვილები, ზურაბიშვილები, ხიდაშელები და დანი და ძმანი მათნი **"შესაშური"** მონდომებით უტევენ ყოველივე ქართულს და ცხვირში გვატენიან ყოველივე ევროპულ – ესე იგი პედერასტულ ღირებულებებს!

ამრიგად, რესპუბლიკელები თანდათან უბრუნდებიან თავიანთ პირვანდელ მდგომარეობას, რასაც მეცნიერები ატავიზმს უწოდებენ. არ გეგონით, რომ რესპუბლიკელებს ჩვენი შორეული წინაპრებივით ტყავკაბებისა და გამოქვაბულისაკენ ლტოლვას ვაბრალებდე. უარესი – ისინი თანდათან ემსგავსებიან იმ ნაციონალებს, რომლებიც ყოველი ბინძური მეთოდით იბრძვიან ხელისუფლებაში დასაბრუნებლად, მაგრამ როგორც მიცვალებული ვერ დაბრუნდება სასაფლაოდან, ისე ნაციონალები და მათი დორბლიანი ბელადი მიხეილ სააკიანცი ვერ დაბრუნდებიან ხელისუფლებაში. მაგრამ რესპუბლიკელები მაინც ფაფხურობენ და ყოველნაირად ცდილობენ ნაციონალთა გადარჩენას, რადგან სხვა ბუნებრივი პარტნიორი მათ არ გააჩნიათ. ამიტომ, როგორც კი პოლიტიკურ არენაზე **"ოცნების"** ერთგული ძალოვანი მინისტრი გამოჩნდება, წამსვე ცდილობენ მის დაძირვას, რათა პოზიციები შეუსუსტონ ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, მაგრამ, როგორც იტყვიან: **"ჩააფურთხონ დენიკინის ორშაურიანში"**!

რაც შეეხება 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს, რომელში გამარჯვების საკუთარ დამსახურებაზე ბევრს ყბედობდნენ რესპუბლიკელები, ამ ლამის ნულოვანი რეიტინგის მქონე პოლიტიკურ ძალას უნდა შევახსენოთ, რომ ქართველმა ხალხმა ხმა მისცა არა მათ, არამედ ბიძინა ივანიშვილს, რომელშიც ხალხმა დაინახა სააკაშვილისა და დაშნაკ ნაციონალთა მესაფლავე, რესპუბლიკელები კი გამოყენებულ იქნა როგორც ავგიას თავლად ქცეული სახელმწიფო ნაგებობიდან ნაციონალური ნაგვის გატანის ინსტრუმენტი. საქართველოში ამგვარ ინსტრუმენტს **"ნეხვის ლაფატკას"** ეძახიან, რომელსაც გამოყენების შემდეგ ბოსლის კედელს მიაყუდებენ ხოლმე. მოკლედ, **"ოცნებისტებმა"** გაიტანეს ნაციონალური სუნადენილი ნეხვი რესპუბლიკური **"ლაფატკით"**, შემდეგ რესპები კოალიციიდან **"დაიქნიეს"**, რითაც საბოლოოდ მიაყუდეს ინსტრუმენტი კედელზე. მაგრამ **"ლაფატკა"** მაინც ძლიერ ყარს, რადგან, როგორც ჩანს, მასზე საკმაოდ ბევრი ნაციონალური ნეხვია შერჩენილი! ჰოდა, რა ჩიტსაც დაიჭერენ რესპები 2016 წლის არჩევნებში, ეს მალე გამოჩნდება!

განა რესპუბლიკელების დიდი დამსახურება არ გახლავთ ის, რომ თავის დროზე ქვეყნიდან გავაძევეთ აჭარას არწივივით გადაფოფრილი ასლან აბაშიძე, რომლის წასვლის შემდეგ აჭარას (როგორც თავად თურქები ამბობენ) **"უსისხლოდ"** დაეპატრონენ თურქები (საიდანაც **"წარმატებით"** გადმოერთვნენ თბილისზე და დედაქალაქის ოკუპაციის აღმაშენებლის პროსპექტის დაპყრობით დაიწყეს)!? ამიტომ მიგვაჩნია, რომ ნაციონალებიცა და რესპუბლიკელებიც ერთმანეთის მსგავსი და ერთმანეთის დარი პოლიტიკური წარმონაქმნებია, რომლებიც საგანგებოდ დაიგეშნენ ამერიკაში ქართულ სისხლზე, რათა საბოლოოდ გაუშრონ იგი ქვეყანას!

ამიტომ არის აუცილებელი, რომ ერთიც გადაშენდეს და მეორეც!

### ბეღურების გადაფრენა...

მეცნიერთა დაკვირვებით, მანძილი, რაც ბეღურას ერთ ჯერზე შეუძლია გადაიფრინოს, ასიოდე მეტრია. პარლამენტში კი, პოზიციიდან ოპოზიციაში გადაფრენას მხოლოდ რამდენიმე მეტრი სჭირდება, რაც ყოველგვარი "პოლიტიკური გართულების" გარეშე განახორციელეს "თავისუფალმა დემოკრატებმა", ირაკლი ალასანიას მეთაურობით. მაგრამ კრიმინალურ გართულებას კი მაინც ვერ ასცდნენ, რადგან ალასანიას გუნდის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე დიდძალი საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვა-მითვისების ბრალდებით, დამნაშავეები 7-7 წლით მოაყუჩეს ციხეში. და ვიდრე ალასანიას "ღირსეულ" ადგილს მიუჩენენ პოლიტიკურ სანაგვეზე, იგი "ნაციონალური" მონდომებით დარბის ევროპაში და ცდილობს იქაურ პედერასტებს დაუმტკიცოს საკუთარი საჭიროება. როგორც ჩანს, მანაც გაიარა თავის მართლების "ნაციონალური" სკოლა და ახლა წარმატებით იყენებს მას საკუთარი უდანაშაულობისა და პოლიტიკური დევნის დამტკიცების საქმეში. ალასანიას კი მხარს "უმშვენებენ" ხელისუფლებიდან საკუთარი ნებით გადაფრენილი პოლიტიკური ბეღურები: პეტრიაშვილი, ფანჯიკიძე, დოლიძე და სხვები. დიახ, ეს ის ფანჯიკიძე გახლავთ, რომელმაც საგარეო საქმეთა მინისტრად მუშაობისას ევროპელ მასონთა საამებლად, "შალახოს" მელოდიით რომ წარადგინა საქართველო ევროკავშირში და შემდეგ კი "დააბერტყა": "სტალინი და ჰიტლერი ერთნაირად დამნაშავეები იყვნენ კაცობრიობის წინაშეო". მხოლოდ ამ სიტყვებისათვის ეკუთვნოდა მას თანამდებობიდან გაბუნძულება, მაგრამ ჩვენ მის მიმართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, რადგან მან, მისდაუნებლიედ, გამოააშკარავა ევროპელ ჩინოვნიკთა რაობა – თუ ფაშიზმის გამანადგურებელ სტალინს დამნაშავედ აცხადებ, მარტივი ლოგიკის მოშველიებით შეგიძლია დაასკვნა, რომ თავად ევროპელი ჩინოვნიკები არიან ფაშისტები, რადგან, ჰიტლერისა და და მისი ნაცისტურ-ფაშისტური (სააკაშვილში არ აგერიოთ, რადგან მიხეილ სააკიანცი საქართველოს (და არა ქართველი) ნაცისტია) ხროვის მსგავსად, სტალინს მიიჩნევენ დაუძინებელ მტრად.

ასე რომ, მაია ფანჯიკიძის მისამართით მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, რადგან მან თვალები აგვიხილა და მტერ-მოყვარე დაგვანახა, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართული მოსახლეობის თუნდაც მცირე ნაწილი იმდენადაა დაბრმავებული ევროპელთა ფოჩიანი კამფეტების ეშხით, რომ არაფრის გაგონება არ სურს და კვლავ ჯიუტად მიფოფხავს ევროპელი პედერასტებისაკენ! ისე, ყველა ფაშისტი ერთნაირად რომ ფიქრობს, ეს უკრაინის ყოფილმა პრემიერმა არსენ იაცენიუკმაც დაამტკიცა, რომელმაც ერთ-ერთი მაღალი ტრიბუნიდან **"დააბრეხვა"**, რომ 1941 წელს საბჭოთა კავშირი თავს დაესხა უკრაინას და გერმანიასო!

ამასობაში კი ირაკლი ალასანიას, რომელსაც თავის დროზე ე.წ. "კულინარელთა" ბანდიტური დაჯგუფების წევრად მოიაზრებდნენ, ახალ ბრალდებას უყენებენ მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში უგზო-უკვლოდ დაკარგული ახალგაზრდების – კუსა თოხმაიდისა და ბექა რეხვიაშვილი მშობლები და სთხოვენ ხელისუფლებას, რომ ეს საქმე არაა დახურული და იქნებ პროკურატურა და შესაბამისი უწყებები რეალურად დაინტერესდნენ მათი უგზო-უკვლოდ გაუჩინარებული შვილების საქმის გამოძიებით და ერთხელ და სამუდამოდ დადგინდეს დამნაშავეების ვინაობა.

უფრო მძიმე ბრალდების აჩრდილი დასტრიალებს ირაკლი ალასანიას თავს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როცა მისი ხელმძღვანელობით მოქმედმა "ქართული ოცნების" შტაბმა პირწმინდად წააგო არჩევნები "ნაციონალებთან" სამეგრელოს ყველა რაიონში. ახლა უკვე ხმამაღლა საუბრობენ იმის თაობაზე, რომ ალასანია წინასწარ იყო გარიგებული ახალაიასთან და ნაცების მოგების შემთხვევაში მას ალბათ პრეზიდენტის პოსტს შესთავაზებდნენ, მას შემდეგ, რაც სააკაშვილი გაძლიერებული პრემიერ-მინისტრი გახდებოდა. ამიტომაც დაიგულა თავისად პრეზიდენტობა ივანიშვილის პოლიტიკურ ტრამვაიზე შემხტარმა ამ არარაობამ, ირწმუნა საკუთარი უძლეველობა და ყველას დაუკითხავად გადაწყვიტა პრეზიდენტობაზე კენჭისყრა, რისთვისაც ამოუჭირეს კიდეც პირველი ჭიტლაყი და ვიცე-პრემიერობიდან გამოაბუნძულეს. შემდეგ ჩვეული ინტრიგებით უნდოდა არეულობის მოწყობა ნაცების მიერ 15 ნოემბერს დანიშნულ მიტინგზე, რომელსაც ალბათ სახელმწიფო გადატრიალების ჭრილში გადაიყვანდა მაგრამ აქაც ჩაუვარდა კოვზი ნაცარში და ახლა პუშკინისეული დამწუხრებული დედაბერივით ზის გაბზარულ ვარცლთან და იმ "ბედნიერ" დროზე ოხრავს მძიმე მონატრებით, სახელმწიფო ხაზინაში დაურიდებლად რომ ურევდა ხელს!

ყოვლისშემძლე, ახლა კი უკვე "ყოვლისმკადრებელმა" ქართველებმა ძველი ქართული თქმაც გავაცამტვერეთ – "სოფელი არ არის, ერთი გიჟი მაინც რომ არ ყავდესო". ერთი კი არა, იმდენი გიჟია დღეს ქართულ პოლიტიკაში შეყუჟული, რომ ერთი ქალაქი ძნელად თუ დაიტევს. მართალია, ბევრმა ჭკვიანმაც დაიბრალა სიგიჟე, რათა ცხრა წლის განმავლობაში ქვეყნის მთავარი გიჟი მიხეილ სააკაშვილისათვის ესიამოვნებინა და მისი "კოლეგიალური" კეთილგანწყობა მოეპოვებინა, მაგრამ ფაქტია, რომ კლინიკური ფსიქიურად დაავადებულების ნაკლებობასაც არ განვიცდით.

ამერიკაში ყოფნისას მასპინძლებმა გამაფრთხილეს ჯიბეში მუდამ გეყაროს ხურდა, რადგან მათხოვარი თუ მოგიახლოვდა, ჯერ მდაბალი თხოვნით მოგმართავს მოწყალების გასაღებად, მაგრამ თუ ათცენტიანი მაინც არ მიეცი, შეიძლება აგრესია გამოავლინოს და მუცელში დანა გაგიყაროსო. სწორედ ასეა ქვეყნის მთავარი ლეიბორისტის შალვა ნათელაშვილის საქმე, რომელიც ჯერ გვევედრებოდა: "ამ ერთხელ მაინც მანდეთ ქვეყანა და პრეზიდენტად ამირჩიეთო", მაგრამ საჭირო ხმები რომ ვერ გამოიმათხოვრა, ახლა ისეთი აგრესიული ტონით ითხოვს არჩევნებში გამარჯვებას, რომ, უეჭველი უარყოფითი შედეგის შემთხვევაში, შეიძლება დანაც კი გვატაკოს მაჭიკში! არა და, ეს ის შალვა ნათელაშვილი გახლავთ, რომელმაც გარკვეული, არც მთლად სუფთა პოლიტიკური გარიგების ფასად ხონჩით მიართვა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობა დაშნაკ არაქართველ მიხეილ სააკაშვილს, რომელმაც შემდეგ ნათელაშვილი სომხურად **"მოტეხა"** და თვითონ გახდა ქვეყნის პრეზიდენტი. ამრიგად, სწორედ შალვა ნათელაშვილის დამსახურება გახლავთ ის, რომ დორბლიანი, მექალთანე, ტირანი და შეურაცხადი დაშნაკი სააკაშვილი ცხრა წლის მანძილზე წურბელად აჯდა კისერზე სრულიად საქართველოს!

ეს ყოველივე არად მიაჩნია ნათელაშვილს, ისიც და მისი გუნდის წევრებიც უშვერი სიტყვებით ლანძღავენ ნაციონალური ჭირისაგან საქართველოს დამხსნელი **"ქართული ოცნების"** მესვეურებს და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს მოითხოვენ, რომელშიც ისინი, ყველა პოლიტიკური გათვლით, ხმების ერთ პროცენტსაც კი ვერ დააგროვებენ. მოკლედ, შალვა ნათელაშვილმა საბოლოოდ დაჰკარგა პოლიტიკური ორიენტირი და სახე, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მას პოლიტიკური სახე არასოდეს არ ჰქონია. ნათელაშვილის შეურაცხადობა იქამდეც კი მივიდა, რომ სასამართლოში შეიტანა სარჩელი ივანიშვილის წინააღმდეგ კულტურული ძეგლების განადგურების ბრალდებით. და ეს მაშინ, როცა ივანიშვილმა მილიარდები მოახმარა საკუთარი ჯიბიდან საქართველოში კულტურული და რელიგიური ძეგლების რესტავრაციის საქმეს! და ეს მაშინ, როცა ნათელაშვილი, ალბათ გარკვეული საზღაურის ფასად ყიდულობდა და კვლავაც ყიდულობს არამად ნაშოვნი ფულით დიდძალ ქონებას.

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტად წოდებულ **"პლასტელინის"** კაცს, სოროსის ძუძუნაწოვ და ავადსახსენებელი ანტიქართული შხამიანი ბუდის **"თავისუფლები ინსტიტუტის"** ერთ-ერთ დამფუძნებელ გიორგი მარგველაშვილს და სხვა **"აცაბაცა"** ქართველ პოლიტიკოსებს, მოდით, მათზე საუბარი სამერმისოდ გადავდოთ, რადგან საქართველოში დღეს იმდენი პოლიტიკური პარტია და **"პოლიტიკოსია"**, რომ მხოლოდ მათი გვარ-სახელების ჩამოთვლას დასჭირდება ერთი სქელტანიანი წიგნი.

ფაქტია, რომ დღეს ქართულ პოლიტიკას მოძალებული არიან ყბამოღრეცილები, თვალებგამობლიტულები, ლოშქრიანები, ლიყიანები, ენაბრგვილები, საეჭვოდ სახეალაპლაპებულები და, რაც ყველაზე ამაზრზენია, უზნეოები, უტიფრები, ჰომოსექსუალი არაკაცები, ბოზანდარა არაქალები...

ღმერთო დაგვიცავი ამგვარ სატანათა მოძალებისაგან!

**როლანდ ჯალაღანია,**
**"ფაზისი"-ს და "აია"-ს აკადემიების წევრი**

# უცხოეთის პრესა საქართველოს შესახებ

მიუხედავად მსოფლიო პროპაგანდისტული მანქანის დიდი დეზინფორმაციული მუშაობისა, უცხოეთის პრესაში, მაინც იბეჭდებოდა ობიექტური მასალები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საბედნიეროდ, მაინც არსებობენ პატიოსანი ადამიანები, ჟურნალისტები, საზოგადო მოღვაწეები, რომელთაც საქართველოში მიმდინარე მოვლენებს თავიანთი სახელი უწოდეს, მათ რიცხვს მიეკუთვნება დიდი ბრიტანეთის ადამიანის უფლებათა დაცვის ჰელსინკის ჯგუფი.

**საერთაშორისო გაზეთი „ადამიანის უფლებები“**

**„ეროვნული დღესასწაულის დღეს 1992 წლის 26 მაისს დემონსტრაცია ჩატარდა. ამ დღეს, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ბეიკერი თბილისში ბრძანდებოდა და სასტუმრო „ივერიის“ წინ საგანგებოდ მოკრებილ ხალხს მიმართავდა. ე.წ „ხელმძღვანელების“ მიერ მოწყობილ ამ ღონისძიების 2.000 მონაწილე ესწრებოდა.**

**საქართველოს სამხედრო მთავრობის მოწინააღმდეგეთა დემონსტრაციის მონაწილეებმა უნივერსიტეტის წინ მოიყარეს თავი. როცა დემონსტრაცია რუსთაველის პროსპექტის მიმართულებით დაიძრა, თან მოჰქონდათ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პორტრეტები და ქართული დროშები. დემონსტრაციის მონაწილენი ჩვეულებისამებრ, უიარაღონი იყვნენ და თავს არიდებდნენ ყოველგვარ შეტაკებას ხუნტასთან. გზადაგზა, დემონსტრაციას შეუერთდა 30.000-ზე მეტი ადამიანი.**

**ხალხი აღშფოთებული გამოხატავდა თავის პროტესტს დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიმართ იმის გამო, რომ ისინი ყალბ ინფორმაციას ავრცელებდნენ საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის შესახებ. აგრეთვე, ამერიკის და გერმანიის საგარეო პოლიტიკური სიტუაციის მიმართ, რომლებმაც აღიარეს სამხედრო დიქტატურა.**

**როდესაც, დემონსტრატები ფილარმონიას გაუსწორდნენ, ერთბაშად, სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული შეიარაღებული მხედრიონელები შეშლილებივით შეიჭრნენ ხალხში მანქანებით. სროლა ატეხეს, მიუხედავად მშვიდობიანი, უიარაღო ხალხის უმოწყალო ხოცვისა, დემონსტრატებმა შეძლეს სიმშვიდის და ერთიანობის შენარჩუნება. დემოსტრაციის უამრავი მონაწილე დახოცეს, უამრავი დააპატიმრეს, უამრავი დაჭრეს.**

**ვესაუბრე საქართველოში 300-ზე მეტ ადამიანს. ისინი არიან სხვადასხვა ასაკის, სოციალური ფენის და განათლების მქონე ადამიანები. მათთვის (ისინი საქართველოს მცხოვრებთა 90%-ს შეადგენენ), კანონიერი ხელისუფალია პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. საქართველოში ერთერთი საძულველი ადამიანია ე. შევარდნაძე. საინტერესოა, რას იტყოდნენ გერმანელები, ერიკ ხონეკერი მოსკოვიდან რომ დაბრუნებულიყო და როგორც ფედერალური კანცლერი, იქაურ მთავრობას ჩასდგომოდა სათავეში? საქართველოს კომპარტიის პირველ მდივნად ყოფნისას (1972-1985 წლები) შევარდნაძეს ხომ მრავალი დანაშაული აწევს კისერზე.**

**მე მქონდა სატელეფონო საუბარი გერმანიის საელჩოს ქართველ მდივანთან. საელჩოს მიმართ, მე, განსაკუთრებული აღშფოთება გამოვთქვი ხუნტისადმი მხარდაჭერის გამო და საერთოდ, გერმანულ პრესაში ინფორმაციის ბლოკირების გამო.**

**მე, თან წამოვიღე დიდძალი და შთამბეჭდავი ვიდეო მასალა, რომელშიც ზედმიწევნითაა ასახული საქართველოში პოლიტიკურ პროცესთა რეალური სურათი.**

**საქართველოში მთელი წლების განმავლობაში ადამანის უფლებები მრავალი ფორმით ირღვევა. ამჟამად, საქართველოს შემობრუნება დემოკრატიული განვითარებისაკენ შესაძლებელი გახდება, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა აღსდგება კანონიერი ხელისუფლება და დაინიშნება არჩევნები.**

**ანდრეას ერბერი,**
**ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების წევრი-ექსპერტი,**
**1992 წლის ივლისი.**

თარგმნა **ლაშა გამსახურდიამ**

**P.S.** გვაქვს საიდუმლო საცავებში დიდძალი მასალა და ვიდეო ფირები იმის დადასტურებით, თუ რა ხდებოდა საქართველოში 1991 წლიდან 1995 წლის ჩათვლით.

ზღვა მასალა და ფირები გადმოგვცეს სირიაში დიდი ბრიტანეთის ადამიანის უფლებათა დაცვის წევრებმა, ჟურნალ **"დი დრაის"** თანამშრომლებმა, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა მარკ ალიმონდმა, შვეიცარიის გაზეთ **"ნოე ციურჰენ ცაიტუნგი"**-ს თანამშრომლებმა და სხვებმა.

ასე რომ, გეშინოდეთ საქართველოს მოღალატე ქართველებო!

ძვირფასო თანამემამულენო! დიდია დღევანდელი განსაცდელი საქართველოსი, მაგრამ, ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა, ჩვენი რწმენა, დიდი ზვიადის, მერაბის მიერ არჩეული მართალი გზისა, შთაგვბერავს ძალას და მიგვიყვანს საბოლოო გამარჯვებამდე. ჩვენ გვსურს ვაშენოთ სამართლიანობის, თავისუფლების და დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებული ქვეყანა. ჩვენს ერთობას და ურთიერთობას ვერ შეარყევს მასონური ამერიკის, ევროპის შეიარაღებული ბანდა, თუ „მაღალი პოლიტიკის“ ინტრიგები, მთელი პროგრესული კაცობრიობა ჩვენთან არის!

ღმერთი არს ჩვენთან!

**3.035 მებრძოლის სახელით,**
**საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გვარდიელები:**
**ლაშა გამსახურდია, მართა სავანელი, ნაილი ხომერიკი, ლევან ზალიშვილი, გერონტი გუგუნავა, მიშა მარიამიძე**
**სირია, დამასკო**

# სტალინისა და მისი ბიუსტის წინააღმდეგ ამხედრებული შორაპნელი "აღათი" და ატენელი "რაჟიკო", "კომედი"-დან არაბიძე ნიკუშა, და ფხაკაძე ვასიკო!

2015 წლის ოქტომბერში, გორის საკრებულომ სამარცხვინო გადაწყვეტილება დაამტკიცა – როგორც იტყვიან, თავზე ბოლომდე გადაიშარდა და სტალინის ძეგლის დადგმაზე უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო. ქვეყნის მასშტაბით ამან ისეთი ნეგატიური რეზონანსი გამოიწვია, რომ თვით ანტისტალინელებიც კი აღაშფოთა. ამას მოჰყვა სხვადასხვა სოფლებში მოსახლეობის ძირითადი მასის გააქტიურება და სტალინის ბიუსტების თვითნებურად დადგმა. ერთი ასეთი ფაქტი დაფიქსირდა ზესტაფონის რაიონის სოფ. შორაპანში, სადაც სტალინის გულშემატკივრებმა, ანუ ამ სოფლის საღად მოაზროვნე საზოგადოების ნაწილმა, ამავე სოფლის ყოფილი ელემენტების ქარხნის ტერიტორიაზე მოხსნილი და საგულდაგულოდ შენახული სტალინის ბიუსტი სამალავიდან ამოიღეს და ამ სოფლიდან სამამულო ომში დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნის საპატივცემულოდ აღმართულ შინმოუსვლელთა მემორიალთან დადგეს. მეორე დღეს, როცა სოფლის მაცხოვრებლებმა ეს ძეგლი იხილეს, აღფრთოვანება ვერ დამალეს და მარჯვენა დაულოცეს ამ ძეგლის დამდგმელებს.

აბა, **"რუსთავი-2"** რის **"რუსთავი-2"** იქნებოდა, ამხელა სოფელში, ამ ძეგლის მოწინააღმდეგე ერთი **"ნაციონალი"** მაინც არ აღმოეჩინა და ნახა კიდეც – ვინმე კაპანაძე, რომლის სახელი არ დამამახსოვრდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, **"აღათი"** ან **"ფედოსია"** ერქმეოდა, რომელმაც, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, პირდაპირ განაცხადა: ჩვენ ახალგაზრდები სტალინის წინააღმდეგი ვართ და რაიონის საკრებულოს მივმართავ, რომ ეს ძეგლი აიღონო. ახლა, ამ უწიგნურ და გაუნათლებელ **"ფედოსიას"** რა უნდა ველაპარაკო, როცა ქვეყნის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ქ-ნმა მაია ფანჯიკიძემ, ამ რამდენიმე წლის წინათ, ბევრად უფრო სულელური და უვიცი განცხადება გააკეთა, რისთვისაც პასუხიც კაი გვარიანი მიიღო.

ამ **"ფედოსიას"** ინტელექტზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია, რომელსაც თავისი განათლებულობა სახეზე პირდაპირ აწერია. ისე, არ არის გამორიცხული ლომაიას, შაშკინისა და სანიკიძის რეფორმირებული განათლების სისტემის წყალობით, ჯიბეში, ქვეყანაში მომრავლებული ჯიხურში გახსნილი უნივერსიტეტების დამთავრების 2 ან 3 დიპლომიც ედოს. რაც შეეხება მის ახალგაზრდობას, ამაშიც ეჭვი მეპარება, ვიზუალურად 60 წლამდე ასაკის ქალბატონის შთაბეჭდილებას ტოვებს. ხოლო ძღომისგან ლოყები ისე აქვს დაბერილი და გაღაჟღაჟებული, ხელი რომ მოუჭირო ხაშლამის წვენი გამოუვა. ვაი, ჩვენი ცოდვა, საწყალო საქართველოვ, რა დრო დაგიდგა, რა დღეში ჩაგაგდო და რას დაგამსგავსა **"ნაციონალების"** მიერ მოყვანილმა ამ უწიგნურმა თაობამ. ვინ რას ლაპარაკობს თვითონაც არ იციან, მით უმეტეს, სტალინის პიროვნებას ისეთი ხალხი აფასებს, და ვერდიქტიც ისეთ ხალხს გამოაქვს, სტალინი ვინ არის ამის გაგებაშიც, რომ არ არიან. ასეთ ხალხს, კაი ოჯახის პატრონი ორ ბატსაც კი არ მიაბარებს, **"რუსთავი-2"**-მა კი ისეთი რეკლამა გაუკეთა, ლამის მთელი ქართველი ახალგაზრდების სახელ წარმოაჩინა. მსგავსი ფაქტი მოხდა 2016 წელს გორის რაიონის სოფ. ატენშიც, სადაც ამავე სოფლის მაცხოვრებელთა ერთმა ჯგუფმა, ფაშიზმზე გამარჯვების 71 წლისთავთან დაკავშირებით 9 მაისს, თავიანთ სოფელში, ამ გამარჯვების სულის ჩამდგმელისა და ორგანიზატორის, თავიანთი კუთხის შვილის, გენერალისიმუს სტალინის ბიუსტი დადგეს. ეტყობა ნაციონალებმა აქაც მოძებნეს **"შორაპნელი აღათის"** მსგავსი, ვინმე **"რაჟიკო და ძმანი მისნი"** და რამდენიმე **"ვერცხლის"** საფასურად, ამ ნიღბიანმა სულგაყიდულმა ბიჭბუჭებმა, ეს ბინძური ვანდალური დავალება, ღამით, ხალხის უჩუმრად, **"პირნათლად"** შეასრულეს. ჯერ იყო და ყვითელი საღებავით შეღებს, რომელიც მოსახლეობამ მეორე დღესვე გაასუფთავა და წესრიგში მოიყვანა. ამის შემდეგ, ამ ველურმა ვანდალებმა, ისევ ღამით, ისევ ხალხის უჩუმრად, ეს ბიუსტი დაამსხვრიეს.

**"რუსთავი-2"** რისი **"რუსთავი-2"** იქნებოდა, ამას რომ დასჯერებოდა და თავისი წვლილი ამ ბინძურ საქმეში უფრო მეტად არ შეეტანა. ჯერ იყო და მისმა ერთ-ერთმა **"ბოსმა"**, ვანიჩკა ჯავახიშვილმა უნიჭო ხუმრობებით მოსინჯა სტალინის გაქილიკება, მაგრამ შეატყო, რომ არც ისე კარგად გამოუვიდა, თემა მომგებიანი არ აღმოჩნდა, ეყო ჭკუა და ეს თემა საერთოდ ამოიღო დღის წესრიგიდან. სამაგიეროდ, ჭკუა არ ეყო ჩხარელ ნიკაია არაბიძეს და ფარცხანაყანებელ ვასიკია ფხაკაძეს, რომლებმაც ამ თემის წამოწევა და გაშარჟება გადაწყვიტეს. ეს როგორც გამოუვიდათ და რა წარმატებას მიაღწიეს, ტელემაყურებელი თვითონ შეაფასებდა, მაგრამ, შენ რომ ნიკა არაბიძე ხარ და ვასიკო ფხაკაძე, შენ თავს არ უნდა აკადრო, და დუტა სხირტლაძეს არ უნდა დაემსგავსო. მით უმეტეს, როცა ძალიან კარგად იცი, რომ მისი ფეხის ფრჩხილიდან გამოღებული მტვრის ფასიც არა ხარ, და დოლარებზე დახარბებული, ვიღაც გადამთიელების ინტერესებს ემსახურები და მის დავალებას ასრულებ. მერე კიდევ კაცობაზე დებ თავს, ამ დოლარებით გაშლილ სუფრაზე გულზე ხელის ბრახუნით, საქართველოსა და მისი ღირსეული შვილების სადღეგრძელოს სვამ, რა ქვია ამას?

ეს ორივე გვარი, საკმაოდ ცნობილი და პატივსაცემი გვარია იმერეთში, ამასთან წესიერი და მშრომელი ხალხია. ყოველ შემთხვევაში, მე ვისაც ვიცნობ, ყველანი ასეთები არიან, მაგრამ თითო ოროლა გლახა ყველა გვარში გამოერევა და ამით ქვეყანა არ იქცევა. ისე, ძალიან საინტერესოა, სტალინი რომ არ ყოფილიყო, და სოციალურად დაცული სახელმწიფო არ შეექმნა, დღეს სად იქნებოდნენ და რამდენოყიანი თოხები ეჭირებოდათ ხელში ნიკა არაბიძესა და ვასიკო ფხაკაძეს. რომელი ბაგრატოვანთა გვარის იმერული შტოს წარმომადგენლები ეგენი მყვანან, რომ სრასასახლეებისა და დიდი მამულების პატრონი ყოფილიყვნენ. გაღლეტილ-გაღარიბებული გლეხები იყავით და რევოლუციამდელ საქართველოში ჭადით არ გამაძღარხართ. ახლა კიდევ, გამოდიხართ და იმ კაცს ამასხრებთ, ვინც თვალებიდან გამოგახედათ და ქვეყანა დაგანახათ. სოფლის დუქნის ნაცვლად, სუპერმარკეტებსა და ფეშენებელურ რესტორნებში დაიწყეთ სიარული. **"ქალამნებისა"** და შარვალზე გადაშვებული წვრილქამრიანი **"ბლუზის"** ნაცვლად, **"სალამანდრის"** ფეხსაცმელი, **"არმანისა"** და **"პიერ კარდენის"** პერანგები და პიჯაკები ჩაიცვით. მოკლედ, ვირო მადლიო რა... ისეა თქვენი საქმე. ამ ბოლო დროს, ისე გაბანძდა ეს **"კომედი შოუ"**, რომ პირდაპირ შეგრცხვება კაცს. ახლა, სანდრო ჟორჟოლიანამდე, აკაკი კვანტალიანამდე და იპოლიტე ხვიჩიამდე რომ ძალიან შორს ხართ და კოჭებამდეც ვერ მისწვდებით, ამდენი ჭკუა ალბათ გაქვთ და ამას თქვენც კარგად ხვდებით. ისე, ჩვენში დარჩეს და, უნდა ვაღიარო, რომ ადრე ნამდვილად იყო ამ გადაცემაში რაღაც გონებამახვილური და მისაღები ხუმრობები, რომლითაც, განსაკუთრებით, ბ-ნი ვანო ჯავახიშვილი და ბ-ნი ნიკა არაბიძე გამოირჩეოდნენ, რითაც მათ სრულიად სამართლიანად ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს. ახლა კი ისე გაბანძდნენ, რომ კაცს მათი მოსმენაც აღარ მოგინდება. შე კაი კაცო, ისეთი რა გაგიჭირდა, ან ისე როგორ უნდა დაეცე, რომ ვიღაც გადამთიელების კარნახით, და მათი გადმოგდებული ნასუფრალის გულისათვის, შენი ქვეყნის შვილი, მთელი 30 წლის მანძილზე მსოფლიო წესრიგის განმსაზღვრელი და მომწესრიგებელი გააქილიკო, მერე ამაში აღებული ფულით, რამე იყიდო და სახლში ბავშვებს მიუტანო. ისე როგორც, **"ნაციონალები"** იტყოდნენ, მაქვს გონივრული ეჭვი, რომ მარტო ფულზე დახარბებაც არ უნდა იყოს ამის მთავარი მიზეზი. მიზეზი უფრო სერიოზულია, და ვფიქრობ, უფრო თქვენი უწიგნურობისა და გაუნათლებლობის ბრალია. გაუნათლებელი კაცი კიდევ, გონებაზე წინ ყოველთვის კუჭს აყენებს, ოღონდ ფული დაანახვე და ყველაფერზეა წამსვლელი. ბევრჯერ დამიწერია და ახლაც ვიმეორებ: ქართველებმა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო იმიტომ უნდა ვცეთ პატივი ამ ბუმბერაზ კაცს, რომ საქართველო, ეს აგრარული და ჩამორჩენილი ქვეყანა, ინდუსტრიულ რესპუბლიკად აქცია. **"ნაციონალებისაგან"** განსხვავებით, თავის სამშობლოს ტერიტორიები კი არ დააკარგვინა, 7000 კვ კმ. იქით მიუმატა და მისი ტერიტორია 76.000 კვ კმ. გახადა. მენშევიკების მიერ გატაცებული განძი ქვეყანას დაუბრუნა, და ამით ფაქტიურად საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა გადაურჩინა. და რაც მთავარია, 1943 წლის 28 ნოემბერს, თეირანში, საუკუნეების მანძილზე ისტორიულად, საქართველოსა და ქართველი ხალხის ყველაზე დიდი და პირსისხლიანი დაუძინებელი მტრის, ირანის შაჰმა, რომ დაუჩოქა და მუხლებზე ემთხვია. აი, ასეთ კაცს აქილიკებთ თქვენ, სულგაყიდულო ნიკუშა და გამოფარცხანაყანებულო ვასიკო!

მართლა ვაი, თქვენს პატრონს, უბედურს!

P.S. რომ მეგონა, **"კომედი-შოუმ"** ამით მოამთავრა თავისი არც თუ წარმატებული მცდელობა სტალინის გაქილიკებისა. შემდგომ გადაცემაში, უცებ, ეს ნაფტალინწაყრილი სააკაშვილის კუმირი, და მისი კარის მომღერალი ნინა წკრიალაშვილი არ გამოხტა, და ამანაც სტალინის გაქილიკება არ მოინდომა?! ფორმად კი ტატუირება გამოიყენა.

ადგილიც შესანიშნავი შეარჩია, მკერდის მარჯვენა მხარე ძუძუს ძირში, სადაც ჩიტოვიჩმა და ვასიკომ გულმოდგინედ წააწერეს **"სოსო"**. ჯერ სააკაშვილი რა არის და ვიღას ახსოვს, მისი კარის მომღერალი, რომ ვინმეს ახსოვდეს. ამიტომ სააკაშვილის ხანაში პოპულარობას მიჩვეული და ტელევიზორების ეკრანზე **"გაზის ბალონივით"** გამოკიდებული წკრიალაშვილი ვიღას ემახსოვრებოდა. ამანაც ადგა და საზოგადოებისათვის თავის შეხსენების ყველაზე იაფი მეთოდი, ვითომ სტალინის გაქილიკება არჩია და მისი ტატუ მკერდზე, მარჯვენა მხარეს ძუძუს ძირში გაიკეთა. ჩემო ნინა, მიგნება სწორია, სტალინი როგორც სრულყოფილი მამაკაცი, ლამაზი ქალების მიმართ გულგრილი ნამდვილად არ ყოფილა და მათი მკერდიც იზიდავდა. მაგრამ სააკაშვილისაგან განსხვავებით, ვერა დავიდოვასა და ლიუდმილა ორლოვას მკერდებით განებივრებულ სოსოს, შენი გამჭკნარი მკერდი და ძუძუები რომ მოწონებოდა, ამაში ეჭვი სერიოზულად მეპარება.

**ომარ გოცაძე**

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# ტიგრან-მეფე და ქართველი ქურდი „პეშკა“



ჭადრაკში მამაკაცთა შორის ერთადერთი არაებრაელი მსოფლიო ჩემპიონი, გენიალური სომეხი დიდოსტატი, წარმოშობით თბილისელი, ტიგრან პეტროსიანი, სამშობლოში ეროვნულ გმირად აღიარეს და **"ტიგრან-მეფე"** უწოდეს. მთელ მსოფლიოში გაფანტული სომხები მას უძვირფასეს საჩუქრებს უგზავნიდნენ და ერევანში მთავრობის მიერ ნაბოძები ფეშენებელური ბინა უამრავი ძღვენით იყო სავსე. ყველაზე ძვირფასი საჩუქარი კი ტიგრან პეტროსიანს თბილისელმა სომხებმა მიუძღვნეს. მათ უზარმაზარი ფული შეკრიბეს და ცნობილ იუველირს სამველ გევორქიანს ჭადრაკი დაამზადებინეს: დაფა ინკრუსტირებული, შავ-თეთრის ფერის უძვირფასესი მარმარილოსი იყო, უზარმაზარი ფიგურები კი ბაჯაღლო ოქროსგან იყო ჩამოსხმული და თითოეული მათგანი ლალით, ფირუზითა და ბრილიანტით იყო მოოჭვილი. ოცდათორმეტი საჭადრაკო ფიგურის საერთო წონა 3 კილოგრამი და 200 გრამი იყო, 66 ცალი ძვირფასი თვალი კი 100 კარატს აჭარბებდა. მაშინდელი შეფასებით, ამ უძვირფასესი საჩუქრის ფასი მილიონ-ნახევარ მანეთს აჭარბებდა. გასული საუკუნის სამოციან წლებში ეს თანხა კოლოსალურად ითვლებოდა.

ტიგრან-მეფე მთელ სომხეთში ხელშეუხებელ პიროვნებად ითვლებოდა და მისი სახლი ერევანში თითქმის სულ ღია იყო. 1971 წლის აგვისტოში ტიგრან პეტროსიანი ლონდონში იმყოფებოდა, სადაც საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში მონაწილეობდა, მისი ოჯახის წევრები კი ზღვაზე ისვენებდნენ და, სახლი, ფაქტობრივად, ცარიელი იყო. 16 აგვისტოს დილას პეტროსიანის სახლში დასალაგებლად მისულმა მოსამსახურემ აღმოაჩინა, რომ მარმარილოს დაფაზე გაშლილი ოქროს ფიგურები სადღაც გამქრალიყო. მოსამსახურემ მილიცია გამოიძახა, საღამოს კი უკვე მთელმა სომხეთმა იცოდა, რომ ტიგრან-მეფე გაქურდეს.

### "პეშკა"

საბჭოთა სომხეთის მთელი მილიცია ფეხზე დადგა. საუკეთესო მაძებრები დღეღამეს ასწორებდნენ ბოროტმოქმედის ძებნაში, იმედი ჰქონდათ, რომ ტიგრან პეტროსიანის ლონდონიდან დაბრუნებამდე გახსნიდნენ დანაშაულს და ოქროს ჭადრაკს პატრონს დაუბრუნებდნენ, თუმცა, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ქურდის კვალზე გასვლა არ მოხერხდა და მილიციამ ნაცადი ხერხი გამოიყენა – გადაწყდა, რომ დახმარებისთვის **"შავი სამყაროს"** წარმომადგენლებისთვის მიემართათ. იმ პერიოდში ერევნის ციხეში რვაწლიან სასჯელს იხდიდა ცნობილი ქართველი კანონიერი ქურდი მერაბ ჯიქია, მეტსახელად **"პეშკა"**. ის 1969 წელს ერთ-ერთი ერევნელი **"ცეხავიკის"** გაქურდვისთვის იყო გასამართლებული და უკვე ორი წელი არ გამოჰყავდათ ერთადგილიანი საკნიდან. ასეთი მკაცრი რეჟიმი კი იმიტომ დაუწესეს, რომ ნაქურდალი ნივთების ადგილსამყოფელს არ ამხელდა და, საერთოდ, არც დანაშაულს აღიარებდა.

დადებითი შედეგი ვერც დიდმა სომხურმა ქურდულმა **"სხოდკამ"** გამოიღო – პეტროსიანის ბინის ქურდი ვერც მათ აღმოაჩინეს. თითქმის ყველა იმედი გადაწურული იყო, როდესაც პოლკოვნიკ აშოტ ვართანიანს **"ადინოჩკაში"** გამომწყვდეული **"პეშკა"** გაახსენდა. ვართანიანი, რომელიც სომხეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში მუშაობდა, ძალიან ვერაგი და ეშმაკი კაცი იყო და კარგად იცნობდა **„პეშკას"**. სწორედ მისი წყალობით იყო **"პეშკა"** ერთადგილიან საკანში მოთავსებული – რადგან მისი **"გატეხვა"** ვერ შეძლო, ამგვარად უხდიდა სამაგიეროს. ვართანიანი სომხეთის შინაგან საქმეთა მინისტრს კაბინეტში ეახლა და ჭადრაკის ფიგურების დაბრუნების საქმეში **„პეშკას"** ჩართვა ურჩია.

– ეგ რომელი **"პეშკაა"**, აშოტ, შენ რომ ვერ აღიარებინე დანაშაული და **"ადინოჩკაში"** გამოამწყვდიე? – დამცინავად ჰკითხა მინისტრმა პოლკოვნიკ ვართანიანს.

აშოტმა ყურადღება არ მიაქცია დაცინვას და მინისტრს უთხრა:

– **"პეშკა"** დიდი ავტორიტეტია და ეგ თუ გვიშველის.

– რომ გავუშვათ და გაგვექცეს?

– გამორიცხულია. თუ **"პეშკა"** პატიოსან სიტყვას მოგვცემს, არსად გაგვექცევა და ისევ უკან დაბრუნდება, თავს დავდებ ამაზე.

– კეთილი, შენ თვითონ მოაგვარე ეგ საქმე, მაგრამ, თუ **"პეშკა"** გაიქცა, მის მაგივრად შენ ჩაგსვამ **"ადინოჩკაში"**, – მიუგო მინისტრმა პოლკოვნიკს და კაბინეტიდან გაისტუმრა.

### „სიცილიური დაცვა"

აშოტ ვართანიანი მინისტრის კაბინეტიდან პირდაპირ ციხეში მივიდა, "პეშკას" საკანში მიაკითხა და ოქროს ფიგურების დაბრუნების საქმეში დახმარება სთხოვა.

– ასე გამოდის, რომ ციხიდან მიშვებთ? – ჰკითხა ქურდმა მილიციელს.

– მხოლოდ დროებით.

– მერედა, არ გეშინიათ, რომ გავიქცევი?

– თუ პირობას მომცემ, რომ არ გაიქცევი, არ მეშინია, – მიუგო ვართანიანმა.

– რომ არ გავიქცევი, იმის პირობას მოგცემ, მაგრამ, ნაქურდალის დაბრუნებაზე თავს ვერ დავდებ.

– კარგი, თავისუფალი ხარ.

– ოღონდ, სამი პირობით... აქედან რომ გავალ, მილიცია **"კუდზე"** არ უნდა დამაჯდეს. აქედან საქართველოში უნდა გავემგზავრო. და, კიდევ, ასი მანეთი უნდა მასესხო.

პოლკოვნიკმა **"პეშკას"** ასი მანეთი მისცა. ციხიდან გაიყვანა და გაუშვა.

გამოცდილმა ქართველმა ქურდმა რამდენიმე მანევრი გააკეთა და, რომ დარწმუნდა, არავინ უთვალთვალებდა, ერევნიდან ბაქოში გაემგზავრა. აზერბაიჯანის დედაქალაქში მერაბ ჯიქია თავის ძველ **"პადელნიკს"**, შემდგომში ცნობილ ავტორიტეტს, მაშალა ალიევს, მეტსახელად **"ალის"** მიადგა და უთხრა:

– ალი-ჯან, თუ ერევანში, პეტროსიანის სახლიდან ოქროს ჭადრაკი შენ მოიპარე და, თუ ჩვენს ძმობას პატივს სცემ, გთხოვ, დააბრუნო.

ალის გაეცინა. **"პეშკას"** ტომრით მილიონ-ნახევრიანი ოქროს ჭადრაკი გამოუტანა, წინ დაუდო და უთხრა:

– ხომ გეუბნებოდი, მოვიპარავ-მეთქი! აი, შენთვის მიჩუქნია, დაუბრუნე პატრონს, მაგრამ, ჯობდა, რომ ჩვენ შეგვერგო ეს ფული. ზეგ უკვე გადადნობას ვაპირებდი, ძვირფასი თვლები კი ცალკე უნდა გამეყიდა.

– ჯიგარი ხარ, ალი, პატივისცემა ჩემზე იყოს. შენთან კიდევ ერთი თხოვნა მაქვს – ასი მანეთი მასესხე.

ალიმ **"პეშკას"** ათასი მანეთი დაუდო წინ, მერაბმა კი მხოლოდ ასი მანეთი აიღო და ძმაკაცს უთხრა:

– მილიციის პოლკოვნიკს ვალი უნდა დავუბრუნო და ეს ფული იმისთვის მინდა.

– მაგ წუწურაქებს? არა, რა, ჩვენი ძმობა რომ არა, მაგათი ჩემპიონი თვალითაც ვერ იხილავდა ამ ჭადრაკს!..

მერაბ ჯიქია მაშალა ალიევს დაემშვიდობა და მეორე დღეს, 1971 წლის 15 სექტემბერს, ერევანში დაბრუნდა. რომ შებინდდა, **"პეშკა"** ტიგრან პეტროსიანს სახლში მიადგა. თავად ჩემპიონი შინ იმყოფებოდა და უცნაური სტუმარი ბინაში შეიპატიჟა. მერაბმა ჭადრაკის ოცდათორმეტივე ფიგურა მაგიდაზე დაულაგა პეტროსიანს და უთხრა:

– ჩაიბარეთ, ჩემპიონო, ყველა ფიგურა ხელუხლებელია.

გაოცებულმა ჭადრაკის მეფემ მერაბს სახელი ჰკითხა.

– უბრალოდ – **"პეშკა"**, – მიუგო მერაბმა.

– მთხოვე, ჩემო მეგობარო, რა გსურს, შენთან ვალში ვარ.

– თუ იკადრებთ, ერთი პარტია ჭადრაკი მეთამაშეთ, – უთხრა პეშკამ პეტროსიანს.

პეტროსიანმა მშვენივრად იცოდა ქართული და, რომ გაიგო, მის წინ თბილისელი ქართველი იჯდა, მხოლოდ ქართულად ესაუბრებოდა მას. მეტოქეებმა **"სიცილიური დაცვა"** გაითამაშეს და ნახევარსაათიანი საჭადრაკო პარტია ყაიმით დასრულდა. პეტროსიანმა ხელი ჩამოართვა **"პეშკას"**. სპილოს ძვლისგან გაკეთებული მინიატურული ჭადრაკი უსახსოვრა, დიდი მადლობა გადაუხადა და გამოაცილა.

შუაღამე სრულდებოდა, როდესაც **"პეშკა"** პირდაპირ შინაგან საქმეთა სამინისტროში ეწვია პოლკოვნიკ აშოტ ვართანიანს, ასი მანეთი დაუბრუნა და უთხრა:

– ყველაფერი რიგზეა. ეს ჭადრაკი კი თავად ჩემპიონმა მაჩუქა. შემინახეთ და, **"სროკიდან"** რომ გამოვალ, უკან დამიბრუნებთ.

**"პეშკა"** საკანში დააბრუნეს. სამი დღის შემდეგ კი, ტიგრან პეტროსიანის ძალისხმევის შედეგად, ქართველი კანონიერი ქურდი მერაბ ჯიქია ციხიდან გაათავისუფლეს და ძვირფას ჭადრაკთან ერთად სამშობლოში დააბრუნეს...

ნიკა ლაშაური

## რეფერენდუმი ხალხის ძალაუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა

რეფერენდუმი (ლათ. **referendum** – ის, რაც უნდა გახმოვანდეს) ხალხის ძალაუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა, რაც უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს ორგანული კანონით "რეფერენდუმის შესახებ".

განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში, მაგალითად, შვეიცარიაში, სახელმწიფო კანონთა მნიშვნელოვანი ნაწილი რეფერენდუმის საშუალებით მიიღება. დროა საქართველოშიც დავნერგოთ ხალხის მმართველობა არა მარტო არჩევნებით, არამედ რეფერენდუმების საშუალებითაც. დღემდე საქართველოში ჩატარებულია 1 რეფერენდუმი და 2 პლებისციტი.

რეფერენდუმს საქართველოში ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, ან საქართველოს პარლამენტი, არანაკლებ 200.000 ამომრჩევლის მოთხოვნით.

ჩვენ გვჭირდება 200.000 ამომრჩევლის ხელმოწერა, რათა ჩავატაროთ რეფერენდუმი და დავასრულოთ კამათი ქართული ოჯახის რაობაზე და კონსტიტუციის დონეზე დავაკანონოთ, რომ "ქორწინება არის ქალის და მამაკაცის ერთობა".

გვჭირდება 200.000 ხელმოწერა 28 ივნისამდე – დრო ცოტაა!

ვინ ვართ ჩვენ? სოციალური ქსელით რეფერენდუმის იდეის გარშემო დამეგობრებული საქართველოს მოქალაქეები – სულ 6 ადამიანი.

ჩვენ 2016 წლის 7 მარტს ცესკოში შევიტანეთ 9 სარეფერენდუმო საკითხი, საიდანაც 28 მარტს დაგვირეგისტრირეს მხოლოდ ერთი: "გინდათ თუ არა, რომ ერთნაირ სქესიანთა ქორწინება დაშვებული იქნას საქართველოში".

ჩვენი ხედვა: კულტურა არ არის მხოლოდ სიმღერა, ცეკვა, მხატვრობა, ან კინო და თეატრი, ჩვენ ვთვლით, რომ კულტურა არის ყველაფერი, რაც ცხოველებისაგან გამოარჩევს ადამიანს. კულტურა არის იმ ზნე-ჩვეულებების ერთობაც, რომელიც ცხოველურ ინსტინქტებზე მაღლა აყენებს ადამიანს. ქართველები საუკუნეების მანძილზე ყოველმხრივ ვამდიდრებდით ჩვენს კულტურას და ვთვლით, რომ დღემდე მოტანილ ადათ-წესებს მოფრთხილება და შენარჩუნება სჭირდება. ერთსქესიანთა ქორწინება არის არა მარტო უცხო ჩვევა საქართველოს საზოგადოებისათვის, არამედ ქართველთა გადაშენების საშიში იარაღი მსოფლიო ფსევდოლიბერალთა ხელში. ისედაც მცირერიცხოვან ერში ერთსქესიანი ოჯახების შექმნის დაშვება, რომელთაც გამრავლება არ შეუძლიათ, გამოიწვევს ერის კიდევ უფრო შემცირებას და ბოლოს გადაშენებას. ყოველივე ზემოთ თქმულთან ერთად ჩვენ მიგვაჩნია, რომ ერთსქესიანთა თანაცხოვრება თავის თავში დიდი დოზით შეიცავს გარყვნილებასაც.

ჩვენ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვართ სხვადასხვა სფეროში დასაქმებული 6 ადამიანი და 200.000 ხელმოწერის შესაგროვებლად არ გვყოფნის არც ადამიანური და არც ფინანსური რესურსი.

შენ, საქართველოს მოქალაქევ, თუ იზიარებ ჩვენს შეხედულებებს ერთსქესიანთა ქორწინების დაუშვებლობის შესახებ, შემოგვიერთდი. დაგვეხმარე ხელმოწერების შეგროვებაში და ამით დაეხმარე შენს მომავალს გამრავლდეს და იცხოვროს კულტურულ ქვეყანაში.

**P.S.** 2016 წლის 23 თებერვალს შვედეთის ლიბერალურმა პარტიამ სესილი იონსონის ინიციატივით განიხილა ოჯახის წევრთა შორის (და-ძმა, დედა-შვილი, მამა-შვილი) სექსის დაკანონების საკითხი. დროულად დავდგეთ ჩვენი კულტურის სადარაჯოზე!

დაგვიკავშირდით ტელ. 577-79-83-75, მისამართი: ა. წერეთლის გამზირი, 142. "სამთო ქიმიის" შენობა, 1 სართული, ოთახი 9ა.

საინიციატივო ჯგუფი "ოჯახის სიწმინდისათვის",
ვიქტორ ცაავა, ზურაბ თოლორაია, გიორგი ყორანაშვილი, კახა ნიქაბაძე, ბადრი კვირიკაშვილი, თეიმურაზ ცისკარიშვილი, დავით კუჭავა

ISSN 1987-8966 ilori

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge